140
1989

ISSN 0132-6007

ეროვნული
ბიბლიოთეკა





26 მაისი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე 26 მაისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინტერნაციონალიზმი და ნაციონალიზმი

გარდაქმნა, რომელიც ამჟამად საბჭოთა კავშირში მიმდინარეობს, რევოლუციური პროცესია. რევოლუცია ქარიშხლის ტოლფასი მოვლენაა, რომელიც ძირფესვიანად ცვლის არსებულს, მოძველებულს და ამკვიდრებს ახალს, პროგრესულს. ამასთან დაკავშირებით ბევრი რამ ისეთი, რაც მყარი და მუდმივი გვეგონა, იცვლის თავის ადგილს, წარმოიშობა სავსებით ახალი პრობლემები და შესაძლებლობები...

ახალმა სიომ საქართველოშიც დაუბერა და შესამჩნევად შეცვალა ამინდი... აი, ამის თაობაზე და მის მოსალოდნელ შედეგებზე საუბრობენ ჩვენი ჟურნალის თანამშრომელი ნუგზარ აფხაზავა და მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი ზურაბ ჭუმბურიძე.



ზურაბ ჭუმბურიძე

19.390

ნ. ა. ბატონო ზურაბ, ახლა საქართველოში ფრიად უჩვეულო ამბები ხდება. ლამის ისიც კი ვიფიქროთ, რომ საჭიროა ზოგიერთი მოვლენისა თუ ტერმინის დაზუსტება, მათი ხელახალი გააზრება. აქედან გამომდინარე, იქნებ კიდევ ერთხელ განგვემარტა ჩვენი მკითხველისათვის, როგორ უთავსდება ერთმანეთს სამი ცნება — პატრიოტიზმი, ნაციონალიზმი და ინტერნაციონალიზმი? მართლა სალანძღავი სიტყვაა ნაციონალიზმი? და თუ შეიძლება ნაციონალიზმისა და ინტერნაციონალიზმის თანაარსებობა?

ზ. ჭ. მართლაც, ამ ბოლო დროს საქართველოში და არა მარტო ჩვენში, არამედ, საერთოდ, მთელ საბჭოთა კავშირში ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, ბევრი რამ შეიცვალა. სხვათა შორის, შეიცვალა დამოკიდებულებაც ისტორიული მოვლენებისა და პიროვნებათა მიმართ. ეს ცვლილება მჭიდროდ არის დაკავშირებული პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის, ნაციონალიზმისა და კოსმოპოლიტიზმის ცნებებთან, რის გამოც ზოგჯერ იქმნება შთაბეჭდილება, რომ თვით ამ ცნებებსაც სჭირდება გადასინჯვა და, შეცვლა თუ არა, დაზუსტება მაინც.

ჩემი აზრით, ასეთი შთაბეჭდილება მცდარია და ზემოხსენებულ ცნებათა რევიზია საჭირო არ არის, ოღონდ ეს კია, რომ ცნებები ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ და ზუსტი მნიშვნელობით უნდა ვიხმაროთ, ზუსტი მნიშვნელობით კი პატრიოტიზმსა და ინტერნაციონალიზმს დადებითი შინაარსი აქვს, ნაციონალიზმსა და კოსმოპოლიტიზმს — უარყოფითი.

პატრიოტიზმი, როგორც ცნობილია, სამშობლოს სიყვარულს ნიშნავს (წარმოდგება ლათინური სიტყვისაგან: პატრის — „სამშობლო", პატრიოტეს — „თანამემამულე"). სამშობლო თავისებურად ყოველ ნორმალურ ადამიანს უყვარს, მაგრამ ნამდვილი პატრიოტი ისაა, ვინც აქტიურად მონაწილეობს სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ამავე დროს, პატრიოტიზმი გულისხმობს სხვა ხალხების პატივისცემას, მათი უფლებების აღიარებას. სწორედ ამით უპირისპირდება იგი ნაციონალიზმს, რომლისთვისაც დამახასიათებელია ეროვნულ თავისებურებათა გაზვიადება და თავისი ერის დაყენება ყველაზე მაღლა.

განსაკუთრებით მავნე და საშიშია გაბატონებული ერის ნაციონალიზმი, რასაც შედეგად მოსდევს სხვა ერების სიძულვილი, ანუ შოვინიზმი, ნაციონალური ჩაგვრა და მცირე ერთა ინტერესების უგულვებელყოფა. რაც შეეხება ჩაგრული ერის ნაციონალიზმს, მას ერთგვარი გამართლება მაინც აქვს, რამდენადაც ის ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ არის მიმართული და ასე თუ ისე დემოკრატიულ შინაარს ატარებს. ამ გაგებით ნაციონალიზმი სალანძღავი სიტყვა არაა.

ნაციონალიზმის საპირისპირო ცნებაა ინტერნაციონალიზმი, რომელიც აღიარებს ხალხთა თავისუფლებას, სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას. მისი პრინციპებია ერთა სოლიდარობა, ურთიერთპატივისცემა, დახმარება, გამოცდილების გაზიარება, პრაქტიკული და თეორიული მოღვაწეობის ერთიანობა. ინტერნაციონალიზმი არ გამორიცხავს პატრიოტიზმს, პირიქით — უთუოდ გულისხმობს მას, რადგან სხვა ხალხების ღირსეულად დაფასება მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც თავისი ერი უყვარს.

სულ სხვაა კოსმოპოლიტიზმი ანუ

საქართველოს ალკკ ცკ-ის და
ვ. ი. ლენინის სახელობის
პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური
საბავშვო ჟურნალი
პიონერი
გამოდის 1926 წლიდან
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა 7 ივლისი 1989

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

მსოფლიო მოქალაქეობის იდეოლოგია, რომლის დევიზიც არის: „სამშობლო იქაა, სადაც უკეთ იგრძნობ თავს“. ნაციონალიზმი და კოსმოპოლიტიზმი, ერთი შეხედვით, ურთიერთგამომრიცხავი ცნებებია, მაგრამ არსებითად ორივე ერთ წისქვილზე ასხამს წყალს და ერთი ხალხის უპირატესობის იდეას ქადაგებს.

**ნ. ა. რამდენიმე მაგალითით ხომ ვერ დაასაბუთებთ თქვენს მოსაზრებას?**

**ზ. ჭ.** — ინებეთ.

მარქსისა და ენგელსის ლოზუნგი — „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ — ქართველი ბოლშევიკების ზოგმა ლიდერმა ისე გაიგო, თითქოს მსოფლიო რევოლუციის გამარჯვების შემდეგ სულ მალე ყველა ქვეყნის პროლეტარები ერთმანეთს შეერწყმოდნენ და ეროვნული თავისებურებანი ერთბაშად გაქრებოდა. ამიტომ მარჯვნივ და მარცხნივ ხელგაშლილად არიგებდნენ საქართველოს ისტორიულ მიწა-წყალს და ეროვნულ სიმდიდრეს, რითაც კარგად ისარგებლეს ჩვენმა მეზობლებმა. იმ დროს ეროვნული ინტერესების დასაცავად ზრუნვა ნაციონალიზმად ინათლებოდა და სასტიკად იდევნებოდა. ასე მიაკრეს „ნაციონალ-უკლონისტების“ იარლიყი იმ ქართველ კომუნისტებს, რომლებსაც სურდათ საქართველო უშუალოდ შესულიყო სსრ კავშირის შემადგენლობაში და მხარს არ უჭერდნენ ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნას.

ასევე, ნაციონალისტობის მუქარით ხმა ჩააკმენდინეს, ვინც წინააღმდეგი იყო საქართველოში სხვადასხვა ეროვნების ათიათასობით ლტოლვილის ჩამოსახლებისა, მაშინ, როცა იმ რესპუბლიკებმა, რომელთა ძირითად ეროვნებასაც ეკუთვნოდნენ ლტოლვილები, უფრო ადრე ჩაუკეტეს მათ თავიანთი კარები. ინტერნაციონალიზმის ასეთ გაგებას, რომელიც თავისი ქვეყნისა და ხალხის ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული, საერთო არაფერი აქვს ნამდვილ მარქსიზმ-ლენინიზმთან, უნებურად გვაგონდება ხალხში ანდაზასავით გავრცელებული ნათქვამი ერთი კომუნისტისა, რომელიც თამამი აზრებისათვის ხალხის მტრად იყო შერაცხული: მარქსმა კი თქვა, პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო, მაგრამ ის როდი უთქვამს, ყველამ მაინცდამაინც საქართველოში მოიყარეთ თავიო.

მოგეხსენებათ, ქართველი ხალხი ოდითგანვე გამოირჩევა სტუმართმოყვარეობით და სხვა ხალხების მიმართ შემწყნარებლობით. ამის ნიმუშია ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ძმური ურთიერთობა ებრაელებთან. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თვითონ ქართველმა ებრაელებმა თავიანთი მადლიერების გრძნობით სავსებით დაიმსახურეს ასეთი კეთილგანწყობა. მაგრამ რა უნდა ითქვას ისეთ ხიზნებზე, მასპინძლის პატივისცემა რომ დაუკარგავთ და საკუთარი სახლიდან მის გაგდებასაც კი ცდილობენ გარეშე ძალის დახმარებით?! ესეც ინტერნაციონალიზმისა და ნაციონალიზმის უკუღმართად გაგების ბრალია.

ჩვენი ხალხი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში განიცდიდა ეროვნულ ჩაგვრას, ბუნებრივია, სხვა ერების დაჩაგვრასა და დამცირებას არ ინდომებს, მაგრამ ნაციონალიზმად და ცრუპატრიოტიზმად ნურავინ ჩამოგვართმევს იმას, რომ მავანსა და მავანს სტუმარმასპინძლობის წესების დაცვა მოვთხოვოთ. ამ მხრივ მდგომარეობის გამოსწორების პერსპექტივა მხოლოდ ახლა ისახება, მაგრამ იმედია, მომავალში საქმე უკეთ წარიმართება და დაცული იქნება როგორც რესპუბლიკის ძირითად მცხოვრებთა სუვერენული უფლებები, ისე მცირე ერთა ინტერესები.

**ნ. ა.** — **გასული წლის ნოემბრიდან მოკიდებული თბილისში (და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში) გამართულ მიტინგებსა და მანიფესტაციებში საშუალო სკოლის მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ. თქვენი აზრით, რამდენად სწორია ეს? სხვათა შორის, პრესაში უკვე გაიმართა კამათი ამის თაობაზე და აზრთა სხვადასხვაობაც გამოიწვია. თქვენ რას იტყვით?**

**ზ. ჭ.** — დიახ, ახალგაზრდობა, მართლაც, აქტიურად არის ჩაბმული თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ფერხულში და ფრიად მნიშვნელოვან როლს ასრულებს გარდაქმნის პროცესში, რაც მისასალმებელი ფაქტია. მე ვგულისხმობ მხოლოდ სრულასაკოვან ახალგაზრდებს. რაც შეეხება საშუალო სკოლის მოსწავლეებს, მათი მონაწილეობა მიტინგებსა და მანიფესტაციებში ყოვლად გაუმართლებელია და, ჩემი აზრით, კარგი იქნება, თუ კანონით აიკრძალება. მათ არამც თუ სათანადო ცოდნა, ხშირად ზოგადი წარმოდგენაც კი არა აქვთ პოლიტიკური ბრძოლის მოტივებზე და მხოლოდ ფეხის ხმას არიან აყოლილნი. თუ რა სავალალო შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს ამან, ეს ცხრა აპრილის ტრაგიკულმა ამბებმა გვიჩვენა.

სხვათა შორის, ცხრა აპრილის ამბებმა ნათლად დაგვანახა ისიც, თუ ვის ხმას უნდა უსმენდეს და უჯერებდეს ახალგაზრდობა. ნებისმიერი ხალხი იამაყებდა ისეთი განათლებული სპეციალისტებით, ეროვნული მოღვაწეებითა და ჭეშმარიტი მამულიშვილებით, როგორც ამ დღეებში თავი გამოიჩინეს თამაზ გამყრელიძემ, ალექსანდრე ჯავახიშვილმა, ელდარ შენგელაიამ, რევაზ თაბუკაშვილმა, აკაკი ბაქრაძემ, ჯანსუღ ჩარკვიანმა, მუხრან მაჭავარიანმა, მედეა კახიძემ, ლანა ღოღობერიძემ, რევაზ ჩხეიძემ, ირაკლი მენაღარიშვილმა, ვახტანგ ფიფიამ, თამაზ შავგულიძემ და მრავალმა სხვამ.

ყოველივე ამის შემდეგ მე ძალიან მიკვირს, როგორ აძლევს ზოგი ახალგაზრდა თავს ნებას, რომ განურჩევლად ლანძღოს „მამები“ და „დედები“ იმისათვის, რომ ისინი თითქოს „შვილების“ გვერდით არ დგანან და ყოველ მათს სიტყვას ტაშით არ ხვდებიან. მეტისმეტად თავდაჯერებული უნდა იყო კაცი, რომ შენი ყოველი ნაბიჯი შეუმცდარი გეგონოს და არავისი რჩევა არ შეისმინო: არც მწერლი-

სა და არც მეცნიერისა, არც ხელოვნების მუშაკისა და არც მღვდელმთავრისა.

თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო ყველა თაობის ქართველთა სალოცავი ხატია, მაგრამ სანუკვარი მიზნის მისაღწევად გზის ძიებისას „მამების“ ზომიერება და გონიერება არანაკლებ საჭიროა, ვიდრე „შვილების“ გაბედულება და თავგანწირვა.

**ნ. ა. — თქვენ მწერალი, მეცნიერი და პედაგოგი ბრძანდებით. რას ურჩევდით ჩვენი ჟურნალის მკითხველებს როგორც მწერალი, როგორც მეცნიერი და როგორც პედაგოგი? რა უნდა აკეთონ მათ საქართველოსათვის დღეს, ვიდრე ისინი მერხებს უსხედან?**

**ზ. ჭ.** — ადამიანმა, უპირველეს ყოვლისა, ის საქმე უნდა აკეთოს კარგად და პატიოსნად, რაც მას აკისრია. „ყოველი პროფესია და საქმიანობა რომ გარკვეულ მოვალეობასთან და პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული, ეს ანბანური ჭეშმარიტებაა, — ამბობდა კიბერნეტიკის ფუძემდებელი, ცნობილი ამერიკელი მეცნიერი ნორბერტ ვინერი. — თუ არც ექიმი ხარ და არც მოწყალების და, შეგიძლია დატოვო ქალაქი, სადაც შავი ჭირი მძვინვარებს; არავინ გაგკიცხავს ამის გამო, მაგრამ ექიმები და მოწყალების დები უნდა დარჩნენ იქ ბოლომდე, ვიდრე თუნდაც ერთ კაცს სჭირდება მათი დახმარება... არავინ გაგვკიცხავს, თუ უარს ვიტყვით მონაწილეობა მივიღოთ შეიარაღებული საშიში ბოროტმოქმედის შეპყრობაში, მაგრამ ყოველი პოლიციელი, მიუხედავად მისი თანამდებობისა, ანგარიშს უწევს იმას, რომ იგი შეიძლება დაიღუპოს ასეთ ბოროტმოქმედთან შეტაკებისას. სწორედ ასევე, ყოველი მეხანძრე თავისი ნებით და შეგნებულად დგას საფრთხის წინაშე — გახდეს ხეიბარი ან შთაინთქას ალმოდებული შენობის ნანგრევებში. ყოველი ასეთი რაინდი, ერთგული თავისი ვალისა, შეიძლება შევადაროთ პირველ ქრისტიანებს, რომელთაც ერჩიათ მომკვდარიყვნენ ცირკის არენაზე, ვიდრე ეკმიათ საკმეველი წარმართთა ღმერთებისათვის“.

ვინც სკოლის მერხს უზის, მისი უპირველესი მოვალეობა ჯერჯერობით ცოდნის შეძენაა, წარჩინებით სწავლაა, შემდგომში კი სამშობლოს ერთგული სამსახურია. სამწუხაროდ, ჩვენ ბევრი მაგალითი ვიცით, როცა კაცი ტრიბუნიდან მშვენიერ იდეებს ქადაგებს, მაგრამ საქმით თავს არ იწუხებს. მომავალი თაობის ყველაზე დიდი საზრუნავი სიტყვისა და საქმის ერთიანობა უნდა იყოს.

**ნ. ა. — ბატონო ზურაბ, ვიცი, რომ უკვე პაპა ხართ. როგორი წარმოგიდგენიათ იმ საქართველოს მომავალი, რომელშიაც თქვენმა შვილიშვილებმა და მათმა თანატოლებმა უნდა იცხოვრონ?**

**ზ. ჭ.** — ცხოვრება ძალიან სწრაფად იცვლება და ჩემი თაობის თვალწინ ბევრი რამ მოხდა ისეთი, რასაც ადრე ვერ წარმოვიდგენდით. ამიტომ კონკრეტულად იმის თქმა, თუ როგორი იქნება საქართველოს მომავალი, არ შემიძლია. მაგრამ ის კი მწამს და მჯერა, რომ ახალგაზრდა თაობა განახორციელებს თავის სანუკვარ იდეალებს და ჩვენი შვილიშვილები თავისუფალი და ბედნიერი მოქალაქენი იქნებიან სუვერენული რესპუბლიკისა. ვისურვებდი, რომ იმ დროისათვის ქართველების რიცხვი გაორკეცებულიყოს და ისინი თავისი რესპუბლიკის მცხოვრებთა ოთხ მეხუთეს მაინც შეადგენდნენ.

**ნ. ა. — ვიმედოვნებ, რომ ასეც იქნება. ამის იმედს ქართველი ახალგაზრდობის თვითშეგნების სწრაფი ზრდაც იძლევა.**

ბატონო ზურაბ, ჩემი შეკითხვები, ძირითადად, ჩვენი ჟურნალის მკითხველთა მრავალრიცხოვანი წერილებიდან გამომდინარეობდა, ამიტომ მათი, აგრეთვე ჩვენი რედაქციის სახელით მადლობას მოგახსენებთ საინტერესო და სასარგებლო საუბრისათვის.

ლიდა სხვილია

## მარტვილი

ჩემი მარტვილის ტაძრიდან
მოჩანს თურქეთის საზღვარი.
კვლავაც დარაჯობს ტაძარი,
შემოდის ვინ და რა მგზავრი!..
ზღვას და ხმელს გადასწვდენია
მისი გუმბათის ზანზარი!

## მრავალშვილიანი ტყე ვარ

დავალ სოფლის ლამაზ ტყეში,
ყვავილებით გაბუმბლული...
მღერის წყარო, ნაკადული,
ჩიტთა გუნდის ცხრა ბულბული...
ლაჟვარდ-ზურმუხტ
ცას შემწვდარი,
ტყე შრიალებს ქუქითელა...
— გამოვზარდე ათასობით
ძელქვა, თუთა —
უბით ყველა....
ნაირ-ნაირ ყვავილიანს
ვზრდი ბზას, მუხას,
წაბლს და ტყემალს,
კოპიტს, იელს,
თხილს და დაფნას, —
მრავალშვილიანი ტყე ვარ!
ხსმელა, რცხილა, შქერი, ნაძვი,
ფიჭვი, ცაცხვი, ვერხვი, თელა...
მათი რტოც არ დამკლებოდეს,
სულ მიცოცხლოს
ღმერთმა ყველა!

## ტყე

შრიალებს კედარი...
შრიალებს წიფლნარი,
ფიჭვნარი, სოჭნარი,
ნაძვნარი, იფნარი,
იელი, ურთხმელი,
თხილნარი, წაბლნარი,
თეთრი აკაცია
რონინებს ნარნარით...
ქათქათებს დეკა და...
კესანე ღაღანებს,
პირიმზე ღიმილით
ათენებს, ალამებს...
საბრძანებელია
ტყე მეფე ლომისა,
ბუმბერაზ მუხის და
დედოფალ თოვლისა!



ეროვნული ბიბლიოთეკა



**ნინო ხარაზიშვილი**

**ფოტო დავით იაკობაშვილისა**

# იზრდებიან მამულიშვილები

მთელ ამ მხარეში განთქმული სოფელია გურჯაანი. იგი თავის „სეხნია“ რაიონულ ცენტრს ზედ აკრავს და ამ ახლომეზობლობით თავსაც ძალიან იწონებს. ბევრი სიკეთით არის ცნობილი ეს ძირძველი კახური სოფელი და თავმოსაწონიც ბევრი აქვს, მაგრამ, როგორც შევიტყვეთ, მაინც განსხვავებულად ეამაყება ასაკით უკვე საუკუნემოტოვებული საშუალო სკოლა. მართლაც რომ, უჩვეულოდ მეტყველია ამ სოფლის განათლების მატიანე... იგი 1875 წლიდან იწყება, იმ დროიდან, როცა რევაზ ანდრონიკაშვილის სახლში მღვდელ ლოიანის თავკაცობით ორკლასიანი სასწავლებელი გამართულა.

1895 წელს ისევ განახლებულა შემდეგ წლებში გაუქმებული სკოლის აღდგენის მცდელობა. სოფლის მამასახლისის მიხა ჯოხაძისა და გლეხ ისაკო იაკობიშვილის მეცადინეობით, ამჯერად ოთხკლასიანი სასწავლებელი გაუხსნიათ. ერთი წლის შემდეგ, მის პარალელურად, კერძო სკოლაც გახსნილა ქალთათვის. იგი ქალბატონ ლიზა აბაშიძეს მოუწყვია ზუმბულიძეების ოჯახში.

დღეს გურჯაანის საშუალო სკოლაში (დირექტორი ზურაბ დანელაშვილი) ამ პირველ გზისგამკვალავთა ტრადიციებზე 600-ზე მეტი მოზარდი იზრდება. და ყველაზე მთავარი, რასაც ისინი აქ სწავლობენ, მშობელი ქვეყნისა და მიწის, ღვიძლი კუთხისა და მისი მაცოცხლებელი ბუნების მართალი სიყვარულია. ეს სიყვარული აქ ბევრ რამეში იკითხება. სოფლელი ბავშვისაგან თავისი სახლისა თუ სკოლის ეზოში გაზრდილი ხისა და ბუჩქის სიყვარული როგორ უნდა გაგვიკვირდეს, მაგრამ აქ, გურჯაანელთა სკოლაში, ყველაფერ ამას ახლავს რაღაც სხვა, დაუფარავი მადლი, რომელმაც არ შეიძლება, გული არ მოგინახოს, მათი ყოველდღიური საქმიანობისადმი რწმენითა და მხარდაჭერით არ განგაწყოს.

დავიწყოთ იმით, რომ სკოლას გულგასახარი ეზო-გარემო აქვს, ხელისგულივით გადაშლილი და მოვლილი, ულამაზესი ხეებით დაბურულ-დაჩრდილული... მას მთელი სკოლა უვლის, თითქმის ყველა კლასი — მორიგეობით, ურთიერთსიყვარულით, დიდი რუდუნებითა და სიხარულით. უფრო „კვალიფიციური“ ბუნებისმოყვარულები — სკოლის ნორჩი ნატურალისტები — ამ ფიჭვნარის უფასო მკურნალები არიან. ვინ მოთვლის, მავნებლებისაგან რამდენჯერ დაიცვეს, სხვადასხვა დაავადებათაგან რამდენჯერ განკურნეს, არასდროს ავიწყდებათ ძირების დათვალიერება და მიწის გაფხვიერება. გურჯაანის სატყეო მეურნეობის დირექტორის მარსელ მაჰავარიანის ნაჩუქარ ნერგებსაც პირველ პატრონებად ისინი აუჩნდებიან ხოლმე. გაკვეთილებისაგან თავისუფალ დროს სკოლის შენობის უკან, თავიანთ ნაკვეთზე ატარებენ, ეს მათი წრის თავისებური ლაბორატორიაა. ეთერ მასწავლებლის მიერ (ეს წრის ხელმძღვანელი, ბიოლოგიის მასწავლებელი ეთერ შიშნიაშვილია) გაკვეთილზე ახსნილს აქ მუშაობა უპირველეს თვალსაჩინოებად ადგება. ძირითადად ერთწლიან ბოსტნეულ კულტურებს თესენ, მოსავალს უკლებლივ აბარებენ სკოლის სასადილოს, ასე რომ, თანასკოლელთა გემრიელი კვება ძირითადად მათი დამსახურებაა...

ყველაზე მეტად მაინც ტყეში გასვლა უყვართ. ტყის ფრინველებთან მეგობრობენ — ბუდეებს უშენებენ, გამოზამთრებაში ეხმარებიან, სახლებიდან გამოუტანენ ხოლმე საკვებს!.. ოთახის მცენარეთა ზრდა-განვითარებას სწავლობენ, მცენარეთა მავნებლებთან ბრძოლას ეჩვევიან. ბუნების ნამდვილი მეგობრები არიან მარიამ როსტოშვილი, ეკა ყულიშვილი, მაკა ყოჩაშვილი, დალი შავკაციშვილი, მანანა მურაკაშვილი, ნანა გორხელაშვილი, მაია ხუროშვილი. წრეში ყველაზე ყოჩაღი ბიჭიც ჰყავთ — ზურაბ ცისკარაშვილი. ზურა ეთერ მასწავლებლის გული და თვალია, რადგან მის რჩევებსა და დარიგებებს ყველაზე ერთგულად მისდევს, მარტო სკოლის ნაკვეთზე კი ვერ ელევა სამუშაოს, სახლშიც, თავის უფროს ძმასთან, მეთერთმეტეკლასელ ვანოსთან ერთად, „საკუთარი“ საკარმიდამო ნაკვეთი გაუჩენია, შიგ ლობიო და მიწის თხილი დაუთესავს...

სკოლაში ყველა პატივისცემით ეკიდება ამ მეექვსე-მეშვიდეკლასელი მოზარდების შრომას, მათ დიდ სიყვარულს მიწისა და მცენარისადმი. ყველაზე უკეთ კი მათ, რა თქმა უნდა, თავიანთი „ლობის მეზობლები“ — ნორჩი დენდროლოგები უგებენ.

დიახ, დიახ, დენდროლოგები.

სოფელ გურჯაანის სკოლაში, რა ხანია, ეს წრეც ფუნქციონირებს და, რაც მთავარია, აქ უკვე თითქმის ათი წელია, გაშენებულია პატარა წალკოტი, რომელსაც ბოტანიკოსთა ენით დენდრარიუმს ეძახიან. დიახ, სასკოლო დენდრარიუმი — ერთადერთი არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, ვგონებ, კავშირშიაც.

მისი ხელმძღვანელი და შემქმნელი, სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი ქალბატონი თინა მუღალაშვილი ამ იდეის დაბადებას ბედნიერ შემთხვევითობას მიაწერს. ეს ბედნიერი შემთხვევითობა კი ის გახლავთ, რომ თინა მასწავლებელს ამ ათიოდე წლის წინათ ურთულესი სადამრიგებლო კლასი არგუნეს. ასეთი ბავშვები მთელი ჩემი ორმოცწლიანი პედაგოგობის მანძილზე, არც მანამდე და არც მას შემდეგ, არ შემხვედრიაო, ამ ყოჩ ბიჭებს ქედს რა მოადრეკინებსო, — საგონებელში ყოფილა ჩავარდნილი. არადა, თითქოს საგანგებოდო, კლასში უმეტესობა ბიჭები ყოფილან.

ამ ადგილს მაშინ, უბრალოდ, ნაგავსაყრელს ეძახდნენ — რა არ ეყარა აქ. რა უსარგებლო ნივთი არ მოჰქონდათ. ერთხელაც, — მოდით, დავასუფთაოთო, — ეს თინა მასწავლებელს უთქვამს. მაშინაც სულ ეოცნებებოდა დედამიწის სხვადასხვა სარტყელისთვის დამახასიათებელ ხე-მცენარეთა ნერგების მოშენება... ეს იყო და ეს. ბიჭებმა მოულოდნელი გულმოდგინება გამოიჩინეს, უამრავი სამუშაო შეასრულეს — ეს ნაკვეთის დასუფთავებაო, ეს მელაანის ცნობილი შავი, მარცვლოვანსტრუქტურიანი მიწის ჩამოტანა და მისით აქაურობის გაახლებაო... მერე და მერე ადვილად შეესხა ხორცი იდეას. ვინ არ შეაწუხა თინა მასწავლებელმა — თბილისის, სოხუმის, ბათუმის ბოტანიკური ბაღების, თბილისის დენდროლოგიური პარკის მთავარი დეკორატორები. მას შემდეგ ეს პატარა წალკოტი სულ ამ მეგობრობით სულდგმულობს. ასე დაიწყო... ასე დაიბადა თინა მასწავლებლის სასკოლო დენდრარიუმი და ნორჩ დენდროლოგთა ის 20-ბავშვიანი წრეც, რომლითაც დღეს მთელი სკოლა სამართლიანად ამაყობს.

ამასწინანდელ სეტყვას ძლივს გადავურჩითო.'. სიფრთხილისათვის ნოების ბინადარნი — ოლღუნი, სალსალაჯი, ავშანი, ღვია; კავკასიონზე ერთ-ერთი ლაშქრობის დროს მოპოვებული, ბაწარას ნაკრძალიდან წამოღებული ჭანჭყატი, ჩვენებური წაბლი და თელა, კახეთის ტყეების შვილი — დღეს უკვე „წითელი წიგნის“ ბინადარი — ბოკვი, ბალიშივით გადაშლილი, ულამაზესი ურობალახი, ჩაის ახალი, ყინვაგამძლე ჯიში, ავსტრალიური კაზუალინი, იაპონური ბროწეული, ჩვენებური კებრაჩო (ვტეხე ცულიო — ამ ეკვატორული მცენარის სახელი ასე უცნაურად ითარგმნება); ალვანის მხრიდან, სოფელ ბაბანეულის ტყიდან ჩამოტანილი საოცარი ძელქვა, მუშმალა, ვერცხლისფერი სოჭი — თბილისის ბოტანიკური ბაღის მთავარი დეკორატორის, ბატონ ვალიკო კვაშილავას გამოყვანილი.

ჯერ სულ პატარაა გურჯაანელი '.ეკვოია... არადა, ჩრდილო .'ერიკის ეს მკვიდრი, თურმე, '.ულ ცოტა, 220 მეტრი სიმაღლისა იზრდება. მისი ნერგი ჯერ სოხუმიდან ჩამოუტანიათ. ვერ იხარაო... როგორც ჩანს, ყოფილმა ნაგავსაყრელმა თავისი ქნა... მაშინ თავი გამოუდია





ნამდვილ პატარა წალკოტადაა ქცეული სასკოლო დენდრარიუმის ტერიტორია



ვის ბადეაკრულ გალიებში „უზით“ ათობით მოზარდი ნერგი. რა გინდა, სულო და გულო, აქ არ ნახო, — სხვადასხვა ჯიშის ფიჭვი, პალმა, მუხა, შირაქისა და ელდარის უდაბ-

თინა მასწავლებლის ერთ ყველაზე უფრო ყოჩაღ ბიჭს — დათო ქიტუაშვილს. წინადადება მიუცია მასწავლებლისთვის, ბიჭებს დავრაზმავ, მოტოროლერით მთის საუკეთესო მიწას ჩამოვიტანთ და იქნებ იმ მიწაში იხაროსო. მეორე ნერგი თბილისში იშოვეს: ამან უფრო გაუმართლათ. ჰოდა, იზრდება გურჯაანელთა წალკოტში დათოსა და მისი მეგობრების სახელზე დედამიწის სხვადასხვა მხრის ხე-მცენარეებთან ერთად პატარა სეკვოიაც...

აქ სულ რაღაცა იტაცებს თვალს!.. ეს ნაზწიწვოვანი იაპონური კრიპტომერიაა, აკონილი იზრდება და მის ნახვას იშვიათად თუ რამე სჯობს; ეს ლარიქსია — ციმბირული მცენარე, ზამთრობით ყრის და გაზაფხულზე ისევ გამოაქვს თოთო წიწვი; ეს ბრაზილიური მცენარეა — არაუკარია.

დენდრარიუმის თითოეულ ბინადარს საკუთრად ჰყავს თავისი პატრონი. ასე უფრო საინტერესოა, მათზე გაპიროვნებულ მცენარეებს ბავშვები ცივ ნიავს არ აკარებენ, ხეც უფრო დალხენილია და მისმა მომვლელმაც თავისი ყოველდღიური საკეთებელი იცის. ამ ზაფხულსაც შემოიღეს დენდრარიუმში მორიგეობის ორკვირიანი გრაფიკი. თუმცა



საქმეში დაზარება აქ არავინ იცის

ან გრაფიკი რად უნდოდათ, სასიამოვნო სამუშაოს ისეც ვერ ელევიან. სული დენდრარიუმში მოაქვთ მეთერთმეტეკლასელებს დათო ქიტუაშვილს, იასონ ბაკაშვილს, ალექსანდრე ნადაშვილს, მათ მეგობარ გოგონებს, მეათეკლასელებს — ხათუნა სონღულაშვილს, ლელა ნადაშვილს, ქეთინო ცუგოშვილს. ამ თვალწარმტაც შემოღობილში ყველანი დიდხანს და თავაუღებლივ ტრიალებენ. ზოგს კი ასეთი უცხო მცენარეები, თინა მასწავლებლის წყალობით, საკარმიდამო ნაკვეთშიც აქვს გაშენებული — „აქაური" ფათალო, ფეიხოა, პალმა, ანონა, ბანანი...

მაღალი ბალახია მოძალებული დენდრარიუმში. ბიჭები არც თიბავენ. ახლა გვალვებია, ბალახი კი ტენს ინახავს, მცენარეს სიცხის გაძლებას უადვილებს. თინა მასწავლებელსაც არაფერი გამოეპარება — ყოველი ფოთლისა და წიწვის მოწყენას ერთი შეხედვით ამჩნევს, იმავ წამს იძლევა შესაბამის და-



ზურა ცისკარიშვილი ნატურალისტთა წრის ყველაზე ყოჩაღი ბიჭია.

ვალებას. მოუსვენარია; ეს მოუსვენრობა მის მოსწავლეებსაც ახასიათებთ, იქნებ, მასწავლებლის გავლენითაც. ვერ უძლებს თინა მასწავლებელი, ნერგი თუ შემოაკლდა; თუ თბილისიდან, ბათუმიდან და სოხუმიდან არაფერი მოაწოდეს, თავად იცვამს „რკინის ქალამნებს"... მთელი კავკასიონის მთიანეთი ფეხით აქვს დავლილი. ნაკრძალი არ დარჩენია საქართველოში, რომ იქ არ ყოფილიყოს, რა თქმა უნდა, თავის შეგირდებთან ერთად მოგზაურობს. ახლაც ისტორიულ ჰერეთში აპირებენ გამგზავრებას — ლაგოდეხის ნაკრძალის ბილიკებით უნდა იარონ. ერთ დღეს ვივლით და კავკასიონზე 3.000 მეტრზე ავიმაღლებთო; კარავს დავცემთ და მთაში მხოლოდ ერთ ღამეს გავათევთო. თითქმის უკვე დაკომპლექტებულია ჯგუფი — შვიდი ბიჭი და სამი გოგონა მიიღებენ ლაშქრობაში მონაწილეობას. ერთი სიხარული აქვთ შემდგარი — ნაკრძალის იშვიათ ბინადართ, დიდებულ ნადირ-ფრინველს ვნახავთო... თანაც ლაგოდეხის ნაკრძალის დირექტორის დაპირებაც ზურგს უმაგრებთ — მთაში, მაღლა და მაღლა თუ სადმე სიცოცხლის ელექსირი შემოგხვდეთ, ამოძირკვეთ და თქვენს დენდრარიუმში წაიღეთო... სასკოლო დენდრარიუმისთვის კი ამ იშვიათი სამკურნალო მცენარის ნერგი მართლაც საოცარი შენაძენი იქნებოდა.

ცოტა ზემოთ თინა მასწავლებლის მოუსვენრობა ვახსენეთ... ამ თვისებით მას მარტო სკოლაში კი არა, მთელს სოფელშიც გამოარჩევენ. იქვე ცხოვრობს — სკოლის მისახედ-მოსახედზე, სხვა უფრო უკეთსი ფონი თავისი მშობლიური კერისთვის არც უნატრია. ყოველ ცისმარე დღეს გასცქერის სკოლას და მის ეზო-გარემოს, თავის ყოველდღიურობასაც მის კეთილდღეობას ახმარს, მარტო გაკვეთილებითა და დენდრარიუმითაც ვერ ცხოვრობს. ამ რამდენიმე წლის წინათ გეოგრაფიული მოედანიც მოაწყო. მართლაც ძალიან ლამაზი მოედანი გამოვიდა — საკუთარი ზღვით, კუნძულითა და ნახევარკუნძულით, მზის საათით... უკმარობის გრძნობა კი მაინც დარჩა, უკმარობის გრძნობა და სულ ახალი და ახალი საქმეების მიგნებისა და გაძღოლის სურვილი. მოუსვენრობისა არ იყოს, ამ თვისებებსაც გადასდებს ხოლმე თავის მოსწავლეებს. და არ შეიძლება, არ გაგიხარდეს, რომ მისით აქ იზრდებიან მამულიშვილები, რომელთაც ალბათ ბევრი ძნელი საქმე ვერ დაუმაგრდება.

## თენგიზ კოზერიძე

### ამ მიწის დაცვა ყველას ვალია

აი, დაჰყურებთ
უბრალო მიწას,
მაგრამ უბრალო
სულაც არ არის, —
იგია ყველა
ცოცხალის ძიძა,
ამ ქვეყნის მადლი
დაუფარავი.
ქვეყნად სუყველას
მისი ვალი აქვს,
ვისაც მის გულზე
უდგას კარავი.
ამ მიწის დაცვა
ყველას ვალია,
განზე არ უნდა
გადგეს არავინ.

### თვითონ მოისრა

ჩვენი ლურჯი ცა და
ჩვენი მწვანე მიწა
მტერმა ბევრჯერ სცადა,
ურცხვად წაებილწა.
ეზრდებოდა მადა,
არ ცხრებოდა მტერი,
ვერ წაგვართვა ცა და
ვერ დაჯაბნა ერი.
ბევრჯერ დაგვატეხეს
თავს რისხვა და წყრომა,
თვით მოისრა, ჩვენი
მოსრა ვინც ინდომა.

## პაატა სულთანიშვილი

### მწყემსებთან

მიმქრალი კოცონი ციალებს,
ღრუბლები შექუჩდნენ ჯარად,
ვიშუშებ დარდიან იარებს,
წყვდიადი ბალღივით მზარავს,
დროდადრო გაისმის ხმა მეხის,
იწყება თქარუნა წვიმა,
დაერთვის ზედ შფოთვა ფარეხის
და ზეცას მადლობას ვწირავ,
რომ შიში დღეს არ გაგვიმართლდა,
გვაშორა სეტყვა და თქეში.
ფიქრებში ნელინელ ინათა,
დუმილი ჩამოდგა ტყეში.
გათენდა, დამშვიდდა ბუნება,
მწყემსის შეძახილი ისმის,
ტოროლა მზეს ეზულზულება,
მთებმაც მოიცილეს ნისლი.
ეს შფოთვაც სულ მალე შეწყდება,
მეც ვტოვებ სიზმრების კარავს,
ნაბდები მოისხეს მწყემსებმა,
მთის კალთებს შეუყვა ფარა.

### ნადირობა ქედის მთებში

აფრებივით ტალღებს შლის,
ჩქეფს ჭანჭახი ანკარა.
იმ მთვარიან ღამეში
ჭიუხში სვლამ დაგვღალა.
ნადირობით დავლაშქრეთ
ქედები და გზაწვრილი,
თავზე გვადგა ბუზას მთა,
ლაჟვარდ ცაში აწვდილი.
უცებ შედგა ძმაკაცი,
სწრაფ სიარულს ნაჩვევი,
მიჩურჩულა: „ხევგალმა
ბალახს ძოვენ არჩვები...“
მეც დავლანდე ისინი
ახალშობილ ციკნებით.
უხმოდ დიდხანს ვიდექით,
დაფანტულ ფიქრს ვიკრებდით.
იმ ციკნების მაგივრად
ბალღებს ვგავდით შემკრთალებს,
ბოლოს გონს რომ მოვედით,
გავუღიმეთ ერთმანეთს.
მერე დინჯად დავყევით
მწვანე გზის დასალიერს,
და წყაროზე სიცოცხლის
სადღეგრძელო დავლიეთ.

# პიონერული ორგანიზაციების ქარავანი

## გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პიონერული ორგანიზაცია შეიქმნა 1948 წლის დეკემბერში, 1952 წლიდან კი მას გერმანიის მუშათა კლასის ბელადის ერნსტ ტელმანის სახელი ეწოდა. ახლა მის რიგებში გაერთიანებულია 7-დან 14 წლამდე ასაკის თითქმის ორი მილიონი ბავშვი: უმცროსკლასელები გაერთიანებული არიან ნორჩი პიონერების რაზმებში, უფროსები — პიონერ-ტელმანელთა კოლექტივებში.

ბევრი ბავშვია გატაცებული მეცნიერულ-ტექნიკური შემოქმედებით. ყოველწლიურად ეწყობა ნორჩ ტექნიკოსთა დაფესტივალიერებები. საუკეთესოებს უფლება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ „მომავლის ოსტატთა ბაზრობაში“.

პიონერებს ერთიანი ფორმა აქვთ — მუქი შარვლები (ქვედა კაბა) და თეთრი პერანგები. ოღონდ, ყელსახვევები ნორჩ პიონერებს ლურჯი აქვთ, პიონერ-ტელმანელებს კი — წითელი.

ხელმძღვანელი ორგანოა ერნსტ ტელმანის სახელობის პიონერული ორგანიზაციის ცენტრალური საბჭო. მისი მისამართია: ბერლინი, უნტერ-დენ-ლინდენ, 36/38.

## კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკა

კამპუჩიის პიონერული ორგანიზაცია შეიქმნა 1980 წლის იანვარში ეროვნული გადარჩენის ერთიანი ფრონტის გადაწყვეტილებით. მის შემადგენლობაში არიან 9-15 წლამდე ასაკის ბავშვები. ორგანიზაციის რიგებში მიღებამდე ბავშვები სამთვიან საგამოცდო ვადას გადიან. ყველა კამპუჩიელი პიონერი იბრძვის „სამი კარგის“ მისაღწევად, რაც ნიშნავს: იყო კარგი შვილი, კარგი მოსწავლე, კარგი მეგობარი.

ხელმძღვანელი ორგანო, კამპუჩიის სახალხო რევოლუციური ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტი, მდებარეობს პნომპენში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰეი, თქვენ!..



ნუგზარ აფხაზავა
მხატვარი
იოსებ სამსონაძე

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ერთადერთი, ვინაც ალექსანდრეს ბეჭებს შუა წამით გარჭობილი ელვის უწვრილესი ისარი დაინახა, ჭაბუკი მწდე იყო, რომელიც სწორედ იმ წუთს შემოვიდა ღვინით სავსე თუნგით ხელში. შიშისაგან ენაწართმეულმა ისიც შენიშნა, როგორ შეირხა მყისიერად ალექსანდრე, როგორ შეიზნიქა ზურგი და როგორღაც არაბუნებრივად გადააგდო თავი უკან. მწდემ თვალებში ხელი ამოისვა, იქნება მეჩვენებაო (თვითონაც ჰქონდა შესმული ორიოდ თასი ნუნუა), მაგრამ თვალი რომ გაახილა, ალექსანდრე უკვე ხელში აეტაცათ და საწოლი ოთახისაკენ მიარბენინებდნენ მეგობრები.

ეს იყო და ეს.

მეორე წამს კი ყველაფერი დაავიწყდა.

## 5. უკანასკნელი სიზმარი

სიკომეკოს პროგრამის მე-4 წელი,
294-ე დღე, მე-8 საათი, 26-ე წუთი.

მარქაფა ცხენი უმჯობესი გამოდგა, უფრო სწრაფიც, ამტანიც და გონიერიც. ამოდენა გზაზე მათრახი და შეძახება არ დასჭირვებია, ქუსლის ოდნავი მიკარებაც კი ჰყოფნიდა. თანაბარი სიჩქარით მიდიოდა, აღმართსაც ისე სძლევდა, ვერც კი შეატყობდი, მუხლს ძალას ატანსო. მთელი დღის განმავლობაში სულ სამჯერ შეაჩერა მხედარმა დასარწყულებლად, მაშინაც ზომიერად შესვა წყალი ჭკვიანმა ცხოველმა, არ დაჰხარბებია ზოგიერთი უგუნური კაცივით, თითქოს იცოდა, დიდი და მძიმე გზა რომ ედო წინ და არ ივარგებდა ტანის დამძიმება.

მაგრამ საღამოს ჟამს მაინც შეეტყოთ დაღლილობა ცხენსაც და მხედარსაც. კაცს ფეხები დაუბუჟდა, წელში სტეხდა, ბეჭებს ველარ გრძნობდა. ცხენს ნელ-ნელა გაუოფლიანდა ზურგი, კისერი ოდნავ დაუშვა, ისე ამაყად ველარ ეჭირა თავი. ნაბიჯიც დაუმძიმდა. იგრძნო მხედარმა, აუცილებელი იყო დასვენება, ორი-სამი საათით მაინც. მერე ღამით ივლიდნენ, სიგრილეში, და აღარც ასეთი გიჟური სრბოლა იქნებოდა საჭირო, რადგან მდევარსაც უთუოდ დასჭირდებოდა სულის მოთქმა. მადლობა ალაჰს, კარგა მანძილი ჰქონდა მოგებული უკვე.

სერი გადაიარეს და ქვემოთ, ხეობის სიღრმეში, პატარა სოფელიც გამოჩნდა. სოფლის სახელი არ მოესენებოდა მხედარს, მაგრამ ის კი იცოდა, — სულ ახლოს, აგერ, იმ უნაგირა მთის გადაღმა ფერდობზე, სოფლის სამხრეთით რომ აღმართულიყო, დიდი მდინარე, მშფოთვარე ტიგროსი იღებდა სათავეს. იმის იქით აღარა უჭირდა რა დევნილს, სამშვიდობოს დაიგულებდა თავს, მდინარეს დაჰყვებოდა, ორიოდ თვეში მოზრდილ ლაშქარს შეჰყრიდა, შემობრუნდებოდა და კუდით ქვას ასროლინებდა უგედე-ყაენის რჩეულ ნოინებს.

მხარმარცხნივ მწვანედ მოხასხასე ფერდობს ცხვარი შეფენოდა. მხედარმა ოდნავ მოზიდა აღვირი, დაღლილი არწივის მზერა მოავლო იქაურობას, მწყემსებს ეძებდა თვალით. ის იყო, დაინახა კიდეც ხის ძირას დაყუდებული კომბლიანი, თეთრფაფახიანი კაცი, და მხარმარცხნივ ყეფაც შემოესმა. ვეება თეთრ-ყვითელი ქოფაკი ზვავივით მოექანებოდა თავქვე. ზორბა ტორებს გამეტებით ურტყამდა მიწას, ბლუჯა-ბლუჯად ცვიოდა აქეთიქით ძირიანად მოთხრილი ბალახი. ხის ქვეშ დაყუდებული მწყემსი, თითქოს ზეზეულად სძინავსო, არ განძრეულა, ერთიც არ შეუძახნია ძაღლისათვის. მაშინ მხედარმა ხანჯალზე გაივლო მარჯვენა, აღვირი უნაგირის კეხს გამოსდო, მარცხენა ხელი წინ გაიშვირა, შეიცადა, ვიდრე ქოფაკი კამარას შეჰკრავდა ავი ღრენით, ოდნავ გადაიხარა, ძაღლს ქეჩოში სწვდა, მარცხენა იღლიაში ხანჯალი ჩასცა და მაშინვე ხელი უშვა.

ყოველივე ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ მწყემსმა განძრევაც კი ვერ მოასწრო, ხოლო როცა გონს მოვიდა, ბილიკზე დანარცხებულ ქოფაკს უკვე შეეწყვიტა ფართხალი, მის წინ კი ნესტოებდაბერილ, გაქაფულ ცხენზე ამხედრებული პირქუში კაცი იდგა.

— ვინა ხარ?!

ასე მხოლოდ მბრძანებლები იძლევიან კითხვას.

— მწყემსი ვარ. შენ თვითონ ვინა ხარ?! რად მომიკალი ძაღლი?!

მხედარმა უბეზე გაივლო ხელი, ხელისკისფერი ხავერდის მომცრო ქისა ამოიღო და მწყემსის ფეხებთან დააგდო მიწაზე.

— შენივე ბრალია, მაგრამ აჰა, ძაღლის საფასურად გქონდეს. მანდ კიდევ არის იმდენი, რომ დამანაყრო და მომასვენო კიდეც. რა გქვიან?

— თაჰმა.

— თაჰმა. სპარსულად მამაცს ნიშნავს. სპარსი ხარ?

— ქურთი.

— თურქმანულად კი კარგად ლაპარაკობ.

— ჰო, დედა მყავდა თურქმანი.

გაგრძელება. იხ. „პიონერი“ № 6.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხედარმა დასავლეთს გახედა. მზე სანახევროდ ჩასულიყო. ცოტაც და, ბინდი ჩამოწვებოდა მთაში.

— ღამეს სად ათევ, მწყემსო?

— აგერ, იმ მუხის ძირას პატარა კარავი მიდგას.

— იმ კარავში შუაღამემდე მე დავიძინებ. ნაშუაღამევს გამაღვიძებ. მე გზას დავადგები, შენ კი მყისვე დაივიწყებ ჩემს არსებობას. გასაგებია?

— გასაგებია.

— ცხენს მაძღრისად მიჭმიე!

...ტყაპუჭი წაიფარა და მაშინვე ძილეთში ჩაიძირა. ესიზმრა:

მზით განათებულ ველზე მიაქროლებდა თეთრონს ხმალშემართული მამაცი სარდალი, უკან ყიჟინით მოჰყვებოდა ერთგული მხედრობა, ცხენების ფლოქვთა ქვეშ ზანზარებდა მიწა. მტერი თავქუდმოგლეჯილი გარბოდა ბრძოლის ველიდან, კისრისტეხით მიექანებოდა თავქვე, ღრმა ხეობისაკენ, სადაც ყორნისფერი ბინდი იყო ჩაწოლილი. ხევს გაღმა მდიდარი ქვეყანა ელოდა გამარჯვებულს, ოქრო და თვალ-მარგალიტი, ლამაზი ქალები, გადასაწვავი სოფლები, დასანგრევი ეკლესიები, გასაჩეხი ვენახები... აჰა, შთანთქა კიდეც მტრის ლაშქარი ხევში ჩაბუდებულმა უკუნეთმა. აღვირი მოზიდა მაშინ სარდალმა, მაგრამ ვაი, რომ არა, სვლა არ შეუნელებია თეთრონს! პირიქით, უფრო მეტი სიჩქარით განაგრძო ქროლვა! საიდანღაც გაავებული ქოფაკის ბრდღვინვა მოესმა მხედარს და უკან მოიხედა. ალლაჰ! — აღარსად იყო მისი მხედრობა, შავ გველეშაპს ჩაეყლაპა ისიც. და უცებ გაუსაძლისი ტკივილი იგრძნო მარცხენა ძუძუსქვეშ, უნასივით შეუსრიალდა ნეკნსა და ნეკნს შუა ყინულის ლოლუასავით ცივი ლითონის წვეტი. პირი დაალო და რისხვიანი ყვირილის ნაცვლად უილაჯო ხავილი ამოხდა ხორხიდან, თვალი აახილა და ვეღარაფერი დაინახა თვალგაუწვდენი ლუსკუმა წყვდიადის მეტი...

●

თაჰმა კარავთან იჯდა ჯერ კიდევ სითბოშერჩენილ ლოდზე და იქვე მშვიდი ფრუტუნით მობალახე თეთრონს შეჰყურებდა. თავის სიცოცხლეში არ ენახა მსგავსი ბედაური მწყემსს, ას ცხვარს გასცემდა მის სანაცვლოდ ნებისმიერი მთიელი. მდიდარი კაცი ჩანს ეს თურქმანი, უბრალო ვინმეც არ უნდა იყოს. მაგრამ რად მოუკლა ძაღლი ამ გადამთიელმა, რა დაუშავა ასეთი?

„მოჰკალ სანაცვლოდ! მოჰკალ!“

თაჰმა შეკრთა, მიმოიხედა. ახლომახლო არავინ ჩანდა. მერე ცას აღაპყრო მზერა. მეტეორმა გაიელვა წამით და ჩაქრა. მერე ზედიზედ კიდევ გაჰკვეთეს სივრცე ცეცხლოვანმა ხაზებმა.

„მოჰკალ სანაცვლოდ! მოჰკალ!“

მწყემსი წამოდგა, შებრუნდა და მონუსხულივით მიაჩერდა კარვის კარს, საიდანაც მძინარის ფშვინვა მოისმოდა. ერთხანს ასე იდგა, უძრავად, ქანდაკებასავით. მერე წელზე ხელი გაივლო, ქამარზე დაკიდებული ხანჯლისშვილი მოისინჯა, ჩაიჩოქა და კარავში შეძვრა.

ცოტა ხნის შემდეგ უკანვე გამოვიდა უკუსვლით, მოკლულის გვამი გამოათრია ხვნეშით და ხევში გადაუშვა.

მობრუნებაც ვერ მოასწრო — თეთრონი ადგილს მოსწყდა და შემზარავი ჭიხვინით თან გადაჰყვა პატრონს.

●

ასე შეეწირა ქურთი მწყემსის ძაღლის სიცოცხლეს მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სისხლისმსმელის — ჯალალ ად-დინის სიცოცხლე.

## 6. შავკურტაკიანი კაცი

სიკომეკოს პროგრამის მე-4 წელი,
204-ე დღე, მე-8 საათი, 39-ე წუთი, 24-ე წამი.

— ჰეი!

მჭახე შეძახილმა მოქნეული ხმალივით გაჰკვეთა ზამთრის სუსხიანი ჰაერი. გაჰკვეთა და ისევე უცებ გაქრა, როგორადაც გაისმა.

ის, ვისაც „ჰეი“ დაუძახეს, ხმელ-ხმელი, საკმაოდ ტანმაღალი, ოდნავ ბეჭებში მოხრილი კაცი იყო. ასე, 24-25 წლისა იქნებოდა, თუმცა, თვალებში რომ ჩაგეხედათ, გაცილებით მეტს მისცემდით — უძირო, ფოლადისფერი თვალები ჰქონდა, მზერა — ცივი და უსიცოცხლო, უპეები — შესიებული. ვიდრე „ჰეის“ დაუძახებდნენ, მოზომილი, თანაბარი ნაბიჯით მიდიოდა ტროტუარზე, ხელები ღრმად ჩაეწყო შავი კურტაკის ჯიბეებში, თან საყელო აეწია (თუმცა არცთუ ისე უსაშველოდ ცი-



ოდა). შემხვედრი მოქალაქეებისათვის გვერდის ავლას არც კი ცდილობდა — თვითონ უვლიდნენ გვერდს, იფიქრებდი, რაღაც უხილავი დამცავი ველი აკრავსო გარშემო. „ჰეი" რომ დაუძახეს, მასთან ერთად ერთმა რუხკოსტიუმიანმა კაცმა მოიხედა — იგი ზუსტად იმ წამს წამოეწია შავკურტაკიანს, გაუსწორდა და ის იყო, უნდა გადაესწრო კიდეც მისთვის... ერთდროულად შეხედეს „ჰეის" დამძახებელს, ორივეს ერთდროულად მოსჭრა თვალი მის ხელში ანტრაციტისფრად — შავი მუქარით — აელვარებულმა დამბაჩამ (უცნაური ლულა ჰქონდა იმ დამბაჩას — ტიტას უწყინარ ყვავილს მიუგავდა ტუჩი). წამით ორივე დააბრმავა იქიდან გამომკრთალმა იასამნისფერმა ელვის ისარმა. მეორე წამს რუხკოსტიუმიანმა მოქალაქემ თავი მიაბრუნა და მაშინვე გადაავიწყდა ის ელვაც, ის „ჰეიც", ის შავკურტაკიანის მხრებში მოხრილი ფიგურაც, რომელსაც ეს-ესაა წამოეწია, გაუსწორდა და უნდა გაესწრო კიდეც... სხვებს — სხვა გამვლელებს — არც ძახილი გაუგონიათ, არც დამბაჩა შეუნიშნავთ, არც არავითარ ელვას არ მოუჭრია მათთვის თვალი. არც ის დაუნახავთ, როგორ მყისიერად გაქრა (თუ გადნა და ჰაერს შეერია) შავკურტაკიანი მოქალაქე.

თუმცა არა, როგორ არა, ყოველი დეტალი ცხადად დაინახეს, მაგრამ...

მაგრამ ყველაფერი მყისვე დაავიწყდათ.

ხოლო იმან, ვინც „ჰეი" დაიძახა, თავისი უცნაური ფორმის დამბაჩა დუნაის ტალღებში მოისროლა, ლაბადის საყელო აიწია, კეპი თვალებამდე ჩამოიფხატა და ნაბიჯი ააჩქარა. ის იყო, გაჩერებასთან მივიდა, რომ ტრამვაიც ჩამოდგა. კეპიანი კაცი უკანა კარიდან შევიდა ბოლო ვაგონში. ტრამვაი პეშტისკენ მიდიოდა.

## 7. უკანასკნელი ცნობები

„...გუშინ დილიდანვე მდინარის ზემო წელში წვიმა შეწყდა და დუნაის წყლის დონემ საგრძნობლად იკლო. ასე რომ, მდინარისპირა სოფლებისა და ქალაქების მცხოვრებთ შეუძლიათ ამაღამ მშვიდად იძინონ — წყალდიდობის საფრთხემ გაიარა.

...დებრეცენელმა მშრომელებმა ტრადიციას არ უღალატეს და წლეულსაც ისახელეს თავი — მათ გადაჭარბებით შეასრულეს მიმდინარე ხუთწლედის ბოლოსწინა წლის გეგმა და კიდევ ერთხელ დაიმსახურეს რესპუბლიკის მთავრობის მადლობა...

...ბალატონის ტბაზე დამთავრდა ტურისტული სეზონი. ტბისპირა ტურბაზებმა წლევანდელი წელი წარმატებით დაამთავრეს — ბალატონზე შარშანდელთან შედარებით ათას ხუთასით მეტმა ტურისტმა დაისვენა.

ახლა მოისმინეთ ერთი განცხადება:

11 დეკემბერს თავისი ბინიდან გამოვიდა და შინ აღარ დაბრუნებულა მეცნიერ-კიბერნეტიკოსი ფერენც ხევეში. უკანასკნელად იგი ნახეს მაშინ, როცა სადარბაზოდან გამოდიოდა. ხევეში ახალგაზრდა კაცია, შემოდგომაზე შეუსრულდა 24 წელი, თუმცა გარეგნულად ოცდაათისაზე უხნესად გამოიყურება (ტელევიზორის ეკრანზე ფერენც ხევეშის პორტრეტი გამოისახა). სიმაღლე — 182 სანტიმეტრი, ოდნავ ბეჭებში მოხრილია, ნაცრისფერთვალებაა, შავგვრემანი. აცვია შავი ნეილონის კურტაკი (სამხრეებიანი), მუქი შარვალი და შავი ფეხსაცმელი. ფერენც ხევეში დიდმნიშვნელოვან მეცნიერულ პრობლემებზე მუშაობდა და გამორიცხული არ არის, რომ შანტაჟის მიზნით იყოს გატაცებული (ეკრანზე ისევ დიქტორია). ტელემაყურებლებს ვთხოვთ, თუ რამე იციან ან რამეს შეიტყობენ ფერენც ხევეშის ადგილსამყოფელის შესახებ, დაუყოვნებლივ დარეკონ ტელეფონებით: 582-12-27 ან 582-12-28..."

## 8. თვალი

სიკომეკოს პროგრამის მე-4 წელი,
294-ე დღე, მე-8 საათი, მე-40 წუთი, 86-ე წამი.

ბესო კარანაძეს მოშხამულ გუნებაზე გაეღვიძა. ახალგათენებული იყო. ტყვიისფერი ცა თავზე ჩამომხობოდა ქალაქს. ჟინჟღლავდა. მტკვარგაღმა ძლივს ილანდებოდა დიღმის თექვსმეტსართულიან შენობათა კონტურები. ოთახში ბლანტ, ნესტიან სიცივეს გაეჟღინთა ლოგინი, ჭერი, კედლები, იატაკი, ავეჯი.

თვალი ერთხანს კიდევ აკვირდებოდა ბესოს. მერე ჩაქრა. ზუსტად ისევე, ტელეეკრანზე გამოსახულება რომ გაქრება ხოლმე, როცა ამომრთველს თითს დააჭერ.



თვალი!

ვეებერთელა ღია ცისფერი ოვალი, მის გეომეტრიულ ცენტრში — ყავისფერი წრიული ლაქა, ლაქის გარშემო — ორი მოყვითალო კონცენტრული წრეხაზი. ოვალი ოდნავ შესამჩნევად მოძრაობს ხან — ერთი, ხან — მეორე მიმართულებით. ყავისფერი წრიული ლაქა თითქმის მუდამ ბესოს თავის ტვინისკენაა მიმართული და განუწყვეტლივ უწიწკნის,უჩხვლეტს, უბურღავს ყოველ უჯრედს, მიძვრება თითოეული მათგანის სიღრმეში, ძირისძირობამდე სწვდება, ფუთფუთებს, უხილავი თითებით სინჯავს და სწავლობს მის კედლებს, მასას, შედგენილობას...

მერამდენე წელია უკვე!..

პირველად თვალი პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბოლო კურსზე დაესიზმრა. იმ დროს თავის მეგობართან, ლადო ზარნაულთან ერთად სადიპლომო პროექტზე მუშაობდა. დრო არ ითმენდა, დაცვამდე თვეზე ნაკლები რჩებოდა და ბიჭები თავს არ იზოგავდნენ. მაგრამდაც იღლებოდნენ, მერე ქანცგაწყვეტილებს მკვდარივით ეძინებოდათ და დილით სამი მაღვიძარას ერთდროული გამაყრუებელი ზრიალი ძლივს ახელინებდა თვალს. ორივეს საზიარო სადიპლომო პროექტი ჰქონდა, ხელოვნური გრავიტაციის პრობლემებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმტვრევდნენ თავს. ერთხელ, ძილის წინ, ვიდრე ცხად სამყაროს მთლიანად გამოეთიშებოდა, ბესოს გონებაში გენიალურმა მიხვედრამ გაიელვა: ჭაბუკ დიპლომანტს უცებ ანტიგრავიტონების ორიგინალური გენერატორის პრინციპული სქემა წარმოუდგა თვალწინ. იმის ძალა აღარ ჰქონდა, ამდგარიყო და ზოგი რამ ჩაეხაზა ან ჩაეწერა. თავი დაიიმედა, დილამდე ხუთიოდე საათიღა რჩება, არ დამავიწყდებაო, და ძილეთში ჩაიძირა. მით უმეტეს, ლადო უკვე გემრიელად ფშვინავდა მოპირდაპირე კედელთან...

პირველად სწორედ იმ ღამეს დაესიზმრა **თვალი**...

გინახავს ოდესმე სიზმარში საკუთარი თავი, როცა უცებ დედიშობილა აღმოჩნდები შუა ქუჩაში, ასობით ამვლელ-ჩამვლელის, დიდისა და პატარის, მოხუცისა და ახალგაზრდის, კაცისა და ქალის წინაშე? როცა აღარ იცი, რა წყალში ჩავარდე, სად გაიხეთქო მიწა, ტიტლიკანა სხეულის რომელი ნაწილი დაიფარო ხელით, რომელ ხეს თუ ფარნის ბოძს აეკრა და ჩაეხუტო, რომელ სადარბაზოში შეჰყო თავი... მაგრამ არა, ყველა ცდა ამაოა, არსაიდანაა ხსნა, ჯვარს ეცვი, თუ გინდა... და იწვი, იწვი სირცხვილითა და საკუთარი უმწეობის არანაკლებ მწვავე სახმილით...

დაახლოებით ასეთი გრძნობა განიცადა იმ ღამეს ბესომ, როცა **თვალის** დაჟინებული მზერა ესიზმრა. დილით, სტუდქალაქის სასადილოში საუზმობისას, ლადოს უამბო თავისი სიზმარი.

— ჰიჰ! — ათვალწუნებით აიქნია ხელი ლადომ და გრილი წყალწყალა ჩაი მოხვრიპა. — თვალი არა, ტოროლას მწვადი!..

გონებაში ძილის წინ წამით გაელვებული სქემა ბესომ დილით ველარ აღადგინა. დიდად არც უმტვრევია თავი — სადიპლომო პროექტი ჰქონდა მოსათავებელი და სად ეცალა რაღაც ბუნდოვან წარმოსახვათა გასარკვევად! აი, **თვალი** კი... **თვალი** ვერ დაივიწყა, ვერა და ვერ მოიშორავეებერთელა ღია ცისფერი ოვალის გამოსახულება, თითქოს ყველგან რომ თან სდევდა, ყოველ წამს დასცქეროდა ზემოდან, უთვალთვალებდა, სწავლობდა...

ერთი თვის შემდეგ ისევ დაესიზმრა. ორი კვირა გავიდა და კვლავ მოევლინა ძილ-ბურანში მყოფს. მერე ზედიზედ რამდენიმე ღღეს არ მოსცილებია.

რაღა არ სინჯა — რა ლიუმინალიო, რა ვერონალიო, რა დიმედროლი და სედუქსენიო — სტუდქალაქის ექიმმა ურჩია (**თვალი** არ უხსენებია, რაღაც ურჩხული მესიზმრება და არ მასვენებსო, მოატყუა). არაფერმა გასჭრა.

ერთ დილით (იმ ღამესაც ესიზმრა **თვალი**) გაეღვიძა და უცებ უცნაური რამ მოუვიდა თავში: ეტყობა, ვიღაც მიკროსკოპით მაკვირდება, ის — გოლიათია, მე — ერთი რაღაც მღილი, რომელიც შეუიარაღებელი თვალით არ ჩანს, და გამორიცხული არ არის, ერთ მშვენიერ დღეს (თუ ღამეს) ქინძისთავი მაძგეროს, რათა დაინახოს, ამ ჩხვლეტას რა რეაქცია მოჰყვებაო... მერე საკუთარი თავი წარმოიდგინა მიკროსკოპის სასაგნე მინაზე და გაეცინა, იმდენად სულელური სურათი გამოვიდა. მაინც ძლივს შეიკავა თავი, ხელები რომ არ აღეპყრო ზევით და არ დაეყვირა:

— ჰეი, თქვენ! აღარ გამანებებთ თავს?!.

ბაქტერია... ვირუსი.., გაკვეთილი ბაყაყი.. საცდელი ბოცვერი... რა საძაგლობაა!

ერთი პირობა ფსიქიატრთან მისვლა დააპირა, მაგრამ ბოლო წამს გადაიფიქრა, კაბინეტის კართან მისული გამობრუნდა.

კაცმა რომ თქვას, **თვალი** ისეთს მაინცდამაინც არაფერს უშავებდა. ეგ არის, ის სირცხვილნარევი უხერხულობა იყო ძნელი ასატანი, თორემ ძილი არ აკლდებოდა, გონება და სხეული ღამის განმავლობაში სრულფასოვნად ისვენებდა, არც თავი სტკიოდა ხოლმე დილაობით. მით უმეტეს, იშვიათად თუ დაესიზმრებოდა თვეში ერთზე მეტად. ჰოდა, თითქმის შეეჩვია.

მაგრამ ამ ბოლო ხანს რატომღაც მოუხშირა და აგერ უკვე მესამე კვირა იწურება, ყოველღამ ესიზმრება, დაძინებისთანავე **აინთება** და მერე გაღვიძებამდე **ანთია**, უწიწკნის, უბურღავს, უღრღნის ტვინის ყოველ უჯრედს. არადა, ერთი ნაბიჯიღა დარჩა ბესოს მთავარ მიზნამდე, თითქმის მიაგნო ანტიგრავიტონული გენერატორის აგების პრინციპს, სწორედ იმას, სტუდენტობისას ერთი წამით რომ წარმოუდგა თვალწინ.

წუხელ განსაკუთრებული ინტენსივობით სწავლობდა **თვალი** ბესოს. თუ სხვა დროს ოდნავ მაინც მოარიდებდა ხოლმე (წამით მაინც!) ცენტრალურ წრიულ ლაქას (თითქოსდა, სარეგისტრაციო ჟურნალში დაკვირვების ჩასაწერად!), ახლა, ნურას უკაცრავად, თითქოს გაქვავდაო, უმოძრაოდ დასცქეროდა ჭერის სიმაღლიდან. და იყო რაღაც შემაშფოთებელი და საგანგაშო ამ დაჟინებულ თვალთვალში, დამამცირებელ-დამაკნინებელზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

სწორედ ამიტომ გაეღვიძა ამ დილით ბესოს მოშხამულ გუნებაზე. განსაკუთრებით იმან მოშალა, გაღვიძების შემდეგაც რომ არ მოუცილებია **თვალს** მზერა.

არ უსაუზმია, ისე მიუჯდა მაგიდას. გაშლილ ნახაზებს დააკვირდა, ცოტა ხანს დაძაბული ფიქრობდა გუშინდელ ნამუშევარზე. მერე ის იყო, წამით განათდა გარშემო ყველაფერი და ბესო კარანაძეს უცებ თვალწინ დაუდგა ანტიგრავიტონური გენერატორის დასრულებული სქემა. მეორე წამს კი კეფაში საშინელი ტკივილი იგრძნო, თითქოს დაშნის წვეტი დააძგერესო, და მაშინვე უკუნ სიბნელეში ჩაიძირა.

სკამიდან აღარ წამომდგარა.

გარეთ კი...

ნისლი თანდათან აიკრიფა მტკვრის ზედაპირიდან. ჟინჟღვლაც შეწყდა. ცა ნელ-ნელა ამაღლდა და გარემო ოდნავ განათდა. შუადღისას, ალბათ, მზეც გამოაჭყეტდა თვალს.

## 9. დაუმთავრებელი ნახაზი

„ძმა თორნიკე, რძალი ესმა, ძმისწული გია, მეგობრები ფატი ბარათაშვილი, ლადო ზარნაული ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბესარიონ გიორგის ძე კარანაძე. პანაშვიდი... დაკრძალვა... მისამართი...“

●

„მოულოდნელად გარდაიცვალა ასტროფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, გრავიტაციულ პრობლემათა ლაბორატორიის გამგე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი ბესარიონ გიორგის ძე კარანაძე...

უდროოდ წავიდა ჩვენგან ახალგაზრდა ნიჭიერი მეცნიერი, რომლის ნაშრომებმაც დიდი სახელი მოუხვეჭეს მათ ავტორს არა მარტო ჩვენში, არამედ უცხოეთშიაც. მისი გახმაურებული წიგნი (სადისერტაციო ნაშრომი) — „ხელოვნური გრავიტაცია: პრობლემები და პერსპექტივები“ — მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი...

ბესარიონ კარანაძის სახე და სახელი მუდამ იცოცხლებს და სამარადისოდ დარჩება მისი ამხანაგების გულში...“

ეროვნული
ბიბლიოთეკა





„ჩემო ფატი!

შენ ძლიერი ქალი ხარ და ვიცი, რომ ვაჟკაცურად დახვდები იმ ამბავს, რომელიც ახლა უნდა გაუწყო: ჩვენი ბესო, ჩვენი უცნაური ბესარიონი აღარა გვყავს...

გონს ვერ მოვსულვარ, რას უნდა მოეკლა ეს სალ-სალამათი კაცი, რკინისებური ჯანმრთელობის პატრონი! ბრმა ნაწლავი რაა, ისიც კი არ წამოსტკენია, სურდოც არასოდეს შეჰყრია, მგონი. მარტო ის იყო — თუ გახსოვს — სიზმრებს უჩიოდა. ჰო, არ შეიძლება არ გახსოვდეს: წლების მანძილზე დროდადრო ერთსა დ იმავე სიზმარს ხედავდა ხოლმე — დაჟინებით მოყურიადე ვეებერთელა თვალს...

ვინ იცის, შენ რომ მაგადანში არ გადაკარგულიყავი, იქნებ ბოლოს და ბოლოს გაებედნა ბესოს და ეთქვა შენთვის ის ერთი სიტყვა, რომელსაც, კარგად ვიცი, შენც რომ ელოდი მოუთმენლად... იქნებ ახლა ცოცხალიც ყოფილიყო... მაგრამ შენც კარგი პატივმოყვარე და ჯიუტი ხარ...

მაგიდასთან მჯდომი გარდაცვლილა. ხელში ფანქარი სჭერია, მაგიდაზე დაუმთავრებელი ნახაზი ჰქონია გაშლილი...

ტვინში სისხლი ჩაქცევიაო, — ასე დაასკვნეს ექიმებმა.

„თბილისში" სამგლოვიარო განცხადება გამოვაქვეყნეთ. თორნიკეს ვთხოვე, ფატი ჩავწეროთ-მეთქი. რა თქმა უნდაო, — დამთანხმდა მყისვე.

აი, ასე იყო ეს ამბავი..."

## 10. ასტრობიოლოგიის აუდიტორიაში

— ...ერთი სიტყვით, კარგა ხანს გვეგონა, სამყაროში ერთადერთი გონიერი არსებები ვართ და თუკი სადმე სიცოცხლე არსებობს, იგი, დიდი-დიდი, სადღაც ჭიალუას და მედუზის დონეზე უნდა იყოს შეჩერებული. ახლა კი, რაღა თქმა უნდა, დღევანდელი სიმაღლიდან თუ გადავხედავთ, ეს რწმენა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, მაგრამ გასულ საუკუნეებში იგი ყველას აბსოლუტურ ჭეშმარიტებად, აქსიომად მიაჩნდა... თქვენ, მგონი, რაღაც გინდათ მკითხოთ...

— დიახ. თქვენ ბრძანეთ, ყველასო...

— ჰო, ასე ვთქვი, სწორია, მაგრამ, ყმაწვილებო, ვაღიარებ, მთლად მართალი არ ვიყავი. უნდა მეთქვა, თითქმის ყველას-მეთქი. სინამდვილეში, თითო-ოროლა მოწინააღმდეგე ამ შეხედულებას (თუ აქსიომას) ყოველთვის ჰყავდა. მაგრამ — მხოლოდ თითო-ოროლა. ერთი ან ორი მერცხალი კი, როგორც იცით, გაზაფხულს ვერ მოიყვანს. ამიტომ არ ჩავაგდე ისინი ანგარიშში.

ახლა, თქვენი ნებართვით, განვაგრძობ.

ჩვენ დიდხანს გვჯეროდა, ყმაწვილებო, რომ სიცოცხლის არსებობა შესაძლებელია მხოლოდ გალაქტიკის ცენტრის სიახლოვეს, სადაც სწორედ სიცოცხლისათვის საჭირო დონის (ჩვენი წარმოდგენით) გრავიტაცია, მაგნიტური ველი, ატმოსფერული წნევა, ტენიანობა, ტემპერატურა და სინათლეა. ახლა მე დაგასწრებთ, ვიდრე შემეკითხებოდეთ, და ვიტყვი, რომ ჩამოვთვალე სასიცოცხლო კომპლექსის მხოლოდ ძირითადი კომპონენტები. თქვენ, უეჭველია, კარგად იცით, რომ სიცოცხლის (მით უმეტეს, გონიერი სიცოცხლის) წარმოქმნისათვის კიდევ ბევრი სხვა პირობაცაა აუცილებელი. ასე რომ არ იყოს, ჩვენს გალაქტიკაში, სულ ცოტა, ასი მილიარდი ცივილიზაცია იარსებებდა... მაგრამ თქვენ, ვატყობ, რაღაც გაინტერესებთ...

— დიახ. რატომ მაინცდამაინც ასი მილიარდი, ბატონო პროფესორო?

— მე ვთქვი, სულ ცოტა, ასი მილიარდი-მეთქი. მოგეხსენებათ, ჩვენს გალაქტიკაში ას მილიარდამდე (ოდნავ მეტი ან ოდნავ ნაკლები) დიდი თუ პატარა ვარსკვლავია. წელან მე ვიგულისხმე ვარიანტი, როცა ყოველ ვარსკვლავს თითო თანამგზავრი მაინც ჰყავს პლანეტის სახით. მაგრამ თქვენ, ყმაწვილებო, ალბათ იცით, რომ ზოგიერთი ვარსკვლავის სისტემა ხუთ, ათ, ოც პლანეტასაც კი ითვლის. მართალია, გალაქტიკაში უთანამგზავრებო ვარსკვლავებიც გვხვდება, მაგრამ ისინი თითზე ჩამოსათვლელია — რაღა თქმა უნდა, გალაქტიკური მასშტაბით.

დასასრული მომდევნო ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როცა დავითმა ხმალი აიღო

დავით აღმაშენებლის მიერ გატარებულ სამხედრო ღონისძიებათა შედეგად თურქ-სელჩუკებს შიდა ქართლში დაზამთრების საშუალება მოესპოთ. ამის შემდეგ დავითი იწყებს ბრძოლას სამეფოს ფარგლებს გარეთ დარჩენილი ქართული მიწაწყლის შემოსაერთებლად. ასეთი მიწა-წყალი კი იყო ქვემო ქართლი თბილისითურთ, სამხრეთ-დასავლეთი საქართველო და კახეთ-ჰერეთი.

დავითმა კახეთ-ჰერეთით დაიწყო. კახეთის მეფეს კვირიკეს მან ზედაზნის ციხე წაართვა[1]. ერთი წლის შემდეგ კვირიკე გარდაიცვალა და კახეთ-ჰერეთის ტახტი მისმა ძმისწულმა აღსართანმა დაიკავა. აღსართანის მეფობით უკმაყოფილო ჰერმა დიდებულებმა არიშიანმა, ბარამმა და ქავთარ ბარამის ძემ შეიპყრეს აღსართანი და დავით მეფეს გადასცეს, რის შემდეგაც მას აღარ გასჭირვებია კახეთ-ჰერეთის დაკავება. მაგრამ კახეთ-ჰერეთისათვის ბრძოლა ამით არ დამთავრებულა. 1105 წელს თურქთა ურიცხვი ლაშქარი განძის ათაბაგის მეთაურობით საქართველოში შემოიჭრა. ბრძოლა მოხდა ერწუხს (დღევანდელ საინგილოში) და ქართველთა ძლევამოსილი გამარჯვებით დასრულდა. როგორც ქართველი მემატიანეები მოგვითხრობენ, მეფე ზურგიდან კი არ ხელმძღვანელობდა ბრძოლას, წინა ხაზზე იყო და მუსრს ავლებდა მტერს. ბრძოლის შემდეგ, როცა დავითმა აბჯარი შეიხსნა, მიწაზე უამრავი სისხლი დაიღვარა. შეშფოთებულ ლაშქარს მეფე დაჭრილი ეგონა, სინამდვილეში კი ეს თურმე მტრის სისხლი იყო — სახელოში ჩაგროვებოდა დავითს. იმ ომში მეფეს სამი ცხენი მოუკლეს და ბრძოლა მეოთხე ცხენით დაამთავრა.

კახეთ-ჰერეთის შემოერთების შემდეგ ჯერი ქვემო ქართლზე მიდგა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, ტერიტორია თბილისიდან ბარდავამდე და მდ. ივრის გაყოლებაზე მომთაბარე თურქ-სელჩუკებს საზამთრო და საზაფხულო საძოვრებად ჰქონდათ გადაქცეული. მათი ურდოები წლიდან წლამდე სისტემატურად ჩამოდიოდნენ, ნაწილი აქ სახლდებოდა, ხოლო ვინც უკან ბრუნდებოდა, თან უამრავი ალაფი მიჰქონდა და დიდძალი ტყვე მიჰყავდა. აქ იყო თავმოყრილი სელჩუკთა მთავარი ძალა საქართველოში. დავითმა კარგად იცოდა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი თბილისი იყო, მაგრამ ისიც კარგად უწყოდა, რომ თბილისი ყველაზე უკეთ იყო გამაგრებული და დაცული მტრის ჯარის მიერ, ამიტომ თავისი ლაშქრით სამხრეთიდან შემოუარა ქალაქს და მთელი რიგი მნიშვნელოვანი პუნქტების დაკავების შემდეგ ალყაში მოაქცია.

1110 წელს ქართულმა ლაშქარმა აიღო თურქთა ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი პუნქტი ქვემო ქართლში, ციხე-ქალაქი სამშვილდე. მტრის სიფხიზლის მოსადუნებლად დავითი თვითონ იმერეთში გადავიდა, ხოლო სამშვილდის აღება გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს დაავალა. გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესთან შეიკრიბნენ მისი დისწული თევდორე — თრიალეთისა და კლდეკარის გამგებელი, კახეთის დიდგვაროვანი ფეოდალი აბულეთი და ივანე ორბელი. მოულოდნელი თავდასხმით საქართველოს ჯარმა მტერს ხელიდან გამოსტაცა ეს უაღრესად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სიმაგრე. სამშვილდის დაკარგვამ იმდენად შეაშინა თურქები, რომ მათ უბრძოლველად დატოვეს სამშვილდის ირგვლივ მდებარე ციხეები და სოფლები და ღამით ჩუმად გაიპარნენ.

იმავე წელს ქართულმა ლაშქარმა ციხე ძერნაც აიღო.

სელჩუკებმა არც ამჯერად დატოვეს უპასუხოდ დავითის აქცია. იმავე წელს ისინი 100-ათასიანი ჯარით მოადგნენ საქართველოს. დავითი ამ დროს ნაჭარმაგევს იდგა, სულ 1500-კაციანი მხედრობით. გაიგო რა თურქების შემოჭრა თრიალეთში, იგი ღამე გაემართა მათთან შესახვედრად და გამთენიისას მოულოდნელად დაესხა თავს. ფიცხელ ბრძოლაში გამარჯვება ამჯერადაც ქართველებს დარჩათ. სელჩუკთა ჯარის გადარჩენილმა ნაწილმა გაქცევით უშველა თავს.



1115 წელს, დავითის მუხრანში ყოფნის დროს, გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესმა რუსთავიდან განდევნა დამპყრობლები.

ამის შემდეგ სელჩუკები ვეღარ ბედავდნენ საზამთრო ადგილებში დაბანაკებას, რადგან საქართველოს ლაშქარი მრავალგზის დაესხა მათ თავს და ამოწყვიტა.

ქვემო ქართლის პარალელურად, დავითი საქართველოს უკიდურესი

---

[1] ზედაზნის ციხის აღებასთან დაკავშირებით ქართულ წერილობით ცნობებში ორი განსხვავებული თარიღია მოცემული: 1101 წ. და 1103 წ.

სამხრეთ-დასავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხეებისთვისაც იბრძოდა. 1116 წლის თებერვალში თურქები ტაოდან განდევნეს. ეს პერიოდი სპეციალურად იქნა შერჩეული. მკაცრი ზამთრისა და დიდთოვლობის გამო თურქები არ ელოდნენ ქართველთა თავდასხმას. ამასთანავე, მეფემ იგივე ხერხი იხმარა, რაც სამშვილდის აღების დროს — დასავლეთ საქართველოში გადავიდა, და ამით მტრის ყურადღება მოადუნა. ქუთაისს მყოფმა დავითმა ლაშქარი კლარჯეთში დაიბარა. თვითონ მდ. ჭოროხის დინების გაყოლებით გაემართა და ლაშქართან შეერთების შემდეგ მოულოდნელად დაესხა თავს ტაოში დაბანაკებულ თურქებს.

სელჩუკებმა სასტიკი დამარცხება განიცადეს, მთელი მათი ავლა-დიდება ქართველებს ჩაუვარდათ ხელთ. ამ გამარჯვებით საქართველოს სამეფოს საზღვარმა ბასიანამდე (დღევანდელ თურქეთში) გადაიწია.

ერთი წლის შემდეგ, 1117 წელს, დავითმა შეიპყრო გიშის მფლობელნი ასამ და შოთა გრიგოლის ძენი (რომელნიც, როგორც ჩანს, თურქთა მოკავშირეობით ინარჩუნებდნენ დამოუკიდებლობას საქართველოს მეფისაგან), და აიღო გიშის ციხე. ამით დამთავრდა ჰერეთის შემოერთება.

1118 წელს დავითი თავს დაესხა მდ. არაქსის პირას დაბანაკებულ თურქებს, განდევნა ისინი და უამრავი ტყვე და ურიცხვი ალაფი ჩაიგდო ხელთ.

იმავე წელს მან აიღო ქვემო ქართლის უკიდურესი პუნქტი, საქართველოს და სომხეთის საზღვარზე მდებარე ლორეს ციხე, ივლისში კი ციხე-ქალაქი აგარანიც. ამით დასრულდა ქვემო ქართლის შემოერთება.

ამ ბრძოლებით დავით IV აღმაშენებელმა საქართველოს მიწა-წყალი თითქმის მთლიანად ვაათავისუფლა სელჩუკებისაგან. მტრის ხელში რჩებოდა მხოლოდ თბილისი და დმანისი.

**გიორგი ოთხმეზური,**
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი

მხატვარი კოკი მახარაძე

# ერთად ყოფნის სიხარული

კვლავაც ბევრი წერილი დაგვიგროვდა „მწერლის ფოსტაში“, უმეტესობა სიყვარულს ეხება.

ჩვენი ჟურნალის მიმდინარე წლის მესამე ნომერში, ვგონებ, ამომწურავად თუ არა, საკმაოდ ვიმსჯელეთ სიყვარულზე და ზოგიერთი რჩევაც მოგეცით. სიყვარულზე გამუდმებით შეიძლება საუბარი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ჩვენს ჟურნალს სხვა თემაზე სალაპარაკო აღარაფერი ჰქონდეს.

ამჯერად სწორედ ერთ ახალ თემაზე გვინდა შემოგთავაზოთ საუბარი.

ჩვენს ფოსტაში აღმოჩნდა ცამეტი წლის ყმაწვილის დათო კ-ძის მეტად საყურადღებო წერილი. აქვე მინდა შევნიშნო, რომ წერილთა უმრავლესობას ჩვენი მკითხველები იშვიათად აწერენ თავიანთ ვინაობას. ზოგს მშობლისა ერიდება, ზოგს — მასწავლებლებისა, ზოგსაც — მეგობრებისა. გასაგები მიზეზია. ამიტომ არავის ვძრახავთ და არც უყურადღებოდ ვტოვებთ მათ ბარათებს, შეკითხვებს. მკითხველთან ჩვენი დიალოგის მთავარი მიზანი მაინც ჭეშმარიტების დადგენაა, იმის გარკვევა და გაშუქებაა, რაც მოზარდს აინტერესებს.

და აი, დათო კ-ძის წერილი. ჩვენ არ ვიცით, რომელ სკოლაში სწავლობს დათო, სად ცხოვრობს. მისმა წერილმა კი დაგვაფიქრა. მოვუსმინოთ მას:

„პატივცემულო რედაქცია! არ შემიძლია, ჩემი გულისტკივილი არ გაგანდოთ აპრილში თბილისში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით. თავდაპირველად ჩვენ, მეექვსეკლასელები, უფროსკლასელების ფეხის ხმას ავყევით. მათ ვერავინ აკავებდა, ლოზუნგებითა და პლაკატებით მიტინგს მიაშურეს. ჩვენც მივატოვეთ სწავლა და ქუჩაში გავედით, მხიარულად მივაბიჯებდით გოგოები და ბიჭები, მივდიოდით, მიგვიხაროდა. ჯერ ერთი, გვიხაროდა, გაზაფხულის მშვენიერი დღე რომ იყო, მეორეც, სხვა სკოლებიდანაც დაძრულიყვნენ გოგო-ბიჭები, მილიციელი ღიმილით გვხვდებოდა და ჩვენ რომ ქუჩიდან ქუჩაზე გადავდიოდით, ტრანსპორტს აჩერებდა... ასე შევუერთდით ზღვა ხალხს რუსთაველის პროსპექტზე... ნეტავი, ამათ რაღა უნდათო, გაგვაგონა ზოგიერთმა მოზრდილმა... ამგვარი სიტყვები ბევრჯერ გვსმენია. სწორე გითხრათ, არც ვიცოდით, იქ რა უნდა გაგვეკეთებინა, რისთვის გავედით, მაგრამ ბევრი საინტერესო რამ გავიგეთ... და, რაც მთავარი იყო, ამდენი ხალხის ერთად ყოფნა გვიხაროდა...

საღამოს შინ ჩვენი კლასის დამრიგებელი გვეწვია. ასე სახეშეშლილი, გაფითრებული და აღელვებული არასოდეს მენახა. არ მოერიდა დედაჩემს და პირდაპირ შემომიტია:

— შენ რაღა დაგემართა, შენ რაღამ გაგასულელა! შენი იმედი მქონდა და შენც ასე, ხომ?!

გავშრი, ამას რას მეუბნება-მეთქი. დედაჩემმა წყალი მიაწოდა. მასწავლებელმა მოსვა, ცოტა დამშვიდდა, სკამზე ჩამოჯდა და ახლა უკვე ხმადაბლა მიმართა დედაჩემს:

— მსგავს რამეს არ შევსწრებივარ!.. ამ ძუძუმწოვრებმაც მიტინგობანა მოინდომეს! მეშინია, მეშინია, ქალბატონო თამარ! ცუდი დღე გველის!.. დაჰკრეს ფეხი და მთელი კლასი ქუჩაში გაცვივდა!

დედაჩემმაც შუბლი შეკრა, წყრომით შემომხედა.

მასწავლებელი ისევ მე მომიბრუნდა და მკითხა:

— მაინც, ვინ შეგაგულიანათ, ვინ იყო თქვენი მოთავე?

მასწავლებელს დედაჩემიც აჰყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვა, ჩამაცივდნენ, ვინ დაგრაზმათ და ვინ აგიყოლიათო.

ენაჩავარდნილი მივჩერებოდი. მე ისევ იმდღევანდელი ამბებით ვიყავი გაბრუებული, ჩემგან კი მოითხოვდნენ დაბეზღებას, ენატანიობას, დასმენას.

— ჰმ, ამან უნდა მოახდინოს ახალი რევოლუცია! ვაი ჩვენს მოსწრებას! — არა ცხრებოდა მასწავლებელი. — იტყვი თუ არა, ვინ შეგაცდინათ?!.

არა ვთქვი, არა ვთქვი და მე მგონია, სწორადაც მოვიქეცი.

როცა რუსთაველის პროსპექტზე უდანაშაულო ადამიანების სისხლი დაიღვარა და მთელი საქართველო ძაძებში გაეხვია, ჩვენს თვალზე ცრემლი არ შემშრალა. რამდენიმე დღის შემდეგ სკოლას დავუბრუნდით. ჩვენმა კლასის დამრიგებელმა პირველივე გაძახებაზე ნიშანი ჩამომიკლო, სამიანი დამიწერა და ნიშნის მოგებითაც მითხრა — საგანთან ერთად ჭკუასაც ისწავლიო!

მე გული მეტკინა და ამის გამო გწერთ ამ წერილს. მე იმ დღესაც კარგად ვიცოდი გაკვეთილი...

დათო კ-ძე, მეექვსეკლასელი".

დათოს წერილი რომ წავიკითხე, უმალ ფრანგი მწერლის პროსპერ მერიმეს პატარა, მაგრამ დიდი აზრის დამტევი ნოველა „მატეო ფალკონე" გამახსენდა. შემზარავია მისი შინაარსი — დასმენისათვის მამა საკუთარ შვილს კლავს.

თუ არა გაქვთ წაკითხული ეს ნოველა, უთუოდ წაიკითხეთ, იგი ქართულადაც არის თარგმნილი.

დათო თავისი ცხოვრების გზაზე პირველ სერიოზულ გამოცდას წააწყდა. მისგან მოითხოვენ იმას, რაც მის ბუნებას ეწინააღმდეგება, ყმაწვილს უზნეობად მიაჩნია, ჩაიდინოს ასეთი რამ და პროტესტს გამოთქვამს.

მე პირადად ორი რამ მომეწონა დათოს წერილში, ამას თვითონაც უსვამს ხაზს: პირველი ის, რომ მას ახარებს ხალხთან ერთად ყოფნა, მოზარდმაც კი იგრძნო, რომ ჩვენს ხალხს ძალიან აკლდა ერთად ყოფნის სიხარული. და აი, დადგა ჟამი, როცა ერთად ყოფნის აუცილებლობა ერთნაირად აღიქვა დიდმაც და პატარამაც...

მეორე, რამაც გამახარა და გული იმედით ამივსო, არის დათოს ბუნებრივი სისპეტაკე, კეთილშობილება, რაც ღვთისაგან, ბუნებისაგან მომადლებული განძია და გაფრთხილება უნდა, და კიდევ იმასაც შეგახსენებთ, რომ მას დაცვაც სჭირდება, დიახ, დაცვა!

ერთი რამ უნდა შევნიშნო: თავისთავად, გაკვეთილების თვითნებურად ჩაშლა მოწაფეთაგან დანაშაულია. ცხადია, ამას გამართლება არ მოეძებნება. ორგანიზებულობა და დისციპლინა, თავდაჭერილობა და წინდახედულობა ყოველ დიდ საქმეს სჭირდება. ერთი ხელის დაკვრით სოფელი არავის აუშენებია, მით უმეტეს, ჩვენ ვერ ავაშენებთ ჰაიჰარად ჩვენს ქვეყანას, ფაციფუცით გაკეთებული საქმის ფასი კარგად ვიცით.

დიდსა და პატარას გონიერება მართებს.

დათო ამაზე არაფერს ამბობს თავის წერილში. მას სულ სხვა რამ აწუხებს, ის, რამაც ჩემი ყურადღებაც მიიქცია და, საბოლოოდ, რისთვისაც გაგვიზიარა თავისი გულისტკივილი. ეს არის უტაქტო საქციელი, ბიძგი არაადამიანური საქციელისკენ სწორედ იმათგან, ვისგანაც ნამდვილად არ მოელოდა ყმაწვილი!

დასმენა, დაბეზღება! ჟრუანტელი მივლის, როცა ვიხსენებ, რამდენი უდანაშაულო ადამიანი ემსხვერპლა ამ უსაზიზღრეს ხერხს, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს სიწმინდესთან, კეთილსინდისიერებასთან, სისპეტაკესთან. ეს არის სულით ღატაკი ადამიანების იარაღი, რომელსაც მარტოოდენ ერთი და ორი ადამიანისათვის კი არა, მთელი საზოგადოებისათვის, მთელი ქვეყნისათვის ზიანი და სიავე მოაქვს.

მასწავლებელი უთუოდ შეცდა. შეცდა პირველადაც, როცა დათოს კატეგორიულად მოსთხოვა დემონსტრაციაზე გასვლის ინიციატორის დასახელება, და უფრო მეტადაც მაშინ, როცა ყმაწვილზე შური იძია.

მაგრამ მე მახარებს დათოს შეუპოვრობა, ის ბოლომდე მართალია და სწორედ ეს გვავსებს იმედით, ხვალინდელი ნათელი დღის იმედით.

რა ეროვნული საკითხი უნდა გადაწყვიტოს მოზარდმა? იგი ჯერ ვერაფერს გადაწყვეტს, ახალგაზრდობის ფეხის ხმას აყოლილია... დათოს არც რაიმე პრეტენზია აქვს, გარდა იმისა, რომ ამ მოძრაობას მისთვის სხვებთან ერთად ყოფნის სიხარული მიუნიჭებია.

თუმცა, მიუხედავად მასწავლებლის უდავო დანაშაულისა, მისი შეშფოთება არ არის გასაკვირი, ცხოვრებამ ჩვენს უფროს თაობას ბევრი სიდუხჭირე ანახა და ამიტომაც ამ თაობის ხალხის სიფრთხილე გასაგებია. ყოველ ახალ წამოწყებას ცხოვრებაში ჰყავს როგორც მომხრე, ისე მოწინააღმდეგე. ასევეა ჩვენში ახლახან დაწყებული სასიკეთო ძვრების მიმართაც. აი, ფაქტიც — 9 აპრილის სისხლისღვრა, რომელსაც დრო ვერ წაშლის. ჩვენ ეს დღეც უნდა დავიწეროთ გულის ფიცარზე ჩვენი ხალხის იმ მრავალ სახსოვარ დღეებთან ერთად, ისტორიის ფურცლებმა რომ შემოგვინახეს.

გული მწყდება, როცა წარმოვიდგენ დათოს ცრემლიან თვალებს. მაგრამ ამ ცრემლმა უთუოდ გამოაბრწყინა მისი სულის უმანკოება, იქნებ ამ ცრემლში ჩანს მომავლის ძალაც!

მაღლა გეჭიროთ თავი, ბიჭებო და გოგონებო! საქართველო თქვენ შემოგყურებთ იმედად. ისწავლეთ, გონება გაიმდიდრეთ ცოდნით, ამაღლდით ზნეობით და გწამდეთ — სანეტარო ერთად ყოფნის სიხარულის ის დღეც დაგვიდგება!

თენგიზ გოგოლაძე

# თანამედროვე რიტმები



## „როლინგ სტოუნზი"

ლონდონის ეკონომიკის სასწავლებლის სტუდენტი მიკ ჯეგერი და ქალაქის სამხრეთის ერთ-ერთ მიკრორაიონში მოხულიგნო ყმაწვილად ცნობილი კეიტ რიჩარდსი შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს. მოგვიანებით მათ ჩელტნემის საშუალო სკოლის მოსწავლე ბრაიან ჯონსი შეუერთდა. მერე მოვიდნენ ბილ უაიმანი, ჩარლი უოტსი და აი, 1963 წელს რიჩმონდის ერთ-ერთ კლუბში ისინი პირველად გამოვიდნენ სცენაზე. მას შემდეგ 25 წელზე მეტი გავიდა, მაგრამ „როლინგ სტოუნზი" დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს როკმუსიკის მოყვარულთა შორის.

ჯგუფმა, რომლის სახელწოდებაც დიდი შავკანიანი ბლიუმენის მადი უოტერსის ერთ-ერთი სიმღერის მიხედვით შეირჩა, შეიძლება ითქვას, საკმაოდ ოღროჩოღრო გზით იარა. „როლინგების" სახელთან მრავალი სკანდალური ამბავია დაკავშირებული, მათი ზოგი გამოსვლა აშკარად შეურაცხყოფდა საზოგადოებრივ მორალს და გემოვნებას. ჯგუფი ხალხს აღიზიანებდა თავისი გამომწვევი იერითაც და ქცევითაც; ნარკოტიკების მსხვერპლი გახდა ჯონსი, რომელიც ფაქტობრივად ჯგუფის ინტელექტუალური ლიდერი იყო; დრო და დრო თავს იჩენდა უთანხმოებები ჯგუფის წევრთა შორის. ეტყობა, ეს თუნდაც სკანდალური აჟიოტაჟი მათ გარშემო ერთგვარად ასაკითა და უკმარისობის გრძნობითაც იყო გამოწვეული. დროთა განმავლობაში „როლინგებს" გაუნელდათ ნებისმიერი საშუალებებით ყურადღების მიპყრობის სურვილი, ერთგვარად ჩაცხრა ჯგუფთან დაკავშირებული არაჯანსაღი ხმაურიც.

მაშ ასე, ბრიტანული როკის ერთ-ერთი უძველესი ჯგუფი „როლინგ-სტოუნზი": მიკ ჯეგერი (ვოკალი), კეიტ რიჩარდსი (გიტარა, ვოკალი), ჩარლი უოტსი (დასარტყამი საკრავები), ბილი უაიმანი (ბას-გიტარა), რონ ვუდი (გიტარა). პირველი ფირფიტა გამოვიდა 1964 წელს. მსოფლიო აღიარება ჯგუფს მოუტანა სიმღერამ „დაკმაყოფილება", რომლის წყალობითაც 1965 წელს ჯგუფმა პირველად დაიკავა პირველი ადგილი ამერიკულ ჰიტ-პარადში.

ამ სიმღერის ტექსტი ადამიანის გაბიაბრუების წინააღმდეგაა მიმართული, მისი ეს სულისკვეთება ეხმიანებოდა 60-იანი წლების ახალგაზრდობის განწყობილებას. ჯგუფი ძირითადად ერთგული რჩება ერთხელვე არჩეული სტილისა, მისთვის კვლავაც დამახასიათებელია რიტმ-ენდ-ბლიუზიდან მომდინარე რიტმი, სიმღერის სადა მონახაზი, ერთგვარი დაუდევრობა შესრულებაში. შემოქმედებითი აღმაფრენის ხანა ჯგუფისთვის 60-იანი წლების შუა პერიოდი იყო. 1965-1966 წლებში „როლინგ სტოუნზმა" მოიარა ირლანდია, ავსტრალია, ახალი ზელანდია, სინგაპური, ჰონკონგი, სკანდინავია, გფრ, საფრანგეთი, კანადა, აშშ, ავსტრია. გასტროლებს და ტურნეებს თან ახლდა ჩაწერები გრამსტუდიებსა და ტელევიზიაში, მონაწილეობა დოკუმენტურ ფილმებში და ა. შ. ისე რომ, ეს წლები უდიდესი დაძაბულობისა და გადაღლილობის პერიოდიც იყო. „როლინგ სტოუნზი" ოცი ოქროს ფირფიტის მფლობელია. ჯგუფის ბევრმა ფირფიტამ, ალბომმა, სიმღერამ წარმატებით გაუძლო დროის გამოცდას და დღესაც დიდი მოწონებით სარგებლობს. მათ შორის აღსანიშნავია „ქვის გული", „ჩამოდი ჩემი ღრუბლიდან", „შედეგები", „ყველაფერი შავად შეღებე", „მე-19 კრიზისი", „სულელი ქალიშვილი" და სხვ.



ეს თვალმახარა გოგო-ბიჭები ზუგდიდის პიონერთა სახლის სასულე ორკესტრის წევრები არიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევგენი პერმიაკი

მხატვარი
ედუარდ ამბოკაძე

მოთხრობა



# ეგვიპტური მტრედები

სენიამ კარგი სამტრედე გააკეთა. ბიძაც დაეხმარა, ისიც სენიას დედასავით მეეზოვე იყო, ოღონდ სხვა სახლისა. ახლა სენიას ფული უნდა შეეგროვებინა და მტრედები ეყიდა, ეს კი არც ისე ადვილი საქმე გახლდათ, მით უფრო, რომ დედას, სენიას გარდა, კიდევ სამი შვილი ჰყავდა და ყოველი კაპიკი გამოთვლილი ჰქონდა. სენიამ მაინც მოახერხა ექვსი მანეთის შეგროვება, რაღა თქმა უნდა, შეიძლებოდა, რომ ციგურები გაეყიდა... მაშინ თავისუფლად შეიძენდა ორ უბრალო მტრედს. მერე ის ორი მტრედი ხუნდებს დაჩეკდა. ხუნდები დაიზრდებოდნენ და ახლა ისინი დაჩეკდნენ ხუნდებს. მაგრამ ციგურები როგორ გაყიდოს?! ცხრა წლის ყმაწვილისთვის ხომ ციგურები აუცილებელია, აბა, მტრედებით ხომ ვერ ისრიალებს ყინულზე? სესხებითაც რომ ვერსად ისესხებს ფულს? ან როგორ ისესხოს, როცა ჩასასესხებელი არაფერი ექნება?..

19.390

ერთხელაც, როცა მეტისმეტად ჩაფიქრებული სენია გვერდზე მისჯდომოდა თავის სამტრედეს, მას მეცხრე ბინაში მცხოვრები მსახიობი, ძია ანდრია მიუახლოვდა. ძია ანდრია კი ძალიან კარგი ადამიანი იყო! თეატრში სულ კარგ როლებს, კეთილ მოხუცებს ასახიერებდა. სენიას ერთი ხუთჯერ მაინც ენახა იგი სცენაზე და ამან კიდევ უფრო შეაყვარა ძია ანდრია, ყველაზე მეტად მას უკრავდა ხოლმე ტაშს. ძალიან დამეგობრდნენ სენია და ძია ანდრია, იმიტომ, რომ ძია ანდრიას არც შვილები ჰყავდა და არც არავინ, ერთი ძაღლის მეტი. ეს იყო მედვეჟკა — ძალიან კარგი, ოღონდ სულელი ძაღლი — მუდამ კალოშებს ღრღნიდა.

— როგორაა საქმე, არწივო? — ჰკითხა სენიას ძია ანდრიამ. სენიას არაფერი დაუმალავს, ყველაფერი გულახდილად უამბო. ამაზე ძია ანდრიამ უთხრა: — მაგ ექვსი მანეთით მტრედებს საკენკი უყიდე, დანარჩენზე მე ვიფიქრებო, და მართლაც იფიქრა — კვირადღეს სენიას უკვე ჰყავდა ორი ძალიან ლამაზი მტრედი. მათი მარაოსავით გაშლილი ბოლოების შეხედვას არაფერი ჯობდა. სენია სიხარულისაგან ცახცახებდა. გაეგონა, იშვიათი ჯიშის ფარშევანგისებური მტრედებიც არსებობენ და იმ მტრედებს სწორედ ასეთი ბოლოები აქვთო.

— ძია ანდრია, რა ჰქვია ასეთ მტრედებს? — ჰკითხა სენიამ. ძია ანდრიამ გაიცინა, ხელები მოხვია და საიდუმლოდ წასჩურჩულა:

— ესენი ჩემო კარგო, ეგვიპტური მტრედებია, ეგვიპტური.

სენიამ არაფერი უპასუხა. უხაროდა, რომ უბრალო კი არა, ეგვიპტური მტრედები ჰყავდა. განსაკუთრებით იმიტომ უხაროდა, რომ იმ დღეებში სულ ეგვიპტეზე ლაპარაკობდნენ, ეგვიპტეს თავს დაესხა სხვა ქვეყნის ჯარებიო.

სენიას გაგებული ჰქონდა, რომ არსებობდა ასეთი ქვეყანა — ეგვიპტე, მაგრამ სად მდებარეობდა, ჯერ არ იცოდა, მესამე კლასში გეოგრაფიას არ სწავლობდნენ, მაგრამ, რაკი ეგვიპტური მტრედები გაუჩნდა, გადაწყვიტა, ეს ქვეყანა კარგად შეესწავლა. შეისწავლა კიდეც, ძალიან მოეწონა ისიცა და მისი ხალხიც, რადგან მათ უყვარდათ თავიანთი სამშობლო და თავგანწირვით იცავდნენ მას.

ამ კარგ ხალხს მტრედები როგორ ეყოლება ცუდიო... ტყუილად კი არ უყიდა ძია ანდრიამ სწორედ ეგვიპტური მტრედები. ალბათ ფასი რომ დაეკლოთ, იმიტომ ეძახდნენ ამ მტრედებს „ფარშევანგებს“. თუმცა, რაც უნდათ, ის დაუძახონ, თუგინდ ინდაურები, რაც უნდათ, ის ჰქონდეთ მიცემული, სენია თავის მტრედებს მაინც არავის არაფერში გაუცვლის. თანაც... იქნებ ეს მტრედები ომსაც გამოექცნენ...



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე მოსკოვში დემონსტრაციები გაიმართა; ხალხს ხელში ეჭირა ჯოხებზე დამაგრებული ფირფიტები და მუყაოები, რომლებზეც ეწერა: „ხელები შორს ეგვიპტისაგან“. ზოგს დახატული მტრედი მოჰქონდა, ზოგს კი ცოცხალი მოჰყავდა.

სენია დემონსტრანტებს აედევნა, რადგან ისიც აღშფოთებული იყო დამპყრობელთაგან ეგვიპტის აოხრებით. სხვა რომ არაფერი, ეგვიპტე მისი მტრედების სამშობლო იყო...

ეგვიპტის საელჩო შორს იყო ილიჩის კარიბჭიდან, იმ ადგილიდან, სადაც სენია ცხოვრობდა. ბიჭუნას სულ არ ეძნელებოდა დემონსტრანტებთან ერთად მთელი ქალაქის შემოვლა და გერცენის ქუჩაზე მისვლა, სადაც ეგვიპტის ელჩი ცხოვრობდა.

ეგვიპტის ელჩი აივანზე გამოვიდა. რომ დემონსტრანტებისათვის მადლობა ეთქვა. სენიამ პირველად ნახა ეგვიპტელი, ნახა და ძალიანაც მოეწონა. თავაზიანი და ლამაზი მოეჩვენა და ეს გასაგებიც იყო სენიასთვის.

როცა ელჩმა სიტყვა წარმოსთქვა თავის ენაზე, ორმა ბიჭმა წყვილი მტრედიააფრინა. არც ისე კარგები იყვნენ ეს მტრედები. ქათმებივით ძლივს აფრინდნენ, ელჩს ალბათ არც კი შეუმჩნევია.

სენიამ გულში გაივლო, მე რომ ჩემი მტრედები გამეშვა, ელჩი სიხარულით ცას ეწეოდა, მაშინვე იცნობდა თავისი მიწა-წყლის მკვიდრებს და ძალიანაც ნასიამოვნები დამრჩებოდაო.

მაგრამ... ეს მხოლოდ გულში გაივლო, ამის გაკეთება არც დაუპირებია, იმიტომ, რომ მისი მტრედები ჯერ სამტრედეს ვერ შეჩვეოდნენ და გერცენის ქუჩიდან ილიჩის კარიბჭესთან როგორ მიფრინდებოდნენ?! ხომ მთელი მოსკოვი უნდა გადაეფრინათ! ეგვიპტის ელჩის თვალწინ ეგვიპტური მტრედების აფრენის ცდუნება კი მართლაც ძალიან დიდი იყო.

მეორე დღეს უფრო დიდი დემონსტრაცია გაიმართა, უფრო მეტი მტრედიც მოჰყავდათ. სენიამ ველარ მოითმინა, ჩასვა თავისი მტრედები იმავე კალათში, რითაც ძია ანდრიამ მოიყვანა და ეგვიპტის საელჩოსკენ გასწია.

დადგა მტრედების აფრენის დროც.

სენია ხალხში მიძვრებოდა, საელჩოს წინკარისკენ მიიწევდა. მიაღწია იქამდე დაააფრინა კიდეც ეგვიპტის ელჩის თვალწინ ეგვიპტური მტრედები.

მტრედები ისე სწრაფად აფრინდნენ, ელჩმა თვალი ძლივს შეასწრო. სენიას კი მაინც მოეჩვენა, რომ ელჩმა გაუღიმა მას. დემონსტრანტებმა შეაქეს ბიჭი. ერთმა ესეც თქვა:

— ნამდვილი ვაჟკაცია!

ძალიან გაუხარდებოდა, მტრედები პირდაპირ სახლისკენ რომ გაფრენილიყვნენ. იმათ კი აიღეს თავი



და სულ საწინააღმდეგო მხარეს — წითელი პრესნიასკენ არ გაფრინდნენ?!

სენიამ შინისაკენ გასწია. ძალიან ჩქარობდა, ერთი ტრანსპორტიდან მეორეში ჯდებოდა. ქლოშინით მიირბინა სამტრედესთან — კარი ღია დაუხვდა.

მტრედები არსად ჩანდნენ. „იქნებ გზას ეძებენ“, — გაიფიქრა და გადაწყვიტა, ერთხანს დაეცადა. მაგრამ დრო გადიოდა, მტრედები კი არ ჩანდნენ... ძია ანდრია რომ მოვიდა, მისი მეგობარი სამტრედის კუთხესთან მიკუნჭულიყო და მწარედ ტიროდა. აღელვებულმა მსახიობმა ბიჭი დაამშვიდა: — შენი მტრედები ალბათ ეგვიპტეში გაფრინდნენ და მალე აუცილებლად დაბრუნდებიანო, აბა, როგორ არ უნდა დაბრუნდნენ ისეთ კარგ ბიჭთან, როგორიც შენა ხარ, შენ ხომ უკანასკნელი ორი მტრედიც არ დაიშურე ეგვიპტისთვისო. — როდის დაბრუნდებიან, როდის? — ჰკითხა სენიამ. ძია ანდრიამ კი უპასუხა: უნდა გამოვითვალოთ, წამოდი ჩემთანო.

შედგეს თუ არა ფეხი ძია ანდრიას ბინაში, მსოფლიოს რუკის წინ გაჩნდნენ. ძია ანდრიამ სახაზავი მოიმარჯვა და დაიწყო: — ახლა შენი მტრედები სადღაც როსტოვსა და ოდესას შორის იქნებიან. აი, აქ, — აჩვენა რუკაზე. — თუ პირდაპირა გზით წავიდნენ, უნდა ვიფიქროთ, რომ ღამეს ყირიმში გაათევენ. დიახ, დიახ! სიმფეროპოლში ან სულაც სევასტოპოლში.

მსახიობმა სახაზავი რუკას დაადო და მოსკოვიდან ეგვიპტის დედაქალაქ კაიროსკენ მიმავალ პირდაპირ სივრცეზე ფანქრით ხაზი გაავლო. თურმე მტრედების პირდაპირი გზა სევასტოპოლზე გადის!..

— ძია, თქვენ თვლით, რომ მართლა სამშობლოში გაფრინდნენ? — ჰკითხა მკვირცხლად სენიამ.

— კი არ მგონია, ნამდვილად ვიცი, თქვა მსახიობმა, — სხვაზე ვერაფერს ვიტყვი, ეგვიპტური მტრედების ჩვევები კი ვიცი, ისინი ძალიან ხშირად მიფრინავენ სამშობლოში და უკანაც ბრუნდებიან თავიანთ ნათესავებთან ერთად, თან მოჰყავთ თავიანთი დეიდაშვილები, ახლობლები.

— რატომ? — ჰკითხა სენიამ.

— მეგობრობის, ჩემო კარგო, მეგობრობის გულისათვის. ყველა ჭკვიანმა მტრედმა იცის, რომ ისეთ კარგ სამტრედეში, როგორიც შენა გაქვს, რაც მეტნი იქნებიან, უფრო მხიარულად იცხოვრებენ.

სენიას სახე წამოუჭარხლდა, თვალები გაუბრწყინდა, აახამხამა და ძია ანდრიას ჰკითხა:

— თქვენ გგონიათ, მტრედები თავიანთ დეიდაშვილებს ჩამოიყვანენ?

— დარწმუნებული ვარ.

— მერე როდის?

— განვაგრძოთ გამოთვლა... დღეს, ასე მგონია, ღამეს გაათევენ სევასტოპოლში... ალბათ მეზღვაურები საკენკს დაუყრიან. მეზღვაურებს ძალიან უყვართ მტრედები და თოლიები. საერთოდ, ისინი ძალიან კეთილი ხალხია. დილას მტრედები შავ ზღვას გადაუფრენენ და, ვფიქრობ, შეისვენებენ სადმე ხმელთაშუა ზღვის ნაპირას.

— აი, აქ? — ჰკითხა სენიამ და რუკაზე ხმელთაშუა ზღვაში წერტილი ანიშნა.

— დიახ, აქ აუცილებლად შეისვენებენ, ისადილებენ. ვგონებ, თურქეთშიც ბევრი კარგი ადამიანია, ისინიც დაუყრიან სიმინდის მარცვლებს, მერე ადგებიან ეს ჩვენი მტრედები, გადაცურავენ ზღვას და პირდაპირ კაიროში ამოყოფენ თავს.

— იქ ხომ ომია? — ჰკითხა სენიამ. — ერთიც ვნახოთ და მოკლან?

მსახიობი წუთით დაფიქრდა, მერე კი უპასუხა: — რა თქმა უნდა, შეიძლება მოკლან, მაგრამ ჩვენ კარგი ვიფიქროთ. არც ასეთი სულელები არიან შენი მტრედები. ყუმბარებს თავი არ აარიდონ, გვერდი არ აუარონ. ერთი სიტყვით, იქ ზეგისთვის — ოთხშაბათ საღამოსთვის ჩაფრინდებიან. ხუთშაბათ დღეს ეგვიპტეში გაატარებენ, მშობლებს, ნაცნობებს მოინახულებენ, გემრიელი მარცვლებით პირს ჩაიტკბარუნებენ, პარასკევს კი... არა, უფრო სწორად, შაბათ დილას უკან გამობრუნდებიან... ისევ იმ გზას გამოიფრენენ. ასე რომ, კვირა საღამოს სამტრედის კარი ისევ უნდა გააღო, უნდა ისევ დაყარო მუხუდო და შვრია. აი, რა მინდოდა შენთვის მეთქვა. ნახე, არც ისე ბევრი დრო დარჩა კვირამდე... — თქვა და თეატრში წასასვლელად მოემზადა — იმ დღეს სპექტაკლში მონაწილეობდა.

გახარებულმა სენიამ შინისაკენ გასწია. ღამით კარგი სიზმრები ნახა: მისი მტრედები ზღვაზე დაფრინავდნენ, თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს, მაგრამ მტრედებმა მოხერხებულად აარიდეს თავი. ნახა, როგორ შეხვდნენ ეგვიპტური მტრედები მოსკოველ სტუმრებს. მართალია, რაღაცას ღუღუნებდნენ თავიანთ ენაზე, მაგრამ სენიამ ყველაფერი გაიგო. იცინი აქებდნენ ილიჩის კარიბჭესთან მოწყობილ თავიანთ სამტრედესა და პატრონს.

დღეები ნელა მიიზლაზნებოდა.

კვირას ძია ანდრია სადღაც აპირებდა წასვლას. წასვლის წინ სენიას უთხრა: — არ დაგავიწყდეს, სამტრედის კარი გააღე, საღამოს შენი მტრედები მოფრინდებიანო.

სენია მთელი დღე არ მოსცილებია თავის სამტრედეს, მტრედები კი არსად ჩანდნენ.

მოსაღამოვდა. სენიას დედამ დაუძახა. როგორ წავიდეს? მტრედები რომ მოფრინდებიან, სამტრედის კარს ვინ მიუხურავს?

ამ გასაჭირიდან ისევ ძია ანდრიამ დაიხსნა: — მე დავრჩები. დღეს სპექტაკლში არ ვმონაწილეობ. თანაც მტრედები შეიძლება გვიან მოფრინდნენ, ხომ ხედავ, ჩრდილოეთის პირქარი ქრის, მტრედებს კი ქარში ძალიან უჭირთ ფრენა. წადი, დაიძინე!

სენიაც დასაძინებლად წავიდა. ჯერ კიდევ ბნელოდა, რომ გამოიღვიძა, მაგრამ, ჰოი, საოცრებავ! დედამ სამტრედის გასაღები მისცა და უთხრა: — ანდრია ოლიმპის ძემ მთხოვა, მეთქვა შენთვის, რომ მტრედები შუაღამისას მოფრინდნენო... თანაც ექვსნი არიან, რას აჭმევ ამდენ მტრედს?

სენიას არ ახსოვს, რომ ოდესმე ასე სწრაფად ჩაეცვას ტანსაცმელი. პირი არც დაუბანია, ისე გავარდა გარეთ. მიირბინა თავის სამტრედესთან, შეიხედა და შიგ მართლა ექვსი დამფრთხალი მტრედი არ დახვდა?!

ვერ იცნო. თავისი მტრედები რომ ყოფილიყვნენ, როგორ არ იცნობდა!

„ალბათ მგზავრობით გაილახნენ“, გადაწყვიტა. არ უნდოდა სხვა რამ ეფიქრა, თუმცა თავში ათასნაირი ეჭვი აუქოთქოთდა — რაღა მაინცადამაინც კვირას ჩამოფრინდნენ, ფრინველების ბაზრობის დღესო...

კლასშიც არავინ დაუჯერა, სენიას ორი მტრედი ეგვიპტეში გაფრინდა და იქედან თავიანთ მეგობრებთან ერთად დაბრუნდნენო. არ სჯეროდათ, მაგრამ მაინც ყველას უყვებოდნენ — სენიას ეგვიპტური მტრედები სამშობლოში ყოფილან და ახლა მოსკოვში დაბრუნებულანო...

იმ თეატრშიც, სადაც ძია ანდრია მუშაობდა, არავის დაუჯერებია ეს ამბავი, არ დაუჯერებიათ, მაგრამ მაინც ყვებოდნენ კულისებშიც, შინაც.

არც მე მჯერა. მაგრამ მაინც ძალიან მომწონს ეგვიპტური მტრედების ამბის მოყოლა. ეს ამბავი თეატრში გავიგე. თეატრში, სადაც კეთილი მოხუცის როლს კარგი ადამიანი და საუკეთესო მსახიობი ანდრია ოლიმპის ძე ასრულებდა.

თარგმნა მარიამ ჭავჭანიძემ



ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველო უნდა იცოცხლოს

პატარაა „ღვთისგან ბოძებული“ ჩემი სამშობლო... დიახ, პატარას უწოდებენ, მაგრამ მისი მთა-ველი ვეებერთელა ბუნებრივ სილამაზეს, მის სამსახურად მზადმყოფ უამრავ ადამიანს იტევს.

ვერც კი ჩამოთვლი ყველა გასაჭირს, მას რომ გამოუვლია — მონღოლობა და სპარსობა, ოსმალთა თვითნებობა და ლეკთა თარეში. გაძლება ჭირისა ალბათ ჩვენში მოუგონიათ, მაგრამ ახლაც... ახალი, შხამიანი ჭრილობა 9 აპრილისა...

ამ პატარა, ულამაზეს, ტკივილებით დაღარულ წალკოტს საქართველო ჰქვია — ქართველების სამშობლო, იმ ხალხისა, რომელსაც სამშობლოს სამსხვერპლოზე სიკვდილი თავის უმაღლეს ადამიანურ მოვალეობად ჩაუთვლია.

პატარაა ჩვენი საქართველო, შვილიც ცოტა ჰყავს. ამიტომ მას დიდი გაფრთხილება და მოვლა სჭირდება, რომ არც სარეველამ დაფაროს, არც მზე დაეჩრდილოს. მან უნდა იცოცხლოს და ამის დიდი გარანტია ჩვენი ცხელი გულები და მამულიშვილური საქმეები უნდა იყოს.

ქეთევან სალუქვაძე,
ოზურგეთი, მე-2 საშუალო
სკოლა, VI კლასი.

## ჩემი მხარე

რამდენჯერაც უნდა გავიარო საქართველოს სამხედრო გზაზე, იგი ყოველთვის მომხიბვლელი და თვალწარმტაცი მეჩვენება. ბოლო დროს კიდევ უფრო ლამაზდება ეს გზა. მლეთიდან იწყება მისი საუკეთესო მონაკვეთი — ჯვრის უღელტეხილი... მიდიხარ მაღლა, თითქოს ცას უახლოვდები, დაბლა კი მერცხლის ბუდეებივით მოჩანს სახლები. მერე თანდათან დაბლა ეშვები. და მაინც ყველაზე ლამაზი დარიალის ხეობაა... ხეობის დასაწყისში დგას ცასმიბჯენილი, თოვლით დაფარული მყინვარი, რომელიც ხან ნისლებში დაიმალება და ხან ისე ლამაზად გამონათებს, რომ მისი ცქერა ძნელი მოსაწყენია. ხეობაში, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „ხმაურით მიედინება“ თავზედ ხელაღებული, გიჟი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი მღვრიე თერგი“. იგი მთელი ძალით ეხეთქება კლდეზე გადაკიდებულ გზას, ამ გზიდან გადახედვა შიშის ჟრუანტელს მოჰგვრის ადამიანს. მართლაც ასეთია თერგი, თავისი პატარა, რძესავით თეთრი შენაკადებით...

ეს გზები განსაკუთრებით მდიდარია ცივი წყლებით, აგრეთვე თვალუწვდენელი სალი კლდეებითა და ჭიუხებით, რომლებიც ცხვრისგან მთლად თეთრად დაფარულა. უცნაურია მთის ბუნება. ხან მზე გამოვა და ისე საშინლად ჩამოცხება, თითქოს ძალიან ახლოს ვიყოთ მასთან, ხან ღრუბლებში დაიმალება და აცივდება. ამ მიდამოებშია ჩემი სოფელიც, ფხელშე, მას გარს აკრავს წითლოვანა — ლამაზი მინდორი, სადაც ზაფხულობით ტურისტებს უყვართ ხოლმე დაბანაკება... მათ ხიბლავთ ჩემი ხეობა, ჩემი სოფლის სანახები და მე, აბა, როგორ არ მეყვარება ჩემი მხარე...

ლანა ელოშვილი,
თბილისი, 142-ე საშუალო
სკოლა, VII კლასი.

## რა დააშავე?

რატომ თელავენ ასე უხეშად,
შეუცოდებლად
უმწეო ბალახს?
რა დააშავეს ყვავილებმა
სამაკრატელო?
რატომ ხოცავენ ლაღ ჩიტუნებს,
გალობისათვის?!
რა დააშავე,
სიყვარულისთვის
ასე მკაცრად რად დაისაჯე?!

## მ ა მ ა ს

რა ვქნა, ველარ გავიქარვე დარდი,
შენი ლანდი სხვაზე ფიქრს არ
მაცლის.
დავიტანჯე, გაქრა სიხალისე —
თანამგზავრი უდარდელი ბავშვის.
ცრემლი დაშრა, აღარ მოდის უკვე,
შენს ლანდს ღამე უცრემლებოდ
ვუთევ.
ვლიან ასე დღენი სევდით სავსე.
სულ წინ მიდგას შენი მკრთალი
სახე.

მესიზმრება:
მოდიხარ და გვკოცნი,
გვეფერები თითქოს;
რა იქნება, ეს სიზმარი
სინამდვილე იყოს!

ეკა კვიციანი,
მესტია, ბეჩოს საშუალო
სკოლა, IX კლასი.

## ბილიკი ტყეში

მიყვარს ტყე, მისი ყოველი ბილიკი, ყოველი ხე და ბუჩქი. მივდივარ დაკლაკნილ, ნაირფერი ფოთ-



გლოვა (10 აპრილი). იოსებ წიქარაშვილი, 5 წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებით მოფენილ ხალიჩაზე და ფეხქვეშ რაღაც სასიამოვნო სირბილეს ვგრძნობ, თავზე კი ამაყად დამცქერიან მარადმწვანე ნაძვები, ტანაზიდული ნეკერჩხლები, მოვერცხლილი ფიჭვები.

მაგრამ აი, მივყვები ნაცნობ ბილიკებს და გული თანდათან მიმძიმდება. ჩემზე ადრე ვიღაცას გაუვლია, დამტკბარა ბუნების მშვენიერებით, დანაყრებულა და ორგვარი კვალი დაუტოვებია: ერთი — ტყის მოყვარული კაცისა, მეორე კი — ბუნების მტრისა.

მივყვები ნაცნობ ბილიკებს და გული მწყდება, რომ ვიღაცას დაუნაგვიანებია ტყე, შეუბილწავს მისი სილამაზე, არც მწვადი დაუკლია და არც საზამთრო...

მერე?

მერე კი წასულა და უკან აღარც მოუხედავს.

ჰეი, შენ, უმადურო! მობრუნდი და აკრიფე შენი ნასუფრალი, იმ ადგილზე კი ახალი ხე დარგე და პატივი ეცი ტყეს.

ტყე ხომ თაობებს ეკუთვნის, მამებმა ჩვენ, შვილებს უნდა შემოგვინახონ, ჩვენ კი ჩვენს შვილებს უნდა გადავცეთ იგი.

**ეკა ზაქარაშვილი,**
თბილისი, მე-100 საშუალო სკოლა, VIII კლასი.

## ჩემს ოთახში ჩიტი შემოფრინდა

ჩემს ოთახში ჩიტი შემოფრინდა. დიდხანს არ დარჩენილა, ორი წრე დაარტყა და ისევ გარეთ გავარდა შურდულივით. დავიბენი, მერე ფანჯარასთან მივედი. გარეთ ბეღურები ქიჟვიჟებდნენ. უცებ საოცრად პატარა მომეჩვენა ჩემი ოთახი. ეს ოთხი კედელი ჩიტმაც არ იკადრა, იგი გარეთ გაფრინდა, დამტოვა. ძალიან მომინდა, მეც გავფრენილიყავი და თავი დამეღწია ამ ოთახის ტყვეობიდან...

**სოფიკო როინიშვილი,**
თბილისი, მე-2 ექსპერიმენტული საშუალო სკოლა, VIII კლასი.

## გაზაფხულდა!..

— კაპ, კაპ...

— რა კარგია! გაზაფხული მოსულა, გაზაფხული!

— ვაი, ვაი... მგონი, ვდნები. აი, ჩემს დობილ იასაც გაუხელია თვალები...

— რა კარგია გაზაფხულ-ი-ი! კაპ...

— ვაი, ვაი... ეს ვინ არის, ფოთლებს რომ მისველებს?

— რა ვქნა, ჩემი ბრალი არ არის,



ბუჩქების ფანტაზია.
მერაბ კიკნაძე, წყალტუბო,
1-ლი საშუალო სკოლა

მეც არ მინდა, დავდნე, დავიკარგო, მაგრამ მზე არ მაცდის. ეჰ, კარგი იყო ზამთარი, როცა ამაყად ვეკიდე ფანჯრის რაფაზე, მაგრამ...

— არ წახვიდე, რა, ყინულის ლოლუავ! მეშინია მარტოს...

— სუ, სულელო, რა გატირებს? განა სულ მივდივარ? ნაკადულად უნდა გადავიქცე. მოვჩუხჩუხდები ხოლმე მერე შენთან და სიმღერას გეტყვი, ფესვებს დაგიგრილებ, ჩემს ცივ წყალს შეგასმევ... ნახვამდის!

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 7

— რა კარგია ნაკადული!.. ცივი წყალი! ვაშა!.. ვაიმე, ეს რა არის, ასე მწვანედ რომ ხასხასებს, სად გაქრა ჩემი თეთრი საბანი?

— სუ, ნუ ტირი, ნუ გეშინია, იავ, მე ბალახი ვარ... ახლა მე ვიქნები შენთვის ხალიჩა. აბა, კარგად დამხედე, რა ლამაზი ვარ!

— მართლა, რა კარგი ხარ! ეს რამდენი სამკაული აგისხამს?

— ეს სამკაული კი არა, გაზაფხულის მახარობელი ყვავილებია. შენნაირები... აბა, გამოხედე! აი, ეს შროშანაა, ეს — ენძელა...

— რა კარგები ყოფილან ყვავილები! ნუთუ მეც ასეთი ვარ?!

— შენ ყველაზე კარგი ხარ, ყველაზე ლამაზი ლურჯი კაბა გაცვია, ცისფერი...

— ცისფერი როგორია?

— აბა, ცას ახედე!

— უი, ცაც რა ლამაზი ყოფილა, მზეც! მზე... მგონი, მე მიცინის...

— კი, პატარავ, კი, ყველა შენ გიცინის და შემოგნატრის — ცაც, მზეც, ჩიტებიც, ყვავილებიც, მეც...

— ჩუხ-ჩუხ, ჩუხ-ჩუხ...

— ეს ვიღა მოსულა?

— ვეღარ მიცანი? მე ხომ ის ყინულის ლოლუა ვარ, ნაკადულად გადავიქცევი-მეთქი, რომ შეგპირდი...

— როგორ გამიხარდა შენი დანახვა... რა კარგი ყოფილა ნაკადული, ცა, მზე, ყვავილები, ჩიტუნები!

— ჩუხ-ჩუხ... ეს ყველაფერი გაზაფხულია!

— რა კარგია! გაზაფხული მოსულა, გაზაფხული!..

**ნინო ანთაძე,**
თბილისი, მე-100 საშუალო სკოლა, VII კლასი.



ლევან ბაბუხადია
მხატვარი
თინა კრაწაშვილი

მოთხრობა

# დეიდაჩემი

ყველა ბავშვს უყვარს თავისი ბებია...

განსაკუთრებულ სიყვარულს მე ვერ დავიჩემებ, მხოლოდ ეგ არის, ალბათ, სხვისაგან განსხვავებით, ბებიაჩემი უზადო სილამაზის ქალად დარჩა ჩემს მეხსიერებაში.

თერთმეტი შვილი ჰყოლიათ ბაბუაჩემს და ბებიაჩემს — ოთხი ვაჟი და შვიდი ქალი. ერთი ვაჟი თექვსმეტი წლისა უმსხვერპლია სახადს, ორნი, ცოლშვილიანები, ომში დაღუპულან, ერთიც — მთაში. ისე წასვლიათ საქმე, ზედსიძე შემოუყვანიათ ოჯახში. ქალებს, ერთის გარდა, ყველას მრავალი შვილი ჰყოლია.

ნათქვამია, დეიდას დედის სუნი უდისო. მე ერთი დეიდა მიყვარდა განსაკუთრებით — ნინა დეიდა.

ნინა დეიდა ქართლში, სურამთან ახლოს იყო გათხოვილი. ქმარი და თვრამეტი წლის ბიჭი ომში ჰყავდა დაკარგული და ერთი გოგო, ვარინკოლა შემორჩენოდა. მუდამ შავი კაბა ეცვა, ოდნავ გახუნებული თავსაფარი ეხურა. ისეთი სევდიანი თვალები ჰქონდა, გეგონებოდა, საცაა ატირდებაო, თუმცა სახეზე მუდამ კეთილი ღიმილი დასთამაშებდა. საშუალო ტანისა იყო, წელში გამართული. ამაყი სიარული იცოდა. ნაზი, სალბუნი ხმა ჰქონდა. იშვიათად გაბრაზდებოდა და მაშინაც თითქოს ილოცებოდა ან გეფერებოდა. უგემრიელეს შეჭამადს აკეთებდა, მისი მოწველილი რძეც განსაკუთრებულად გემრიელი მეჩვენებოდა — აუდუღებელს, ქაფქაფას მასმევდა ყოველ დილა-საღამოს.

თითქმის მთელ ზაფხულის არდადეგებს ნინა დეიდასთან ვატარებდი. საქმეს ისედაც მიჩვეული, დიდი კაცივით ვეხმარებოდი. დეიდა, რა თქმა უნდა, მასწრებდა სისხამზე ადგომას და როცა შემატყო, ამას ძალიან განვიცდიდი, ზოგჯერ თვითონ მალვიძებდა, თითქოს ისიც იმ წუთში ადგა, და დილაბინდზე ვრწყავდით ცვარმოდებულ ბაღს.

კვირაში ორჯერ სახლიდან საკმაოდ მოშორებულ კოლმეურნეობის ნაკვეთში დავდიოდით კიტრის საკრეფად. ფრთხილად დავხტოდი კიტრის ბარდებში და აუწერელი სიხარულით ვკრეფდი პაჭუა სამწნილე კიტრებს. მე წინ გავრბოდი, დეიდა უკან მომყვებოდა, ყველას ვასწრებდით და სიხარულით ცას მიწვდებოდა ხელი. ასიცხებულში დეიდა ჩრდილში დამსვამდა, სუფთა ტილოს გაშლიდა და თავის გამომცხვარ მთვარესავით თონის პურს და დაშრუტნულ ყველს ამოიღებდა, მე ქორფა კიტრები მქონდა მზად და დიდი კმაყოფილებით შევექცეოდი. მერე ნაკვეთის ბოლოში დანჯღრეული სატვირთო მანქანა გამოჩნდებოდა და მეც იქ ვჩნდებოდი. ქებით გათამამებული თავდაუზოგავად ვეხმარებოდი კაცებს მანქანაზე ყუთების დაწყობაში. ნაკვეთიდან მობრუნებულნი პაპისეულ, შამბმოდებულ, ხეხილით დაბურულ ნამოსახლარზე ამოვივლიდით. დავკრეფდით მსხალს, ვაშლს, ქლიავს, ღოღნაშოს, ჭანჭურს და დატვირთულნი მივდიოდით სახლში. დეიდა მუდამდღე აფუხფუხებდა ხილფაფას, მურაბას, კომპოტს და მერე მე და დედაჩემსაც გვატანდა.

უმეტესად ძროხას ვმწყემსავდი. მერცხალა თავისუფლებას არ იყო მიჩვეული, ან ერთთავად გრძელი ბაწრით იყო სიხირაკზე გამობმული, ან მოკლედ დაბმულს ალერდი და ნაქუჩნი ეყარა წინ, ამიტომ დეიდაჩემი ბაწარათრეულს მატანდა მინდორში, თუ ძალიან გაგაბრაზოს, სადმე ჩრდილში გამოაბიო. მართლაც, ნახევარჯერ გამობმული იყო საწყალი, რადგან ახსნილისათვის თვალი რომ მოგეშორებინა, იმწამსვე დატაროებულ ყანაში დურთავდა თავს. მინდორში ბლომად ბავშვები დადიოდნენ, უფრო სათამაშოდ, ვიდრე საქონლის სამწყემსად. ჩვენს მეზობლად ერთი ალქაჯი გოგო ცხოვრობდა, სისხლი მქონდა გამშრალი მისგან. დალი ერქვა და ერთხანს ალივით მეშინოდა მისი.

ძალით შემოდენიდა ისედაც გაწუწკებულ ძროხას ყანაში, მერე ძროხის გამოდენით აფუფხუნებულს წელში მეცემოდა და სიმინდებში წამაქცევდა. მე წამოვვარდებოდი და ისევ ძროხას შევუტევდი. ის კი მოტრესილ მიწაზე წამოჯდებოდა და ეშმაკურად კისკისებდა. ჩვენთან ხშირად დადიოდა, დეიდაჩემს ხელსაქმეში ეხმარებოდა, თან მე მაბრაზებდა, იმერულ კილოს მიკილავდა.

ასე გადიოდა არდადეგები...

ბოლოს მთლიანად გასრულდა არდადეგებიცა და ბავშობაც. თანდათან ჩაიწმინდა იმდროინდელი მოგონებები მეხსიერების ფსკერზე. ბევრი რამ დამავიწყდა, ბევრი რამ კი არასოდეს დამავიწყდება.

ინსტიტუტში ჩავაბარე. სამხედრო სავალდებულო სამსახური მოვიხადე და ცოლიც შევირთე. ქორწილის წინა დილას ძილში ჩამესმის დეიდაჩემის სალბუნი ხმა. სიზმარში მგონია თავი. მალე ვრწმუნდები, რომ სიზმარში არა ვარ. გამოვრბივარ აივანზე. პატარა ბავშვივით მიკრავს დეიდა გულში, მეფერება, სიხარულის ცრემლმორეული მლოცავს.

— აი, ჩემი ალიოშა, შენს მაგივრობას ახლა ეს მიწევს, — მითითებს დეიდა გვერდზე გამდგარ ათიოდე წლის ბიჭზე და მახსენდება, რომ თავისი შვილის სახელი დაარქვა შვილიშვილს.

— გამარჯობა შენი! — ხელს ვართმევ ალიოშას. — ხომ ეხმარები ბებიას? არ გააბრაზო, თორემ ჩემთან გექნება საქმე! — ვეუბნები ღიმილიანი სერიოზულობით.

— არა, კარგი ბიჭია, მეხმარება, — აქებს ბებია შვილიშვილს.

დეიდაჩემს ქორწილისთვის ხორაგი, ხილი და ბადრეული ჩამოუტანია. მატარებელს ჩამოჰყოლიან დილაადრიან და მალე გაბრუნებას აპირებენ.

— დარჩი, დეიდა, ქორწილში! — ვეხვეწები.

— ვერა, შვილო, რა მინდა ბებერ ქალს ქორწილში. გოგოს და სიძეს გამოვუშვებ, სახლს მარტო ხომ ვერ დავაგდებ. ხომ გნახე. მოგილოცე. ღმერთმა სულ დალოცვილი გამყოფოთ! ოღონდ, იცოდე, პატარძალი ჩამომიყვანე და მაჩვენე!

საუზმეზე ერთი ჭიქა ღვინო დალია, ჩემი სადღეგრძელო თქვა და გამოგვემშვიდობა, ჭიშკართან კიდევ გამიმეორა — იცოდე, პატარძალი უნდა მაჩვენოო.

გავიდა ხანი, ეს ერთადერთი თხოვნა ვერ შევუსრულე დეიდაჩემს. მეც ვეღარ ვნახე მას შემდეგ. იმ ზამთარს ავად გამხდარიყო და...

ბევრი ცრემლი დაედინა ნინა დეიდას; გულდამთუთქავად დასტიროდა შვილი, დები ერთმანეთს არ აცლიდნენ მოთქმას. მე პირველად მაშინ გადავლახე რაღაც შიშისმაგვარი გრძნობა — კუბოსთან ხელის შეხების პრობლემა — ერთგვარი სიამაყითაც კი შევუდგი მხარი კუბოს. საბოლოო განსასვენებლამდე მივაცილე დეიდაჩემის ცხედარი.

ხშირად, ძალიან ხშირად მომინდებოდა ხოლმე მისი საფლავის მონახულება, მაგრამ ამ ბოლო დრომდე ვერ ავიხდინე სურვილი. წელს ჩავედი ადრე გაზაფხულზე. დიდად გაიხარეს ვარინკომ და სტუმართმოყვარე სიძეკაცმა. სამი შვილი ჰყავთ, ბიჭი ჯარშია უკვე, გოგოებიც დიდები არიან. მაშინვე მთელი ოჯახი დატრიალდა ჩემს გასამასპინძლებლად. ვიუარე. ვინ მოგისმინა. მერე სამზადში გავედი, საქმეში გართულ ჩემს დეიდაშვილს მხარზე დავადე ხელი და ჩუმად ვუთხარი: დეიდაჩემის საფლავი უნდა ვნახო, ამისთვის ჩამოვედი-მეთქი.

შეცბუნდა ვარინკო, ცუდი სიზმარი ხომ არ გინახავსო? მაგრამ უცებ გამოერკვა, — ამ წუთში ომარს ვეტყვი და გამოგყვებაო. არა, შენ უნდა გამომყვე-მეთქი.

სასწრაფოდ გადაიცვა კაბა, ქმარშვილს დავალებები მისცა და გამომყვა.

გზადაგზა გავიხსენეთ ძველი ამბები, ახლები გამოვკითხე. დაწვრილებით მიყვებოდა ყველაფერს.

შეუმჩნევლად მივდგომოდით სასაფლაოს.

ვარინკო დაწინაურდა, საფლავის რკინის ღობის კარი შეაღო.

ახლოს მივედი, ქვაში ჩასმულ დეიდაჩემის სურათს ჩავაშტერდი...

და უეცრად...

— ია-იები!.. — განცვიფრებულმა და აღფრთოვანებულმა შევძახე.

მთელი საფლავი იმერული მინდვრის ია-იებით იყო გადაბიბინებული.





# მოულოდნელი შეხვედრა

**შალვა რეხვიაშვილი**

მხატვარი

**გაიოზ ფოცხიშვილი**

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ივლისის ადრიანი დილა იდგა. შოდის მთის კლდოვანი ფერდობები ამომავალი მზის სხივებით იყო განათებული. მოუსვენარი რიონი მოათამაშებდა ცისფერ ტალღებს, ეხეთქებოდა ქვიან ნაპირებს.

ზემორაჭველი გლეხები ალესილი ცულებით მიუყვებოდნენ ლოლორულას ტყიან ნაპირს და თან მხიარულად მიმასლაათობდნენ.

ქვიან გზაზე ერთი საათის სიარულის შემდეგ ისინი დანიშნულ ადგილას მივიდნენ, სოფლიდან წამოღებული საგზალი ხის ტოტებზე დაკიდეს, ცოტა შეისვენეს და საზამთროდ შეშის დამზადებას შეუდგნენ.

ხშირი ტყით შემოსილ ღრმა ხეობაში მეხივით გაისმოდა მოჭრილი ხეების მიწაზე დანარცხების ხმა.

ამასობაში შუადღემაც მოატანა. ტყეში მომუშავე გლეხებმა ფხიანი ცულები მორებში ჩაარჭვეს და ხელპირის დასაბანად იქვე, ლოლორულას წყალზე ჩავიდნენ, ცოტა ხნის შემდეგ საგზალი ამოალაგეს და სადილად დასხდნენ.

სადილობის დამთავრებას ბევრი არაფერი უკლდა, რომ გულშემზარავი კვნესა და ბუბლუნი მოესმათ და დაინახეს დათვი, რომელიც, როგორც ჩანს, მძიმედ იყო დაჭრილი და წყლის ნაპირს დაღმა მიუყვებოდა. გლეხებმა შეკრთომა არ შეიმჩნიეს და გრძელტარიანი ცულები ჰაერში შემართეს.

დათვმა ხალხი შენიშნა თუ არა, მიბრუნდა და ახლა აღმართს აჰყვა.

— ნამდვილად ის არის, ის, ამ გაზაფხულზე ჩემი ძროხა რომ დაგლიჯა! — წამოიძახა ვასილამ. — რადაც უნდა დამიჯდეს, სამაგიეროს უნდა გადავუხადო მაგ ტყიურს! კაცი არ ვიყო, თუ ჩემი ვეჟანას დაგლეჯა არ ამოვაშხამო!

— რას ამბობ, ვასილა?! დაჭრილ დათვზე ცულით მიხტომა შეიძლება?! — გაკვირვებით წამოიძახა სიმონამ.

— მე ვაჟკაცი მეგონე, სიმონავ. შენ კი ლაჩარი ყოფილხარ! — ახალა სიტყვა ვასილამ და ცული ხელში შეათამაშა.

— ნუ ბრაზობ, ჩემო ვასილა! მაგ უაზრო სიტყვას ისა სჯობს, გრიგოლა გავგზავნოთ სოფელში თოფის გამოსატანად.

— სანამ გრიგოლა სოფლიდან თოფს გამოიტანს, დათვი ცხრა მთას იქით გადაიკარგება, — თქვა მიხამ.

— მე კი არ გირჩევთ გაბოროტებულ დათვზე ცულებით მიხტომას და ახლა თქვენ იცით! — გამოსძახა სიმონამ და ამხანაგებს გადახედა.

— ხუთ ვაჟკაცს რას გვიზამს დაჭრილი და ღონემიხდილი დათვი! შენ თუ გეშინია, აქ დარჩი და შორიდან გვიყურე, რა დღეს დავაყრით იმ შენს დათუჩას! — მიახალა პირში სიტყვა ვანომ.

— თავი შეურცხვეს თქვენზე ნაკლებ ვაჟკაცს! აბა, მომყევით! — წამოიძახა სიმონამ და ცული ჰაერში შემართა.

— წავიდეთ! წავიდეთ! — შეარხია ჰაერი კაცების მჭექარე ხმამ.

ყველაზე წინ ვასილა მიდიოდა, დანარჩენები უკან მიჰყვებოდნენ. მანძილი დათვსა და ვასილას შორის თანდათან მცირდებოდა.

დათვი უცბად მობრუნდა, ღრიალით ეცა ვასილას, ქვეშ მოიგდო და ჯუჯღნა დაუწყო.

ამ დროს სიმონა მიეჭრა და გაფხავებული ცული წელში დასცა დათვს, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, მაგრამ ცულის პირი დათვის ხერხემლის ძვლებში გაეჭედა. სიმონას მიწისფერმა გადაჰკრა.

ტკივილისაგან დათვმა ერთი კ
შეჰბღავლა, მერე მოუბრუნდა სიმონას და ისიც ქვეშ მოიგდო.

ცოტა ხნის შემდეგ ტკივილისაგან გამწარებული და დასუსტებული დათვი ორივეს შეეშვა და ლასლასით აუყვა ფერდობს. სიარულის დროს ცული ზურგიდან გადმოუ-



ვარდა და მიწაზე ზღართანი მოიღო.

სიმონა ფეხზე წამოიჭრა, ცულს ხელი დასტაცა და მძიმედ დაჭრილ დათვს დაედევნა.

დათვი წუთით შედგა და იქვე ახლოს მდგარ ნაძვს მიეყრდნო, თვალები დახუჭა და აკვნესდა.

ფეხში მსუბუქად დაჭრილ სიმონას შეებრალა ტყიური, შეჩერდა და ცნობისმოყვარეობით ცქერა დაუწყო. წუთიც და სასიკვდილოდ განწირული დათვი მიწაზე დაეცა, დაგორდა და ლოღორულას ნაპირას სული განუტევა.

სიმონა ახლა ვასილას მიუბრუნდა და ხელით შეანძრია. დაჭრილს სიმონაც დათვი ეგონა და საშინელი ღრიალი მორთო, მაგრამ თვალი რომ გაახილა, შერცხვა და ძლივს წამოიზლაზნა.

მზის ჩასვლისას მოკლული დათვი მარხილით მიიტანეს სოფელში.

სიმონამ უარი თქვა დათვის ტყავზეც და ხორცზეც და მას შემდეგ ნადირზე აღარ აღუმართავს ხელი.



# გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებიდან

## ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲔᲑᲘ

სახელგანთქმული უნგრელი პიანისტი და კომპოზიტორი ფერენც ლისტი ერთხელ ტიტულოვანი ხალხისათვის უკრავდა.

ინგლისის დედოფალი კონცერტზე დაგვიანებით მივიდა. ის და მისი ამალა დიდხანს მოუნდნენ ლოჟაში დასხდომას, შრიალებდა სეფექალების კაბები, დედოფალი ხმამაღლა ლაპარაკობდა.

ლისტმა დაკვრა შეწყვიტა.

— თქვენი ფანტაზია ძალზე მოკლე აღმოჩნდა. — უთხრა დამსწრე დიდებულთაგან ერთ-ერთმა კომპოზიტორს.

— შემეშინდა, მის უდიდებულესობას, დედოფალ ვიქტორიას ხელი არ შევუშალო-მეთქი. — მიუგო კომპოზიტორმა.

მსგავსი სცენა განმეორდა 1842 წელს რუსეთის მეფის ნიკოლოზ I-ის კარზე მოწყობილ კონცერტზეც.

— რატომ შეწყვიტე დაკვრა? — ჰკითხა ნიკოლოზმა კომპოზიტორს.

— როდესაც მეფე ლაპარაკობს, დანარჩენები უნდა დუმდნენ, — უპასუხა ლისტმა.

## ᲨᲣᲠᲘᲡᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ

ერთხელ ოპერაში როსინიმ მეზობლად მჯდომს გადაუჩურჩულა:

— ეს რა მომღერალია, რა უხეირო ხმა აქვს!

— იქნებ შინ წასვლა გერჩივნათ? — შესთავაზა მეზობელმა.

— რას ამბობთ, — მტკიცედ იუარა როსინიმ. — გადმოცემით ვიცი, რომ მაგას მესამე მოქმედებაში ქალი ჰკლავს, და მინდა დაველოდო.

## ᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲝᲜᲔᲠᲘ

ჯოაკინო როსინის ერთი მეგობარი უამბობდა თავისი ნაცნობის შესახებ, რომელსაც ყველა დროის ხალხის საწამებელი იარაღების კოლექცია ჰქონდა შეგროვებული.

— ფორტეპიანო თუ ჰქონდა კოლექციაში? — დაინტერესდა ჯოაკინო.

— ცხადია, არა.

— მაშასადამე, ბავშვობაში მუსიკა არ უსწავლია...

## ᲓᲝᲜᲘᲪᲔᲢᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘᲗ

მეცხრამეტე საუკუნის იტალიელი კომპოზიტორი, „სიყვარულის ნექტარის“, „ლუჩია დი ლამერმურის“, „ფავორიტის“, „დონ პასკუალესა“ და სხვა ოპერების ავტორი გაეტანო დონიცეტი წარმოუდგენელი სისწრაფით მუშაობდა, რის წყალობითაც სამოცდაათი ოპერა შეთხზა.

ერთხელ მისი თანდასწრებით საუბარი ჩამოვარდა იმის შესახებ, რომ ჯოაკინო როსინიმ ყველას გასაოცრად, ოპერა „სევილიელი დალაქი“ ცამეტ დღეში დაწერა.

— რას იტყვით ამის თაობაზე? — ჰკითხეს დონიცეტის.

— მთელი ცამეტი დღე მოუნდა?! — გაიკვირვა კომპოზიტორმა და მაშინვე დასძინა: — თუმცა, რა მიკვირს, როსინი ხომ ყოველთვის ნელა წერდა...

## ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲚᲘᲐ

ერთმა ახალგაზრდა კომპოზიტორმა ცნობილ ავსტრიელ კომპოზიტორსა და დირიჟორს იოჰან შტრაუსს თავისი ახალი ბალადა მოასმენინა.

— მშვენიერი ნაწარმოებია! — უთხრა შტრაუსმა. — ოღონდ ზოგიერთი ადგილი მოცარტს მაგონებს.

— არა უშავს, ეგ ხელს არ შეუშლის! — მიუგო ამაყად კომპოზიტორმა. — მოცარტს ყოველთვის სიამოვნებით უსმენენ...

## ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲐ

— რა განსხვავებაა კარგსა და ცუდ დირიჟორს შორის — ჰკითხეს ერთხელ ცნობილ გერმანელ დირიჟორს ჰანს ფონ ბიულოვს.

— კარგ დირიჟორს პარტიტურა თავში აქვს, ცუდს კი თავი — პარტიტურაში, — მიუგო მან.

## ᲐᲜᲢᲘᲞᲝᲓᲔᲑᲘ

ერთხელ ისე მოხდა, რომ ცნობილმა გერმანელმა კომპოზიტორებმა რიჰარდ ვაგნერმა და რობერტ შუმანმა თითქმის მთელი საათი ერთად გაატარეს. ამ შეხვედრის შემდეგ ვაგნერი ამბობდა:

— შუმანი უკეთილშობილესი ადამიანია, ოღონდ, სამწუხაროდ, მეტისმეტად სიტყვაძვირია.

შუმანი კი აცხადებდა:

— ვაგნერი ძალიან მომეწონა, თუმცა მეტისმეტად ბევრს ლაპარაკობს.

## ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲓᲐᲜ

გენიალურ რუს პიანისტსა და გამოჩენილ კომპოზიტორს ანტონ რუბინშტეინს ვენაში გასტროლების დროს წარმოუდგენლად ძუნწ ანტრეპრენიორთან მოუხდა საქმიანი ურთიერთობა. კონცერტების ანაზღაურებაზე მოლაპარაკება უზომოდ გაჭიანურდა.

— კარგი, — განაცხადა ბოლოს რუბინშტეინმა, — მე იმ თანხაზე ორჯერ ნაკლებს დავჯერდები, რასაც ჩვეულებრივ ვიღებ, ოღონდ ორჯერ უფრო ჩუმად დავუკრავ.

თარგმნა
შ. ამირანაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაზა ბაწელაშვილი

# მოთხრობები

მხატვარი კარლო ფაჩულია

## ლაკბე

ვერცხლის ზოლივით მოიკლაკნება პატარა მდინარე ლაკბე გომბორის მთებით შემოჯარულ ხეობაში. მოდის, მორაკრაკებს, მოაქვს ხეობის სუნთქვა და მწვანე ტყეების სურნელი. შვინდიანის მთას შიგ ჩამოუწყვია ვეება მხარ-მკლავები, ზედ ხელისგულზე ატარებს თავისი გულის ძარღვიდან ნაჟური წყაროებით ნასაზრდოებ პატარა მდინარეს და ქვევით ივრის შესართავისაკენ მიაცილებს... ლაკბე დაუზარებლად მიეშურება იქით. იორი არც ისე შორსაა, ვრცელი ზეგნისა და გორაკების გადაღმა მიქშუის და ლაკბის წყალს შვილივით გულში იხუტებს. ხანდახან ნაწვიმარზე ლაკბე ისე ადიდდება ხოლმე, რომ მთელ ხეობას აყრუებს — გუგუნითა და ზათქით მიექანება ქვევითკენ, აწყდება რკინიგზის ხიდს და ზედ ჩავლილ გრძელ მატარებელს ბორბლებს უკოცნის. ხანდახან კი გვალვისაგან ისე დაუშრება. დაეწრიტება წელი, რომ იორამდე ველარ აღწევს და დადარდიანებული ელის შხაპუნა წვიმას.

ლაკბეს ხეობაში ქვები და ლოდები სილაში ჩაფლულან. ზოგი მთლად ჩამარხულა, ზოგს მარტო ძირი ჩაუდგამს შიგ, ზოგიც ნაპირზე ყრია რიყედ, ზოგსაც მეტი სიდიდისა და სიმსხოს გამო მზეზე აულაპლაპებია გავა-კისერი, თავი და ტანი. ეგ ქვები კალატოზსა და ხუროს უხმობენ: მოდი, ამილე, წამილე, ან გამთალე, ან კიდევ ეგრევე საძირკველში ჩამაგდე, ჩამადუღაბე, კედლებად ამაშენე, კარ-ფანჯრები შემაბი, სახურავი დამადგი და შენი სახლი ვიქნები, მყუდრო და ბუხართბილიო. ადამიანსაც ესმის მათი გულისთქმა, არ ახანებს, ეზიდება ქვასა და ქვიშას და, რაც კი სახლებია აშენებული ირგვლივ — გომბორის მთის ფერდობებსა და ზეგანზე შემოგვირისტებულ სოფლებში, თითქმის ყველა აქაური ქვითაა ნაგები. ამ ქვებზე და ქვებს შორის ხალისიანად მიედინება თეთრმოლურჯო წყალი და საბანაოდ ჩამოსული ონავარი ბიჭების ხმაურით აყრიამულებული ისე გულიანად მღერის, რომ მთები ბანს აძლევენ და სიოსაგან აბრიალებული ტყე ტაშს უკრავს.

რამდენიმე ათეული წლის წინათ აქ მუხის მსხვილ ხიმინჯებზე მერცხლის ბუდესავით შესკუპებული, ჩალით გადახურული პატარა წისქვილი იდგა და დღე და ღამე ხორბალს, ქერს და სიმინდს ფქვავდა და ფქვავდა. დრო-ჟამმა ბევრი რამე წაშალა მიწის პირიდან და წყლის წისქვილიც თან მიაყოლა; ნაწისქვილარი ადგილი მხოლოდ ხანდაზმულებსა და ჩემი თაობის ადამიანებს თუღა ახსოვთ. როცა მას ჩავუვლი, ასე მგონია, ძველ სასაფლაოს ჩავუარე და სურვილი მომივლის ხოლმე, ქვევიდან როგორმე მოზრდილი ქვა ამოვათრიო, ბექობზე დავდგა და წარწერა გავუკეთო: „აქ იდგა წისქვილი". შეიძლება მომავალი თაობისათვის ეს



წარწერა არაფრისმთქმელი იყოს, მაგრამ ვიღაც მაინც შეხედავს სევდიანი თვალებით, როგორც ისეთ საფლავს, რომელსაც ჭირისუფალი აღარა ჰყავს...

## ჭიჭინა-თელეჯის გადაფრენის ღამე

მთელი კვირა ბებერი ძაღლი ღამღამობით გაბმითა ყმუოდა, ხანდახან ცხოველურ მოთქმა-ტირილსაც გამოურევდა, თითქოს მთელ ქვეყანას დიდი უბედურების მოახლოებას აუწყებსო. პირუტყვის ავისმომასწავებელი ყმუილი სოფელს კიდით კიდემდე სწვდებოდა და მყუდრო ძილს უფრთხობდა. ხანდახან რომელიმე მეზობლის სახლის კარი გაიჭრიალ-გაიღებოდა და ბუზღუნით გაისმოდა კაცის ხმა: ნიკავ, როგორმე გააჩუმე ეგ სატიალე ძაღლი; თუ არ ჩუმდება, თოფი დაეცი და მოკალიო. მაგრამ ნიკას ვერ გაემეტებინა ერთგულად ნამსახურები პირუტყვი. ვერც მოფერება-დაყვავებამ, ვერც დატუქსვამ ვერ გაჭრა და ამის შემდეგ ნიკამ მის გაჯოხვასა და კეტით ცემას მოუხშირა, ემუქრებოდა: ენა ჩაიგდე, თორემ მოგკლავო. ნაგვემი ძაღლი გაიქცეოდა, თივისა და ბზის ბუჩოში შეძვრებოდა, ცოტა ხანს გაიკმენდავდა ხმას და, ყველას რომ ეგონა, სამუდამოდ დადუმდაო, ისევ დაიწყებდა საზარელ ყმუილს. ისევ გაიჭრიალ-გაიღებოდა რომელიმე მეზობლის სახლის კარი და უკვე მერამდენედ გაისმოდა გაბრაზებული კაცის ხმა: ნიკავ, ხომ ხედავ, არ ჩუმდება, რაღას უცდი, დაეცი თოფი და მოკალი ეგ სატიალე, თორემ ბავშვებსა და ქალებს შიშისაგან ლამის გულები დაუსკდეთო. ბოლოს და ბოლოს მოთმინების ფიალა ნიკასაც აევსო. კედელზე ჩამოკიდებულ ორლულიან თოფს სტაცა ხელი, ტყვიით დატენა და საცვლების ამარა ეზოში გავარდა. მისმა მეუღლემ სოფომ ხვეწნით მიაძახა: არ გაბრიყვდე, პირუტყვი არ მოკლა, ცუდადა მაქვს ძაღლის სიკვდილი დაცდილი; ეგ უბედური და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერდა. დასნეულდა, ალბათ სიკვდილის მოახლოება იგრძნო, თავის თავსა გლოვობს, გაუშვი, თავისით მოკვდეს, მაგის ცოდვას შენ ნუ დაიდებო. ნიკამ ყური არ ათხოვა მეუღლის თხოვნას — უკვე ჩახმახშემართული იდგა ეზოში. სოფო ახლა ვაჟიშვილებს შეეხვეწა: ადექით, მამათქვენს პირუტყვი არ მოაკვლევინოთო; მაგრამ უკვე გვიან იყო: ორჯერ დაიქუხა თოფმა, შეაზრიალა არემარე, ამას მოჰყვა ტყვიით გათანგული ძაღლის საცოდავი წკავწკავი და მეზობლების შეხმიანება: რა მოხდაო? თუმცა ყველანი მაშინვე მიხვდნენ, რაც მოხდა, მაგრამ თოფის ქუხილი და განწირული ძაღლის წკავწკავი ავბედითად ჩაესმათ ყურში. შეწრიალდა ნიკას ოჯახიც. დერეფანში პერანგის ამარა გამოსული სოფო ვიშვიშებდა: ძაღლი სასიკვდილოდ რად გაიმეტეო, უწყრებოდა ქმარს; ოთახიდან მოისმოდა ლიზა ბებიას ქოთქოთიც: ცუდის მომასწავებელია, უბედურების მაუწყებელიო. ნიკა თოფის ლულას დაბჯენოდა, ჰირისუფალივით დაჰყურებდა საბძლის წინ, კალოზე, თივისა და ბზის ბუჩოსთან გაშოტილ, სამუდამოდ დადუმებულ ძაღლს.

— ღმერთმანი, არ მინდოდა მაგის მოკვლა. მეზობლებმა კიდევ ცალკე შემაყელთეს. მართლაც საზარლად ყმუოდა. ვერ გავაჩუმე ეგ საწყალი, სხვა გზა არა მქონდაო, — თავის მართლებითა და დანანებით ამბობდა. მერე მკვდარი ძაღლი ღობესთან მიათრია და ვაჟიშვილებს უთხრა: დილით სამარე გაუთხარეთ და მიწას მიაბარეთო.

●

უკვე აღარავის აწუხებდა ბებერი ძაღლის ზარიანი ყმუილი. გომბორის მთაგრეხილზე გადმოცურებული მთვარე მშვიდად დაჰნათოდა ძილით გატრუნულ სოფელს. ჭრიჭინები გაბმული ჭრიჭინით ივნისის ღამეს ათენებდნენ. ღობის ძირები ციცინათელებს გაევსოთ და ზამბახებს მანათობელი მძივებივით დაფრქვეოდნენ. უცებ ციცინათელების ერთი გუნდი აფრინდა, მას მეორე მიჰყვა, მერე — მესამე და დაიწყო ციცინათელების გადაფრენა ერთი ეზოდან მეორეში. ეს უკვე ალიონის მოახლოებას ნიშნავდა.



თეთრად მოციმციმე წერტილების უწყვეტი ჯაჭვი თავქოჩორა მთის ხეობაში დაეშვა, ლაკბეს სანაპიროს დაუყვა, ჩალით გადახურული წისქვილის ირგვლივ მწვანე ბუჩქნარსა და ჯაგებს შემოეწყო, მერე მთლად გაავსო, უამრავ პაწია შუქურად აციმციმდა.

ღარში წყალი მითქრიალებდა, დოლაბების ყრუ ხმა და სარეკელას მშვიდი ბანი სასიამოვნო ჰანგად ილვრებოდა ირგვლივ: მშვიდად მუშაობდა წისქვილი, ხორბალსა ფქვავდა... მეწისქვილე ვანო ბაყბაყდევივით ჩამომჯდარიყო ღია კარის ზღურბლზე, ფქვილით გაგანგლულ ჩხაულვაშებში ღიმილი ჩასდგომოდა და თვლემამორეულს, თითქმის იქვე, მის ცხვირწინ ნაბადზე წამოწოლილ ფუტკარას უღიმოდა. იქნებ ის უხაროდა, ამ საღამოს ფუტკარამ რომ უთხრა: ზევით, შვინდიანის ტყეში, კიდევ ერთი ცივი წყარო აღმოვაჩინე და შენი სახელი ვუწოდე, ვანოს წყარო დავარქვიო. საოცარი კაცია ფუტკარა — ბუნებას პატრონობს, განსაკუთრებით კი ტყის ველურ ფუტკარს; ეს მთელმა სოფელმა იცის, ამიტომაც შეარქვეს ფუტკარა. ამ ბოლო დროს კი ახალი წყაროების აღმოჩენა აიკვიატა: დადის, დაეხეტება მთა-მთა, ტყე-ტყე, ღელე-ღელე და ახალ წყაროებს პოულობს, მიწიდან თუ ტინებიდან ნაჟურ წყალს სიპი ქვებით ზღუდეს უშენებს, ღარს უდებს და რანაირ სახელებს არ არქმევს: მზის დედის წყაროო, წყალმარგალიტიო, უკვდავების წყაროო. მშობლის წყაროო. ობლის წყაროო... მშობლისა და ობლის წყარო ალბათ იმიტომ უწოდა, თვითონ რომ უდედმამოდ, ობლადაა გაზრდილი... მაგრამ აი, ვანოს წყაროც გაუკეთებია! ამაზე მეწისქვილე შეედავა: იქნება სჯობდა, ვანოს წყარო კი არა, მეწისქვილის წყარო გეწოდებინაო. მაშინ ფუტკარამ მოკლედ შეკრეჭილ თოვლივით თეთრ წვერ-ულვაშზე ხელი დინჯად გადაისვა, გრძელტარიანი ჩიბუხი ისე გააბოლა, როგორც ამას ზღაპრებში სჩადიან ბრძენი და კეთილი მოხუცები, მერე ონავარი ბიჭივით თვალი ჩაუპაჭუნა მეწისქვილეს და მრავლისმეტყველად ჩაიღიმა, რაც იმას ნიშნავდა, მე ასე მსურს და დღეიდან იმ წყაროს ყველა ვანოს წყაროს დაუძახებსო... ეს ამბავი ალბათ ძილ-ბურანში ჩაჰყვა ვანოს, ძილ-ბურანს ვამბობ იმიტომ, რომ, როცა საფქვავი იფქვევა, მეწისქვილეს არ სძინავს, ის მხოლოდ ხანდახან თვლემს თვალის მოსატყუებლად, ისიც იმდენ ხანს, საქმე რომ არ წახდეს: დროზე უნდა დააყაროს ხვიმირას ხორბალი, სიმინდი ან ქე-

# ჭადრაკი

განყოფილებას ხელმძღვანელობს
შოთა ინწკირველი

## ამომავალი ვარსკვლავი იუდიტ პოლგარი

დები პოლგარების (19 წლის ჟუჟა, 14 წლის სოფი, 12 წლის იუდიტი) წარმატებები ცნობილია. შარშან, სალონიკის ოლიმპიადაზე, ისინი მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ ქალთა ნაკრებ გუნდებს შორის (ამ ბრწყინვალე სამეულს შესანიშნავი პარტნიორობა გაუწია 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონმა გოგონათა შორის ილდიკო მადლმა). უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის ბრძანებულებით, ისინი დაჯილდოვდნენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ვარსკვლავის ორდენით. პოლგარები ებრაელები არიან.

დებში ყველაზე ნიჭიერად უმცროსი, 12 წლის იუდიტი ითვლება.* თუნდაც ის რად ღირს, რომ შარშან მან ხუთჯერ შეასრულა საერთაშორისო ოსტატის ნორმა ვაჟთა შორის და ეს წოდება გენიალურ ამერიკელ რობერტ ფიშერზე ორი წლით ადრე მიიღო: შარშან ტიმიშოარაში (რუმინეთი) მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა ჭაბუკთა შორის (12 წლამდე), სალონიკის ოლიმპიადაზე კი მეორე დაფაზე 13 შესაძლებლობიდან 12,5 ქულა მოაგროვა; ისლანდიის საერთაშორისო ვაჟთა ტურნირში (მეშვიდე კატეგორია) თავის დასთან — ჟუჟასთან ერთად I-II ადგილები გაინაწილა, უკან ჩამოიტოვა ორი დიდოსტატი და რამდენიმე ცნობილი საერთაშორისო ოსტატი. უკეთესი კოეფიციენტის გამო მთავარი პრიზი იუდიტს მიენიჭა. ამ დროისათვის ის თერთმეტი წლისა იყო. ჰასტინგსის ტრადიციულ საშობაო (1988-1989 წწ.) ვაჟთა „ა" ღია ტურნირში იუდიტმა პირველი ადგილი დაიკავა. მოვუსმინოთ ამ ძლიერი შემადგენლობის შეჯიბრის მონაწილე დიდოსტატ ედუარდ გუფელდს: «Убежден, в 12 лет ни один мужской гроссмейстер (даже самый великий шахматист) не играл столь мощно». (ჟურნალი „64". 1989 წ. № 5).

ქალთა ჭადრაკის ისტორიაში იუდიტ პოლგარი ყველაზე ახალგაზრდა დიდოსტატია.

სალონიკში XIII ქალთა ოლიმპიადის საუკეთესო პარტიად აღიარეს იუდიტ პოლგარის შეხვედრა ბულგარელ ანგელოვასთან. გამარჯვებულმა მიიღო სპეციალური პრიზი — 500 ამერიკული დოლარი. აი, ეს პარტია.

პოლგარი — ანგელოვა. სიცილიური. 1. e4 c5 2. მf3 მc6 3. კb5 g6 4. 0-0 კg7 5. c3 e5 (ჯობდა 5... მf6 e4 პაიკზე თავდასხმით, რაც კვეცავდა თეთრების არჩევანს) 6. d4 ed 7. cd მ:d4?! (7... cd) 8. მ:d4 cd 9. e5! (აბრკოლებს შავების მეფის ფრთის მობილიზებას) 9... მe7 (1974 წელს უნგრეთში, ბარცაი-გასტონის პარტიაში იყო 9... a6 10. კa4 b5 11. კb3 კb7 12. ლ:d4 მe7 13. კg5! ხანგრძლივი ინიციატივით. ახლა იუდიტი — რომლისთვისაც ეს პარტია ცნობილი იყო — წარმატებით იყენებს თავისი თანამემამულის გეგმას) 10. კg5! 0-0 11. ლ:d4 მc6 12. ლh4 ლb6 13. მc3 კ:e5?! (უარეს პოზიციაში შავები უშვებენ სერიოზულ სტრატეგიულ შეცდომას — პაიკს იგებენ, მაგრამ იხსნება ხაზი უკეთ მობილიზებული მეტოქისათვის) 14. ეae1!! (მეფეზე იერიშისათვის რეზერვის მოზიდვა დაკავშირებულია ფიგურის შეწირვასთან. გზადაგზა იმუქრება 15. ე:e5!) 14... კ:c3?! (შავები იგებენ ფიგურას, მაგრამ ასუსტებენ საკუთარი მეფის პოზიციას — შავ უჯრებს, რაც მით უფრო საგრძნობი და სახიფათოა, რომ თეთრებს ჰყავთ შავუჯროვანი კუ, უკონკურენტო კუ! ეს ზოგადი მოსაზრებაა, ხოლო კონკრეტულად შავებს თითქოს არაფერი ემუქრება, მაგრამ მალე ნათელი გახდება, რომ ანგელოვას ვერ გაუთვალისწინებია ნორჩი გენიოსის სვლათა თანამიმდევრობა, რაც იწვევს პარტიის ეფექტურ გადაწყვეტას) 15. bc ლ:b5 16. ლh6!!

ეს მოულოდნელი სვლა მყისვე წყვეტს ბრძოლის ბედს, რადგან შექმნილი ორი



მუქარისაგან — 17. კf6 და 17. ლ:f8! — თავდაცვა შავებს არ ძალუძთ.

მოულოდნელობის ეფექტი განპირობებულია 16. ლh6!!-ის არატიპურობით, არაორდინარულობით. საქმე ისაა, რომ მსგავს პოზიციაში საშამათო იერიში — f6 და h6 (თეთრებისათვის f3 და h3) სისუსტეების ოკუპირება, როგორც წესი, ხორციელდება თავდაპირველად f6 (იშვიათად h6) დაკავებით კუთი ან პაიკით. საერთოდ, რა უბრალოდ და თავისთავად გასაგებად გამოიყურება უკვე განხორციელებული (ან თქმული) ჭეშმარიტება! ეს მაგალითი კიდევ ერთხელ ნათელყოფს, რომ ჭეშმარიტება მარტივია.

16... ლf5 (16... f6 17. კ:f6 ე:f6 18. ეe8 მეf7 19. ლf8X) 17. ლ:f8! (დაცვის მოსპობა-ჩათრევა). ანგელოვა დანებდა.

●

შემდეგი პარტია, რომელსაც ახლა შემოგთავაზებთ, გათამაშდა ადიგენის რაიონის სოფელ უდეს კულტურის სახლთან არსებულ ჭადრაკის წრეში (ხელმძღვანელი გივი გიქოშვილი), 1988 წლის ოქტომბერში, ცხრა წლის ნორჩ მოჭადრაკეთა შორის.

გია ჩილინგარიშვილი (სოფელი არალი — სიმონ პარუნაშვილი (სოფელი უდე). ფილიდორის დაცვა: 1. e4 e5 2. მf3 d6 3. კc4 კg4 4. d4 კ:f3? (იკარგება დროი აქტიურდება თეთრი ლაზიერი) 5. ლ:f3 მf6? (შავები ვერ გრძნობენ საშიშროებას. საჭირო იყო 5... ლd7 ან 5... ლe7 და თუ ახლა 6. ლb3, მაშინ 6... c6 6. de de 7. 0-0 მf6 8. ეd1 ლg4) 6. ლb3! (ასეთი მანევრი განახორციელა

---

*იუდიტ პოლგარს მიენიჭა 1988 წლის „ოსკარი" ქალებში.

---

რი, მერე ფქვილი ტომარაში ჩაყაროს, კრიჭას თასმა დროზე დაუმოკლოს ან დაუგრძელოს... ღარში წყალი მოუმატოს ან დაუკლოს... ერთი სიტყვით, საქმე ყელამდე აქვს... რიგში ჩამდგარი ხორბლით სავსე ვეება საცალოები და წელგამართული ტომრები დაფქვას ელოდებიან...

წისქვილის ეზოში ციცინათელებმა თითქოს ფერხული გამართეს, თეთრად ამძივებულებმა ხან აქეთ ჩაიქროლეს, ხან — იქით. მარტო მთვარე ხედავდა პაწია შუქურების თავდავიწყებით ფარფატს. ორივე მოხუცს ეძინა, ფუტკარას — ღრმა ძილით, მეწისქვილეს კი ნახევრად, თვალის მოსატყუებლად... ანაზდად მეწისქვილეს გამოეღვიძა, თვალები მოიფშვნიტა, ფეხზე წამოდგა, წელში გასწორდა, ჯერ წისქვილში შევიდა, ხვიმირას ჩახედა, კრიჭას თასმა დაუმოკლა, მერე ხის პატარა ნიჩბით ფქვილი ტომარაში ჩაყარა, გაფქვილული ხელები და ტანსაცმელი დაიბერტყა და ეზოში გამოვიდა. ირგვლივ მიმოატარა თვალი, მოფარფატე ციცინათელებს შეჰკიმა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაულ მორფიმ 1858 წელს პარიზში კონსულტანტების წინაალმდეგ. იქ გაცვლილი იყო d პაიკები. პარტიის ბედი გადაწყვეტილია) 6... ლe7 (შავები აჩქარებენ დამარცხებას) 7. ლ:b7 ed 8. ლc8! (მართალია, აქ ყველა გზა რომში მიდის, მაგრამ ნორჩი მოჭადრაკის არჩეული უზუსტესი და უმოკლესია, რისთვისაც ის ქების ღირსია) 8... ლd8 9. კ:f7! მფe7 10. ლe6X!

### არჩილ ებრალიძე (დაბადების 80 წლისთავი)

ფოთის საშუალო სკოლის ბრწყინვალედ დამთავრების შემდეგ ა. ებრალიძემ სწავლა განაგრძო თბილისის სამხატვრო აკადემიაში, ქანდაკების ფაკულტეტზე, იაკობ ნიკოლაძის კლასში. 1928 წლის შემოდგომიდან 1931 წლამდე იგი მოსკოვშია, სწავლობს უმაღლეს სამხატვრო სასწავლებელში. მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ შედის ამიერკავკასიის ინდუსტრიულ (ამჟამად თბილისის პოლიტექნიკური) ინსტიტუტში ჯერ არქიტექტურის, ხოლო შემდეგ ჰიდროტექნიკურ ფაკულტეტზე, რომელსაც ამთავრებს წარჩინებით.

არჩილ ებრალიძის აქტიური მოღვაწეობა დაემთხვა ქართული ჭადრაკის პირველ პერიოდს (1926-1941), რომლის სათავეებთან დგას პირველი ქართველი ოსტატი ვიქტორ გოგლიძე (1905-1964); გოგლიძე პირველი ეროვნული ოსტატია საბჭოთა კავშირში, ეს წოდება მოიპოვა 1930 წელს. ებრალიძემ ოთხჯერ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა: 1938, 1939, 1941 და 1946 წლებში. უნდა აღინიშნოს, რომ ომამდე საქართველოს პირველობა სულ ხუთჯერ ჩატარდა. პირველი ჩემპიონატი ჩატარდა 1928 წელს, რომელშიც ებრალიძემ მესამე ადგილი დაიკავა გოგლიძისა და სოროკინის შემდეგ. თბილისის ჩემპიონობა სამჯერ მოიპოვა: 1934, 1935 და 1937 წლებში.

ომის წლებში მიღებული გამოუსწორებელი სულიერი ტრავმის შემდეგ იგი იშვიათად და გარდამავალი წარმატებით მონაწილეობდა ტურნირებში.

1941 წლის დასაწყისში ებრალიძემ დაუმარცხებლად ჩაატარა საქართველოს ჩემპიონატი და პირველი ადგილი დაიკავა. ჩემპიონატში მონაწილეობდნენ ოსტატები: ვ. გოგლიძე, ც. მაკაგონოვი, ჰ. კასპარიანი და ვ. მიკენასი, აგრეთვე იმჟამად დისკვალიფიცირებული ოსტატი ნ. სოროკინი (1900-1984). ამ შედეგისთვის ებრალიძეს ოსტატის წოდება მიენიჭა. იგი მეორე ქართველი ოსტატია გოგლიძის შემდეგ. მანამდე, 1936 წელს, საკლასიფიკაციო მატჩი ეთამაშა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკეს, იმჟამად საკავშირო პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭოს ჩემპიონს, ოსტატ ლისიცინს. ჩემპიონატში ბოტვინიკის გარდა ყველა უძლიერესი მოჭადრაკე მონაწილეობდა, მათ შორის — უნგრეთიდან ჩამოსული დიდოსტატი ლილიენტალი. მიუხედავად ებრალიძის უპირატესობისა, მატჩი დამთავრდა 9:7 ლისიცინის სასარგებლოდ. მატჩის ორივე საუკეთესო პარტია ებრალიძემ მოიგო.

სამწუხაროდ, 1941 წლის ჩემპიონატი არჩილ ებრალიძისათვის ფაქტობრივად „გედის სიმღერა“ გამოდგა. მიუხედავად შერყეული ჯანმრთელობისა, 1946 წელს იგი კვლავ საქართველოს ჩემპიონია. ამჯერად კონკურსგარეშე მონაწილეობდნენ დიდოსტატი პაულ კერესი, ოსტატები — მოსკოველი ევგენი ზაგორიანსკი და ვილნიუსელი ვლადას მიკენასი (ამჟამად დიდოსტატია). კერესი სასწაულებრივად გადაურჩა დამარცხებას ებრალიძესთან.

არჩილ ებრალიძე წარმატებით იბრძოდა ოსტატებთან, არა მარტო სოროკინთან, აბრამიანთან, კასპარიანთან, არამედ თვით ვლადიმერ და მიხეილ მაკაგონოვებთან, ტიგრან პეტროსიანთან. 1934 წელს, პირველთანრიგოსანმა (ოსტატობის კანდიდატობა (1938 წ. შემოიღეს), მატჩიც კი მოუგო ოსტატ მ. მაკაგონოვს (+1=4).

ამჯერად გავეცნოთ სომხეთის ჩემპიონთან, ოსტატ (1936 წელს მოიპოვა) ჰენრიხ კასპარიანთან მოგებულ მხოლოდ ერთ პარტიას, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ კასპარიანისა და ებრალიძის „აჩრდილის“ ჭიდილი. პარტიაში, რომელშიც კასპარიანს თვალშისაცემი შეცდომა არ დაუშვია, დაავადებული ებრალიძის დამაჯერებელი გამარჯვება მისი მაღალნიჭიერებისა და დიდი საჭადრაკო კულტურის კიდევ ერთი დასტურია (ცხადია, ეს არ არის ებრალიძის საუკეთესო პარტია).

ებრალიძე (თბილისი. ოსტატი) — კასპარიანი (ერევანი. ოსტატი). ლაზიერის გამბიტი. თბილისი, 1945 წელი. 1. d4 d5 2. c4 e6 3. მc3 c5 4. cd cd 5. ლ:d4 მc6 6. ლd1 ed 7. ლ:d5 კe6 8. ლ: d8 ე:d8 9. კg5 f6 (?) (თეორია დამთავრდა და დაიწყო კასპარიანის უზუსტობანი) 11. ეc1 მ:a2 12. მ:a2 კ:a2 13. e4 კe6 (?) 14. ეc7 ეb8 15. მf3 კd6 16. კb5 მფf8 17. მd4! კg4 18. ეc2 მe7 19. h3 კe5 20. მb3 ეc8 21. მc5 კd6 22. hg ე:c5 23. ე:c5 კ:c5± 24. ეh8! a6 (?) 25. ეd8 მფf7 26. კc4 მფe8 27. b4 კb6 28. b5 ab 29. კ:b5 მc6 30. კa4 კc7 31. ეb8+ — მფd8 32. ე:b7 მb8 33. მფe2 მფc8 34. ეa7 ეd8 35. ე:c7! მფ:c7 36. კa5 მფc8 37. კ:d8 მფ:d8 38. კb5 (!) g5 39. მფd3 მფc7 40. მფc4 მფd6 41. მფd4 h6 42. f3 მფe6 43. მფc5 მფe5 44. g3 მფe6 45. f4 მფe7 46. მფd5 კასპარიანი დანებდა.

40-ანი წლების დასაწყისში ებრალიძე მოჭადრაკეთა ახალ თაობას ზრდიდა პიონერთა სასახლეში. ჯერ კიდევ 1940 წელს მან თარგმნა მაქს ეივეს „ჭადრაკის ლექციების კურსი“, ხოლო ომის შემდეგ — კაპაბლანკასა და ლასკერის სახელმძღვანელოები. მომავალი თაობის აღზრდის საქმეშიც იგი გოგლიძის საქმის გამგრძელებელია.

ვიქტორ გოგლიძე და არჩილ ებრალიძე ქართული საჭადრაკო სკოლის ორი დედაბოძია, რომელთა მხრებზეც დგას ჩვენი დღევანდელი თაობა.

არჩილ ებრალიძის ღვაწლის წაყრუება-მიჩქმალვა უმადურებაა, მიუტევებელი ცოდვაა.

1960 წელს ტრაგიკულად დაიღუპა 51 წლის არჩილ ებრალიძე და მასთან ერთად უკვალოდ გაქრა მისი პირადი არქივი. ჩვენი ჟურნალის მკითხველებს ვთხოვთ მოგვაწოდონ ნებისმიერი მასალა, რომელიც შესაძლოა მათ ხელთ აღმოჩნდეს.

---

— აქა ხართ, ჩემო შუქურებოო, ჩაიდუდუნა. დიდხანს უმზირა პაწია მნათობების ნარნარით ციალს... ისევ ღია კარის ზღურბლზე ჩამოჯდა, ყალიონი თუთუნით დატენა, ტალ-კვესი გაჰკრა, აბედით ცეცხლი წაუკიდა და მადიანად გააბოლა, თან კეთილი შურით გადახედა ნაბადზე წამოწოლილ ფუტკარას, რომელიც ისე არხეინად ფშვინავდა, გეგონება, რაც ქვეყანაზე წყაროებია, ყველა მისი აღმოჩენილიაო...

ალიონი იწყებოდა... ციცინათელები ჩაქრნენ, ცა ჯერ გამკრთალდა, მერე ლურჯად გაკრიალდა, გაისარკა...

სულ მალე ყვითლად შეიფაკლებოდა აღმოსავლეთის კაბადონი, სოფელი ძილ-ბურანს თავს დააღწევდა და, სანამ მზის ამოსვლას შეეგებებოდა, ომის დაწყება ეუწყებოდა მთელ ქვეყანას...

იქნებ ამიტომ ყმუოდა ბებერი ძაღლი გამწარებით, სოფლისათვის ეს საზარელი ამბავი რომ ეუწყებინა...

# საინტერესო სიახლენი

### რადიოტელესკოპი — გიგანტი

ინდოეთში შენდება მსოფლიოში უდიდესი რადიოტელესკოპი. ეს არის 34 ანტენისაგან შემდგარი კომპლექსი. თითოეული ანტენის დიამეტრი 45 მეტრია. კომპლექსი იმუშავებს, როგორც ერთი გიგანტური ანტენა. მისი მგრძნობიარობა ძალზე მაღალია.

### უძლიერესი ტრანსფორმატორი

ავსტრიულმა კომპანიამ „ელინმა“ დაამზადა მსოფლიოში ყველაზე მძლავრი ტრანსფორმატორი, რომელიც ოჰაიოს შტატის (აშშ) თბოელექტროცენტრალისთვისაა განკუთვნილი. მისი სიმძლავრე 975 მეგავოლტამპერია. ტრანსფორმატორმა სადგურის მიერ მიწოდებული 25 000-ვოლტიანი დენი 345000 ვოლტამდე უნდა გაზარდოს.

### რხევის საწინააღმდეგოდ

ცნობილია, რომ ძლიერი ქარისას ცათამბჯენების წვერო საგრძნობლად ირხევა ხოლმე. ერთმა იაპონელმა გამომგონებელმა ამ რხევის შემცირებისათვის ასეთი საინტერესო ხერხი მოიგონა: შენობის სახურავზე უნდა დაიდგას დიდი რეზერვუარი, რომელშიც ჩაისხმება მთელი შენობის მასის ერთი მეასედის ტოლი წონის წყალი. წყლის მასა ამორტიზატორის მაგივრობას გასწევს. ცდებით დადასტურდა, რომ ეს ხერხი ორჯერ ამცირებს შენობის რხევას.

### მფრინავი ფანტაზიები

ამერიკელი გამომგონებელი პოლ მოლერი დიდი ხანია მუშაობს არატრადიციული საფ-



რენი აპარატების შექმნაზე. მისი ერთ-ერთი ქმნილებაა „მფრინავი თეფში“, რომელსაც ექვსი ძრავა აქვს, თითოეული — 147 კვტ (200 ცხენის ძალა) სიმძლავრისა. სპეციალისტებს განსაკუთრებით მოსწონთ ძრავას ხვედრითი სიმძლავრე: ყოველი ძრავა სულ რაღაც 38 კილოგრამს იწონის, რაც მასის თითო კილოგრამზე იმაზე ოთხჯერ მეტ სიმძლავრეს იძლევა, ვიდრე ჩვეულებრივი საავიაციო ძრავა. „მფრინავი თეფში“ ერთი მგზავრისთვისაა განკუთვნილი.

მოლერის მეორე მანქანა — „მერლინ-300“ სამ მგზავრს იტევს. ისიც ექვსმოტორიანია. ფრთები არ გააჩნია, ამწევ ძალას წარმოქმნიან პროპელერები, ხოლო როცა სიჩქარე 200 კილომეტრს მიაღწევს, ფრთის მოვალეობას მანქანის კორპუსი ასრულებს. საათში 480 კილომეტრის სიჩქარით ფრენისას „მერლინ-300“-ას კილომეტრზე 16 ლიტრ ბენზინს ხარჯავს. ავზის მოცულობა საკმარისია 12000 კილომეტრზე დაუჯდომელი ფრენისათვის. მოლერმა მანქანაზე დაამონტაჟა ოთხი კომპიუტერი, რომლებიც აკონტროლებენ სიჩქარეს, წონასწორობას, ძრა-



ვის ბრუნთა რიცხვს. „მერლინ-300“ დიდი მოწონებით სარგებლობს და მოლერმა უკვე მიიღო ორმოცი შეკვეთა.



### ყველაზე მშვიდობიანი ომი

ყვავილების ომი — ასე ეწოდება ყვავილების ფესტივალს, რომელიც ყოველწლიურად იმართება ლა-მანშის სრუტეში ინგლისის კუნძულ გერნსიზე. აქ სულ 1,5 ათასი ადამიანი ცხოვრობს, მაგრამ ინგლისის მთელი ყვავილების მესამედი სწორედ ამ კუნძულზე მოჰყავთ. შარშანდელ ფესტივალზე ავტომანქანების ესკორტი სულ ყვავილებით იყო მორთული, ცოცხალი ყვავილებისაგან იყო გაკეთებული ცნობილ ადამიანთა და ლიტერატურული გმირების პორტრეტები, ლოშ-ნესის ურჩხულის ფიტული.

### მხსნელი ორპირობა

ავსტრალიის ქალაქ ბრისბენის ერთ-ერთ სკოლასთან მდებარე ბაღს კაჭკაჭები შემოეჩვივნენ. თავდაპირველად ბავშვები და ფრინველები დამეგობრდნენ, მაგრამ, როგორც კი ბარტყები გამოიჩეკნენ, მათი მამები ძალზე აგრესიულები გახდნენ, გამვლელ-გამომვლელებს თავს ესხმოდნენ. მშობლებს მობეზრდათ მტირალა ბავშვების ყურება და კაჭკაჭების გაწყვეტა გადაწყვი-



ტეს. ამაზე სასტიკი უარი განაცხადა ბუნების დაცვის საზოგადოებამ იმ საბაბით, რომ თითქოს ფრინველები სახეს არ ჰკორტნიდნენ. მოსწავლეებს ურჩიეს, ზურგზე ადამიანის სახის გამოსახულებიანი დიდი ნიღბები დაემაგრებინათ. ოპერაცია წარმატებით დაგვირგვინდა. ნიღბებმა გადაარჩინა ბავშვებიც და კაჭკაჭებიც.

### დღე — საუკუნეზე უგრძესი

ბრაზილიის ქალაქ ამერიკანაში ცხოვრობს 100 000 ადამიანი; 800 მათგანი პირდაპირი შთამომავალია ამერიკის სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ გამოქცეული სამხრეთ ამერიკელებისა. ისინი ინგლისურად ლაპარაკობენ, ყოველ სამ თვეში იკრიბებიან და კონფედერაციის დროშასაც ერთად აღმართავენ ხოლმე.

ეს ადამიანები უცნაურ შეურიგებლობას უცხადებენ ისტორიას, რომლის საათი მათთვის ამ 123 წლის წინ გაჩერდა.

### ამანათი შთამომავლობას

თუ მცენარეთა თესლებს შუშის კაფსულაში ჩავრჩილავთ, მოვათავსებთ ლითონის კონტეინერებში და 37°/C ტემპერატურის მქონე საცავში შევინახავთ, ისინი სასიცოცხლო ფუნქციებს დიდხანს შეინარჩუნებენ. სკანდინავიის ქვეყნების მეცნიერებმა სწორედ ასეთი პირობები შექმნეს კუნძულ შპიცბერგენის სათესლე ფონდის საცავში. ამ ექსპერიმენტის მიზანია მრავალი მცენარის გადარჩენა, რომლებიც, ეკოლოგთა მცდელობის მიუხედავად, ქრებიან.



1

# ქსოვის სახეები

ქსოვის სახეებიდან ყველაზე უფრო გავრცელებულია შალისებური და ქალის წინდისებური ნაქსოვები. ეს ნაყშები საუკეთესოა როგორც ქალის, ასევე, ბავშვისა და მამაკაცის ტანსაცმლის მოსაქსოვად, ამასთან, ორივე ზედმიწევნით იხდენს ფერად ორნამენტსა და ნახატს.

**შალისებური ნაყშის** მისაღებად ნაქსოვის როგორც წალმა, ასევე უკულმა პირებზე თვლები ამოგვყავს ზევიდან წალმით (სურ. № 1); ხოლო **ქალის წინდისებური ნაყშის** მისაღებად ნაქსოვის წალმა პირზე თვლები სულ წალმით ამოგვყავს, უკულმა პირზე კი სულ უკულმით (სურ. 2).

## თვლების კლება და მატება

ნაქსოვისთვის სასურველი ფორმის მისაცემად საჭიროა თვლების კლება და მატება.

**თვლების კლება** ხდება შემდეგნაირად: წალმა პირზე კლებისას წალმით ზევიდან ან წალმით ქვევიდან ერთად უნდა გამოვქსოვოთ ორი ან მეტი თვალი. ასევე ვაკლებთ თვლებს ნაქსოვის უკულმა პირზეც, ოღონდ, ამ შემთხვევაში, ორი ან მეტი თვალი ამოგვყავს უკულმით (სურ. № 3).




გავეცნოთ **თვლების მატების** რამდენიმე ხერხს:

1. ერთი თვლიდან ამოიქსოვება ორი, სამი ან მეტი ახალი თვალი. ამ შემთხვევაში გამოსაქსოვ თვალში შეგვაქვს მარჯვენა ჩხირის წვერი, გამოვქსოვთ ერთხელ, ოღონდ გამოქსოვილ თვალს ჩხირზევე დავტოვებთ, მერე კი მარჯვენა ჩხირით ნამატს გავაკეთებთ და იმ ერთხელ უკვე გამოქსოვილ და ჩხირზე დატოვებულ თვალში მეორე თვალს გამოვიღებთ. ამ წესით, როგორც ზემოთ ვთქვით, შეგვიძლია ერთიდან ორი ან რამდენიმე ახალი თვლის ამოღება (სურ. № 4);

2. გადავდოთ თვალი მარჯვენა ჩხირზე უკვე ამოყვანილი თვლების წინ ისე, რომ იგი ჩვენს საწინააღმდეგო მიმართულებით წავიდეს (სურ. № 5). მივიღებთ ნამატს, შემდეგ ჩვეულებრივ ვაგრძელებთ ქსოვას;

3. უკვე ამოყვანილი თვლების წინ ძაფი წამოვდოთ მარჯვენა ჩხირის წვერს ისე, რომ ძაფი ჩვენკენ მოიმართოს (სურ. № 6), მივიღებთ ნამატს. შემდეგი თვალი ამოვიყვანოთ ჩვეულებრივ.



2

## თვლების გადაქნა

ნაქსოვის დამთავრებისას საჭიროა თვლების უკანასკნელი რიგის დამაგრება ან გადაქნა. თვლების გადაქნის რამდენიმე ხერხი არსებობს. გავეცნოთ ორ მათგანს:

1. მომთავრებულ ნაქსოვს კიდევ ერთი რიგი — უკულმით, ხოლო 4-5 რიგი წალმით წავაქსოვოთ. გადავკეცოთ ეს წაქსოვილი ნაწილი უკულმა პირზე და ნემსით და შესაფერისი ძაფით ფაქიზად ამოვუხვიოთ.

2. მომთავრებული ნაქსოვის პირველი თვალი გადავიტანოთ გამოუქსოვლად, მეორე კი გამოვქსოვოთ. შემდეგ მარცხენა ჩხირით გავაფართოოთ პირველად გადატანილი თვალი და მარჯვენა ჩხირით გამოქსოვილი მეორე თვალი იმ გაფართოებულში გამოვატაროთ. ამ წესით გადაიქნება ნაქსოვის ბოლო რიგის ყოველი შემდეგი თვალი. გაფართოებულ წინა თვალში გამოვატაროთ რიგის უკანასკნელი თვალიც და დავამაგროთ (სურ. № 7).







გივი კეფრიაშვილი



შეღებო: ასე ზედაპირები კარგადაც შეიღებება და საღებავიც დაგეზოგება

● ზუმფარის ქაღალდი უკეთ მოგემსახურება, თუ მას რაიმე მკვრივ საგანს, თუნდაც ასანთის კოლოფს, შემოახვევ



● სააბაზანო ოთახის სარკე არ დაიორთქლება, თუ მინის ზედაპირს 1 ჩაის კოვზი ჟელატინისა და 50 მილილიტრი წყლის ნარევს გადაუსვამ.



● პლასტმასის აბაზანაში ჩასხმული სამჟღავნი ადვილად კარგავს ტემპერატურას და, მაშასადამე, ეცემა მისი ეფექტურობის დონეც. ასე რომ არ მოხდეს, იგი ცხელი წყლით სავსე სამედიცინო სათბურაზე დადგი.



● პატარებისაგან ნემსებისა თუ ქინძისთავების დასამალავად შეგიძლია გამოიყენო საიუველირო ნაკეთობათა კოლოფი, რომელშიაც პოროლონის ნაჭერია ჩაფენილი.



● თუ ახალი ხახვი გიყვარს, შეგიძლია პაწია „ბოსტანი" აივანზე გაიკეთო: რძის პაკეტისაგან მოწყობილ აბაზანაში ბამბა ჩააფინე და ზედ დააწყვე სათესლე ხახვის მომცრო ბოლქვები. „ბოსტანი ისეთნაირად უნდა მორწყო, რომ „ნიადაგი" — ბამბა — ყოველთვის ტენიანი იყოს.



● კარის ანჯამა არ იჭრიალებს, თუ მას დროდადრო დაზეთავ. მაგრამ თუ პოლიეთილენის საცობისაგან საყელურს დაამზადებ და ანჯამის ღერძს ჩამოაცვამ, დაზეთვაც აღარ დაგჭირდება.

● როცა ლითონის ბადეს ან მესერს ღებავ, ჯობს ორივე ზედაპირი ერთდროულად



# საძიებელი


იქნებიან ბედნიერნი და თავისუფალნი (საუბარი პროფ. ზ. ქუმბურიძესთან) . . . . . . . . 1
ლ. სტვილია — ლექსები . . . . . . . 3
ნ. ხარაზიშვილი — იზრდებიან მამულიშვილები (ნარკვევი) 4
თ. კობერიძე — ლექსები . . . . . 7
პ. სულთანიშვილი — ლექსები . . . . . 7
ნაირფერი ყელსახვევების კავშირი (წერილი) . . . 7
ნ. აფხაზავა — მეი, თქვენი.. (მოთხრობა. გაგრძელება) . 8
გ. ოთხმეზური — როცა დავითმა ხმალი აიღო (წერილი) . 13
თ. ბობოლაძე — ერთად ყოფნის სიხარული (წერილი) . 14
„როლინგ სტოუნზი" — (წერილი) . . . . . . 16
ე. პერციაკი — ეგვიპტური მტრედები (მოთხრობა) . . 17
აისი . . . . . . . . . 20
ლ. ბაბუხადია — დეიდაჩემი (მოთხრობა) . . . . 22
შ. რეხვიაშვილი — მოულოდნელი შეხვედრა (მოთხრობა) . 24
გამოჩენილი ადამიანების ღიმილი . . . . . 25
ზ. ბაწელაშვილი — მოთხრობები . . . . . . 26
მხედრიონი . . . . . . . . 28
საინტერესო სიახლენი . . . . . . . 30
ჯადოსნური სარკე . . . . . . . . 30
ქსოვა . . . . . . . . . 31
გამოგადგები . . . . . . . . . 32
ცხრაკლიტული . . . . . . გარე. 3


გარეკანის 1-ლ და მე-4 გვერდზე — დ. ზარაფიშვილის ნახატი


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია



სარედაქციო კოლეგია: ანა ალავერდაშვილი, ნუგზარ აფხაზავა (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ბოცვაძე, მანანა გელაშვილი, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, იოსებ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლიანა შეწირული, ზურაბ ჭუმბურიძე.



რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-81-81, პ. მგ. მდივნის — 93-97-03, 93-53-95, განყოფილებების — 93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 26.05.89 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 13.07.89 წ., ქაღალდის ფორმატი 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,85, შეკვ. 1234. ტირაჟი 147.800. ეგზ., უე 09373.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников.
Выходит один раз в месяц на грузинском языке.

Главный редактор
ШЕЛИЯ БАБУЛЯ АКАКИЕВНА

Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат 60×90 1/8, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.
Тираж 147-800 экз. Цена 20 коп.


© „პიონერი", 1989 წ.

КОНТРОЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

ეროვნული ბიბლიოთეკა



## კროსვორდი

თარაზულად: 4. აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი: 5. მეცხრამეტე საუკუნის ქართველი მწერალი; 6. ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისის" პერსონაჟი: 7. მაღალი თანამდებობის პირის მხლებლები: 11. კათოლიკურ ეკლესიაში უმაღლესი სასულიერო პირი რომის პაპის შემდეგ: 12. მტაცებელი ცხოველი: 13. გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა ან გამოთქმა; 14. დასრულებული აზრის მქონე სიტყვათა წყობა: 16. დანაყოფი კომპასის წრეზე: 18. ციტრუსოვანი ხე: 21. საქ. სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა: 2. ტოლგვერდა და ირიბკუთხა პარალელოგრამი: 23. აშშ-ის სამხედრო სამინისტროს შენობა: 24. ამერიკელი კინორეჟისორი, მსახიობი და სცენარისტი.



შვეულად: 1. ქურქელი: 2. რევოლუციამდელ რუსეთში დამსჯელი რაზმების ჩამოყენება მთავრობის საწინააღმდეგოდ განწყობილ სოფლებში: 3. ქალაქი-კურორტი კრასნოდარის მხარეში: 6. აფრიკის სახელმწიფო. 8. საბერძნეთის ქალაქი: 9. მწერი; 10. ნივთების ან ფულის გათამაშება ბილეთებით: 14. წყლის საღებავებით დახატული სურათი ახლად შელესილ კედელზე: 15. მგალობელი ფრინველი, გავრცელებულია ამერიკის კონტინენტზე; 17. მდინარე დასავლეთ ციმბირში: 19. სახელმწიფო ამერიკის კონტინენტზე: 20. საომარი მოქმედების არე.

შეადგინა
ალ. გორგიშელმა

## იპოვეთ ათი განსხვავება



იპოვეთ ათი განსხვავება

## შარადა

ალბათ, ნახატის წინასწარ
მონახაზს უცებ იტყვი,
საწყისად გვინდა პირველი
ორი მარცვალი სიტყვის.
ზნეობის სინონიმისა
ბოლო მარცვალიც ერთვის, —
ნუგბარი სასუსნავია,
მომირთმევია შენთვის.

შ. ამირანაშვილი

## პასუხი № 6-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე"

### კროსვორდი

თარაზულად: 5. გამბიტი: 6. ბამბუკი: 7. დინამიტი: 8. ეკვატორი; 10. შპატი: 12. ესკადრა: 13. ატომი: 17. პორტალი: 18. ბათქაში: 19. პეტრიაშვილი: 22. აცეტატი: 23. ენერგია: 26. რამპა: 27. ბერლინი: 28. მაფია; 29. კანონადა: 30. ანდეზიტი: 31. ბიპლანი: 32. ტრიბუნა.

შვეულად: 1. მაგნეტიტი; 2. სტატუსი: 3. ლასკერი: 4. აკროსტიხი: 9. თამარაშვილი: 11. პროპორცია; 14. მამაშვილი: 15. ალბერტი: 16. შაბლონი: 20. სტიპენდია: 21. არდაზიანი: 24. ბერდანა: 25. ანანური.

### თავსატეხი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 9 | | | |
| | 3 | 2 | 8 | 5 |
| | 5 | 9 | 4 | |
| 4 | 1 | 7 | 6 | |

### გამოცანები

ვერცხლისფერი... ვერტმფრენი, აბრეშუმის პია, ზამთარი, ფიქრი, ავტოკალამი, მზესუმზირა, 1991.

### შარადები

მტერი, ვანი, მტევანი: თავი, თავი, თავთავი.




ინდექსი 76157
ფასი 20 კაპ.